საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (320)
21 - 27 ოქტომბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

11 პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილი თანამედროვე ყვარყვარეების შესახებ

## «ნაციონალური მოძრაობა» აქამდეც უნდა აგვეკრძალა, უნდა გაგვესამართლებინა, მაგრამ თავს კოაბიტაცია მოგვახვიეს» 4

«მინისტრი წულუკიანი უკანონო ბრძანების გაუქმებაზე ამბობს უარს»

«ამ დღეებში პარლამენტის ტრიბუნიდან ვიტყვი, რომ ეს თვითმარქვია, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული ძალა აიკრძალოს»

«ნაცები», ქვეყნის მოსახლეობის 99%-იც რომ უჭერდეს მხარს, მაინც უნდა გასამართლდნენ»

ვახტანგ მაისაია: 5

## საქართველოს ლიბანიზაცია ემუქრება

„ჩვენგან 600 კილომეტრში რეგიონული კონფლიქტი მიმდინარეობს, მისი მასშტაბები განუსაზღვრელია და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო სირაქლემის პოზაშია“.



«სანამ ამ ჩანაწერების შესახებ შევიტყობდით რამეს, უკრაინაში გაიმართა კონფიდენციალური შეხვედრა ოლიგარქ იგორ კოლომოისკისა და ყოფილი კუდ-ის უფროს ირაკლი კოდუას შორის, შემდეგ გამოქვეყნდა ეს კადრები»

გიგი სიხარულიძე: 10

# ჩვენ დამოუკიდებელი კი არა, ყველასგან დაკიდებულები გავხდით

## ჭიაბერაშვილს მიმდევრები გამოუჩნდნენ 10

„მიშისტმა“ ზურაბ ჭიაბერაშვილმა რამდენიმე წლის წინათ ხომ უჭკუოდ გააკრიტიკა „ქართლის დედა“, ოღონდ სიტყვა „საბჭოთა“ არ უხსენებია. ეს მოსი კი უბერავს და უბერავს: „თქვენ ვერსად ნახავთ ღვთისმშობელს ხმლით ხელში, ვერც სუფრის გამშლელად ვერ დაინახავთ. რა თქმა უნდა, ეს ორი ხატება, ღვთისმშობლის, როგორც დედის იდეალისა და „ქართლის დედის“, როგორც საბჭოთა საქართველოს დედის იდეალი, ერთმანეთს ვერ შეეთანხმება ვერასდროს...“



## აჩვენეთ ეს კადრები საქართველოს და «ნაცბანდა» აღარ იქნება!



«დააკვირდით: ყველა მოითხოვს, დადგინდეს, საიდან და ვისგან მოხვდა წამება-გაუპატიურების ამსახველი ვიდეოჩანაწერები უკრაინაში, და თითქმის არავინ მოითხოვს არაკაცი მწამებლების გამოვლენა-დასჯას» 7

## გამგებლის მოადგილეების პრემიებზე დახარჯული 535 ათასი და 160 ლარის იმედად დარჩენილი გაჭირვებული ვეტერანები 9

## გადამწყვეტი შეტევა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე 8

## 10 სტალინური დარტყმა 12

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პროკურორთა საბჭოს ექვსი წევრი

**პროკურორთა საბჭოს ექვსი წევრი უკვე არჩეულია. ესენი არიან: გიგა ძნელაძე, ნათია სონღულაშვილი, გოჩა ფარულავა, კონსტანტინე სირაძე, ანა კალანდაძე და თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძე.** პროკურორთა საბჭოში 8 წევრია გათვალისწინებული. დანარჩენი 2 წევრის გამოსავლენად სასტუმრო „ჰუალინგში" საარჩევნო პროცედურა 21ოქტომბერს განახლდება.

არჩევნებში საქართველოს მასშტაბით 438-მა მოქმედმა პროკურორმა და გამომძიებელმა მიიღეს მონაწილეობა.





# პრემიერი NDI-ს კვლევაზე: ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, უკვე მრავალი წელია

**პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ადამიანები, რომლებიც NDI-ს** კვლევებზე მუშაობენ, „ნაციონალურ მოძრაობასთან" არიან დაკავშირებულნი.

„სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვინაიდან ამაზე ხშირად გვისაუბრია. ძალიან ბევრი კითხვა ისმის, უკვე მრავალი წელია. აქვე მინდა, დავადასტურო ჩემი პატივისცემა ამ ინსტიტუტის მიმართ, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ, ფიზიკურად ახორციელებდნენ ამ კვლევებს, პირდაპირ არიან დაკავშირებულნი „ნაციონალურ მოძრაობასთან". ასე რომ, ეს ჩვენი მოსახლეობისთვის არ არის საინტერესო. მოსახლეობას აინტერესებს, რას ჰპირდება მთავრობა და რას აკეთებს. ეს ყველაფერი აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე და, რაც მთავარია, ყველაზე მთავარი კვლევა, ეს არის არჩევნების დღე", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეგახსენებთ, **NDI-ს** კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს ვის მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 15% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", 14% კი „ქართულ ოცნებას" ირჩევს.

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

# ევროკავშირსა და ევრაზიის კავშირში გაწევრების მხარდამჭერთა პროცენტული მაჩვენებელი თანაბარია

**გამოკითხვის თანახმად, ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირში გაწევრებას მხარს 31-31% უჭერს.**

ასევე თანაბარია (46-46 %) იმ რესპონდენტთა რაოდენობაც, რომლებიც ამ ორგანიზაციებში გაწევრების მხარდამჭერი არ არის. შეკითხვაზე, ევროკავშირში გაწევრებას უჭერთ თუ არა მხარს? – პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა 2%-მა, ევრაზიულ კავშირში გაწევრების თაობაზე დასმულ შეკითხვაზე კი — 1%-მა.

# საქართველოთ შემოდით — სპეციალური განცხადება

**13-14 ნოემბერს თბილისში გაიმართება საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი თემაზე: „მსოფლიო რყევების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?"**

აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის წამყვანი მედიასაშუალებების ხელმძღვანელები, მედიის სფეროს ექსპერტები და ახალგაზრდა ჟურნალისტები დისკუსიების, მრგვალი მაგიდებისა და ტრენინგების ფორმატში ორი დღის განმავლობაში იმსჯელებენ თანამედროვე საერთაშორისო დღის წესრიგის აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე, სამხრეთ კავკასიის მედიასივრცეზე მსოფლიოსა და რეგიონული კრიზისების გავლენის შესახებ.

**ფორუმის საქმიან ნაწილში** წამყვანი რეგიონული მასმედიის მთავარი რედაქტორები და ექსპერტები განიხილავენ თანამედროვე პოლიტიკის, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციებს და შეეცდებიან პასუხის პოვნას შეკითხვაზე: ვინ გაძლებს რყევების ეპოქაში?

**სასწავლო ბლოკის ფარგლებში** წამყვანი მედიაექსპერტები რეპორტაჟული ჟურნალისტიკისა და წარმატებული ინტერვიუს საიდუმლოებაზე მოუყვებიან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდა ჟურნალისტებს, აუხსნიან მათ სოციალური ქსელების, როგორც ახალი მასობრივი მედიასაშუალების, სპეციფიკას, განიხილავენ სამხრეთ კავკასიის მედიასახის ჩამოყალიბების თანამედროვე მექანიზმებს.

**მრგვალი მაგიდის** — „დიდი სამამულო ომი და ჟურნალისტის ეთიკა" — ფარგლებში მედიაფორუმის მონაწილეები განიხილავენ დიდი სამამულო ომის ისტორიული მოვლენების ასახვის თანამედროვე ტენდენციებს რეგიონის საინფორმაციო სივრცეში.

საერთაშორისო კავკასიური ფორუმის სპეციალური სტუმრები:

**ვლადიმერ სუნგორკინი** — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" მთავარი რედაქტორი;

**ევგენი სატანოვსკი** — ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის პრეზიდენტი, აღმოსავლეთმცოდნე, ეკონომისტი;

**ევგენი პრიმაკოვი** — ტელეარხ „როსია 24-"ის პროგრამა „მეჟდუნაროდნოე ობოზრენიეს" ავტორი და წამყვანი;

**ვიტალი ლეიბინი** — ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის" მთავარი რედაქტორი.

მედიაფორუმის დასრულების შემდეგ მის მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური სერტიფიკატები.

**მედიაფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ქართული მედიის ახალგაზრდა წარმომადგენლებს (20-დან 35 წლამდე, მასმედიაში მუშაობის გამოცდილებით). სამუშაო ენები — ქართული და რუსული.**

მედიაფორუმში მონაწილეობის შესახებ განაცხადები მიიღება 2015 წლის 9 ნოემბრამდე.

**საორგანიზაციო კომიტეტი**
**საკონტაქტო პირი — თათია ვაშაკიძე.**
**ტელ.: 2343295; 591882104.**
**ელფოსტა: Geworld@mail.ru**



# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას, კონტრაქტორებისა და ბანკების დიდი ვალი აქვს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კერძო აუდიტორული კომპანია მუშაობს. როგორც 20 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა განაცხადა, კერძო აუდიტორული კომპანიის შეყვანა ფედერაციაში განპირობებულია იმ მძიმე ფინანსური მდგომარეობით, რომელიც დახვდა. ფედერაციას ვალი აქვს „ვითიბი ბანკის", უეფას, კონტრაქტორების. გარდა ამისა, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გაურკვეველი შეთანხმებებია დადებული სხვადასხვა კომპანიასთან.**

„ეს დავალიანებები, დადებული ხელშეკრულებები სერიოზულ კითხვებს აჩენს, რომ თანხები არამიზნობრივად გაიფლანგა. „ვითიბი ბანკთან" ფედერაციას აქვს 3 მილიონი ლარის დავალიანება. ვსწავლობთ, რა მიზნით მოხდა ამ თანხის აღება და დახარჯვა. ბანკთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, რათა მოხერხდეს გადავადება ან გრაფიკით დაფარვა. უეფასთან არის 2 მილიონი ევროს ოდენობით დავალიანება. ეს თანხა უეფა-ს უნდა გადმოერიცხა 2016 წელს, მაგრამ ფედერაციის ყოფილმა ხელმძღვანელობამ მიმართა უეფას და ეს თანხა დაგეგმილზე ადრე გადმოირიცხა იმ მიზნით, რომ კლუბებს დახმარებოდნენ. კლუბებს ეს თანხები რეალურად გადაურიცხეს, თუმცა გადარიცხულია 2 მილიონზე ნაკლები თანხა, დანარჩენი კი სად წავიდა, ჩვენთვის უცნობია. ამავე ორგანიზაციასთან არსებობს 480 000 ევროს ოდენობით დავალიანება, იქიდან გამომდინარე, რომ სუპერთასის ბილეთების გაყიდვიდან ეს თანხა ფედერაციას უეფასთვის არ გადაურიცხავს. სად არის ეს თანხა, ჩვენთვის უცნობია. ჩვენ ვიყავით უეფაში, გავმართეთ ამ უხერხულ საკითხებზე საუბარი და ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან გაფორმებულია ორწლიანი ხელშეკრულება, რომელიც სოლიდურ თანხებს ითვალისწინებს. ეს ხელშეკრულება გაფორმდა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე და საინტერესოა, ფედერაციის პრეზიდენტმა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას საერთოდ არ გეგმავდა, რატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელშეკრულება ორი წლის ვადით გაფორმებულიყო. ასევე, გაფორმებულია ხელშეკრულებები სხვადასხვა კომპანიათან საპიარო საკითხებზე, თუმცა ვის ხმარდებოდა ეს პიარი და ვისთვის იყო გათვალისწინებული, უცნობია. საგულისხმოა, რომ ამ ხელშეკრულებებში ნახსენებია სიტყვა კონფიდენციალური, შესაბამისად, ამაზე საჯაროდ ვერ ვისაუბრებთ. ეჭვი გვაქვს, რომ თანხები არამიზნობრივად არის დახარჯული, რაც შესწავლას საჭიროებს", — განაცხადა კობიაშვილმა.



# «ნაციონალური მოძრაობის» აკრძალვის მოთხოვნით ინტერნეტში პეტიცია გავრცელდა

**„დღეს გავრცელდა სამეგრელოს ტყეში გადაღებული ვიდეოკადრები, რომელშიც მამაკაცს აუპატიურებენ. მსგავსი ტიპის კადრები უხვად მოიპოვება და ამაში დამნაშავე ყოფილი ხელისუფლებაა, ერთად მოვითხოვოთ ყველა დამნაშავის უმკაცრესად დასჯა და „ნაციონალური მოძრაობის", როგორც პოლიტიკური სუბიექტის, აკრძალვა. ასევე, ამ პარტიის ყველა წევრს, რომლებიც მხილებული იქნებიან დანაშაულში, აეკრძალოს ნებისმიერი პოლიტიკური საქმიანობა", – ნათქვამია მანიფესტში (ვებგვერდი: http://manifest.ge/main/item/627)**

# მკვლელობა ზომბის ფესტივალზე

**17 ოქტომბერს ფლორიდაში (აშშ) გამართულ ზომბის ფესტივალზე (ZombieCon), სადაც საშინელებების მოყვარული ათასობით ადამიანი იკრიბება, უცნობმა პირმა ცეცხლი გახსნა. დაიღუპა ერთი ადამიანი, დაიჭრა 4.**

პოლიციელთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მდგომარეობა ერთ-ერთი დაჭრილისა, რომელიც ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მძიმეა. აშშ-ში ფესტივალი ZombieCon-ი ყოველწლიურად იმართება ჰელოუინის წინ. ათასობით ადამიანი სახეს იღებავს და ისე იმოსება, რომ მოარულ მკვდარს დაემსგავსოს.






## ამერიკელმა მღვდელმსახურმა მამაკაცი ეკლესიაში მოკლა

**დეტროიტელმა პასტორმა მოკლა მამაკაცი, რომელიც მას თავს აგურით დაესხა, — იუწყება Detroit News-ი.** მამაკაცი შევიდა ეკლესიაში, სავარაუდოდ, აგურით ხელში და პასტორს დაემუქრა. სამართალდამცველთა თქმით, სასულიერო პირმა მათ ადრეც მიმართა — 25 წლის დინტი სმიტი ეკლესიაში მანამდეც მივიდა აგურით ხელში.

„პასტორმა ცეცხლსასროლი იარაღით რამდერჯერმე ტყვია ესროლა სმიტს, შემდეგ კი პირველი დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ უშედეგოდ“, — წერს დეტროიტული გამოცემა.

**აღნიშნულ ინციდენტამდე რამდენიმე კვირით ადრე სმიტმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ცოლმა პასტორთან უღალატა და ბავშვს ელოდება.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰოლანდიელების ანგარიშის მხოლოდ იდიოტმა შეიძლება დაიჯეროს

**მალაიზიის „ბოინგის“ კატასტროფის მიზეზებზე ჰოლანდიის უშიშროების საბჭოს ანგარიშის გასაჯაროების შემდეგ ამერიკელმა პოლიტოლოგმა და ეკონომისტმა, პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციაში აშშ-ის ფინანსთა მინისტრის თანაშემწემ ეკონომიკის საკითხებში — პოლ კრეიგ რობერტსმა თავის ვებგვერდზე (paulcraigroberts.org) სტატია გამოაქვეყნა:**



„წავიკითხე, რომ უკრაინაში მალაიზიური „ბოინგის“ კატასტროფის მიზეზებზე ანგარიშს გადასცემენ ჰოლანდიელებს და ხმამაღლა წაკითხვის ნებას მისცემენ, ვიცოდი, რომ არანაირი გამოძიება არ იქნებოდა, ფაქტებს ყურადღებას არავინ მიაქცევდა. ასეც მოხდა.

არ მინდოდა, ამ ანგარიშზე დამეწერა იმიტომ, რომ ვაშინგტონის პროპაგანდამ უკვე გაიმარჯვა, ყოველ შემთხვევაში, — დასავლეთში, როცა რუსეთი უაპელაციოდ დაადანაშაულეს. **ის, თუ როგორ ამახინჯებდნენ დასავლური მედიასაშუალებები ანგარიშში ნათქვამს, უბრალოდ, დაუჯერებელია.**

მაგალითად, მოვისმინე NPR-ის (National Public Radio — უდიდესი არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც აშშ-ის 797 რადიოსადგურისგან აგროვებს და შემდეგ ავრცელებს ცნობებს. ფინანსდება მსმენელების შემოწირულობებით — რედ.) მოსკოველი კორესპონდენტის ნათქვამი, რომ რაკეტა გაშვებული იყო უკრაინელი სეპარატისტების ტერიტორიიდან, მათ კი არც ჭკუა ეყოფოდათ და არც ცოდნა ამ ტექნიკის ასამუშავებლად, ესე იგი, რაკეტა, ფაქტობრივად, რუსებმა აამოქმედესო. **არადა, ჰოლანდიელების ანგარიშში არაფერია ისეთი, მსგავსი დასკვნის გამოტანის საშუალებას რომ იძლეოდეს, ანუ ჟურნალისტი ან აღმაშფოთებლად არაკომპეტენტურია, ან შეგნებულად ცრუობს.** ერთადერთი, რაზეც ზუსტად მიუთითებენ ანგარიშში, არის ის, რომ რაკეტა რუსული წარმოებისაა. **ანგარიშის ტექსტიდან ნათელია, რომ ბრალი ედება არა რუსეთს, არამედ უკრაინას, რომელმაც არ დახურა თავისი საჰაერო სივრცე აქტიური საომარი მოქმედებების ზონის თავზე. იურისტებმა უკვე დაიწყეს მუშაობა სარჩელებზე, რომლებიც დაღუპულთა ოჯახებმა აღძრეს უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუმცა ამის შესახებ დასავლური მედიასაშუალებები არაფერს ამბობენ.**

2014 წლის ივლისში უკვე ვწერდი, რომ „ბოინგის“ კატასტროფის შესახებ ოფიციალური ცნობის გავრცელების მომენტში დასავლეთის მასმედიას უკვე გამზადებული ჰქონდა ისტორია — „ეს ყველაფერი რუსების მოწყობილია!“, მაგრამ ის, რაზეც ვაშინგტონი ყოველთვის დუმდა, არის სეპარატისტების მოტივები: რისთვის სჭირდებოდათ მათ ამ თვითმფრინავის ჩამოგდება? — არაფრისთვის! რუსეთის ხელმძღვანელობა არასოდეს დართავდა ასეთი ავანტიურის ნებას, დანაშაულზე პასუხისმგებელს კი ყველას ჩამოახრჩობდა.

**«ანგარიშის ტექსტიდან ნათელია, რომ ბრალი ედება არა რუსეთს, არამედ უკრაინას, რომელმაც არ დახურა თავისი საჰაერო სივრცე აქტიური საომარი მოქმედებების ზონის თავზე. იურისტებმა უკვე დაიწყეს მუშაობა სარჩელებზე, რომლებიც დაღუპულთა ოჯახებმა აღძრეს უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუმცა ამაზე დასავლური მედიასაშუალებები არაფერს ამბობენ»**




სწორედ ამიტომ ვამბობდი და ვამბობ, რომ ვაშინგტონის ვერსია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ის მხოლოდ იდიოტმა შეიძლება დაიჯეროს. რა მოტივები შეიძლება ჰქონდეს ვაშინგტონს? ძალიან ბევრი. რუსეთის დემონიზებისთვის ყველა საშუალება კარგია. იმისათვის, რომ ევროპის სახელმწიფოებს უჩვენო: არ ღირს, შეეწინააღმდეგო რუსეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების პოლიტიკას. ამ პოლიტიკას აშშ, პირველ რიგში, იყენებს იმისათვის, რომ დაარღვიოს ეკონომიკური კავშირები რუსეთსა და ევროპას შორის.

**„ბუკ“-ის რაკეტების რუსმა მწარმოებლებმა ყველას დაუმტკიცეს, მათ მიერ დამზადებული რაკეტითაც რომ ჩამოეგდოთ თვითმფრინავი, ეს რაკეტა წლების წინათ არის გამოშვებული და მხოლოდ უკრაინის შეიარაღებულ ძალებს აქვს.** რუსეთის შეიარაღებულ ძალები კი იყენებს ამ რაკეტის მოდერნიზებულ ვერსიას, რომელიც წინამორბედისგან ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით განსხვავდება. **მალაიზიის „ბოინგის“ დაზიანებები არ შეესაბამება რუსული მოდერნიზებული „ბუკის“ დამანგრეველ ძალას.** ასე რომ, **ჰოლანდიელებს ანგარიში კი გადასცეს, მაგრამ ამ ანგარიშისთვის დამაჯერებლობის მიცემაზე თავი არ შეუწუხებიათ, ისევე, როგორც მასში ჩაერთოთ მონაცემები, რომლებიც ამ რაკეტის მწარმოებლებმა გადასცეს.** ამ ანგარიშის ფასი ისეთივეა, როგორიც 11 სექტემბრის კატასტროფის მიზეზების გამოძიების ანგარიშისა.

ჩემი სიმართლის აღიარებას დასავლეთის მედიასაშუალებებისგან არ უნდა ელოდოთ. ეს ადამიანები სიცრუით გამოიმუშავებენ ფულს. **ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დასავლეთს მომავალი არ აქვს, არის პრესის უქონლობა, დასავლური მასმედია მხოლოდ სამთავრობო პროპაგანდას ეწევა, არის კორპორაციების ინტერესების ლობისტი, მათი აპოლოგეტი და დანაშაულებს ერთობლივად სჩადიან.**

დიდი ხანია, დასავლეთში მასმედია დამოუკიდებელი აღარ არის. უდიდესი გერმანული გამოცემის რედაქტორმა დაწერა და გამოსცა წიგნი, რომელიც ბესტსელერად იქცა. რედაქტორი წიგნში ამბობს, რომ მუშაობდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის და ევროპის მეინსტრიმული გამოცემების თითოეული ჟურნალისტი ვაშინგტონის ტყუილების რუპორია. რა თქმა უნდა, ეს წიგნი არ უთარგმნიათ და არ გამოუციათ აშშ-ში.

NPR-მა, ისევე, როგორც სხვა დასავლურმა მედიასაშუალებებმა, ფასეულობები დაკარგეს. ისინი ამტკიცებენ, რომ მკითხველების თანხებით არსებობენ, სინამდვილეში კი კორპორაციების ფულით არსებობენ. ჯორჯ ბუშის რეჟიმმა NPR-ი, ფაქტობრივად, დაანგრია, როდესაც სარედაქციო პოლიტიკის ზედამხედველად რესპუბლიკური პარტიიდან დანიშნა 2 ქალი.

როგორც ადამიანს, რომელიც მუშაობდა რეიგანის გუნდში და წვლილი მიუძღვის ცივი ომის დასრულებასა და მასთან დაკავშირებული ატომური საფრთხის აცილებაში, ზიზღი მეუფლება, როდესაც ვხედავ, როგორ ცდილობენ ამ საფრთხის აღდგენას დასავლური მედიასაშუალებები“.

**«როგორც ადამიანს, რომელიც მუშაობდა რეიგანის გუნდში და წვლილი მიუძღვის ცივი ომის დასრულებასა და მასთან დაკავშირებული ატომური საფრთხის აცილებაში, ზიზღი მეუფლება, როდესაც ვხედავ, როგორ ცდილობენ ამ საფრთხის აღდგენას დასავლური მედიასაშუალებები»**



### პოროშენკო:
## ნატოში უკრაინის შესვლა 5-6 წლით გადაიდო

**უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო უკრაინას ნატოს წევრის სტატუსს 2020-2021 წლებისთვის უწინასწარმეტყველებს, ამჟამად კი კიევს თავისი ჯარისკაცების ამუნიციით უზრუნველყოფის თავიც არ აქვს.**

ამერიკული ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პეტრე პოროშენკომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის გაწევრების გეგმაზე ილაპარაკა: „ჩემი მოვალეობა ქვეყანაში რეფორმების გატარებაა, ქვეყნის ტრანსფორმირება ნატოს სტანდარტების შესაბამისად, და შემდეგ ჩვენ გვექნება ეს დისკუსია. ვფიქრობ, ამისთვის 5-6 წელია საჭირო“, — განაცხადა პოროშენკომ.

ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რამდენიმე თვის წინათ განაცხადა, რომ უკრაინას დიდი დრო დასჭირდება, ნატოს მიერ დაწესებული კრიტერიუმის შესაბამისი ქვეყანა რომ იყოს. ცოტა ხნის წინათ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის არმიას სხვადასხვა დანიშნულების საგნებით ამარაგებს ევროპის ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანა — ალბანეთი.



## ნატოს ერთ-ერთი წევრი ქვეყნის პრემიერმა მხარი დაუჭირა რუსეთის მოქმედებებს სირიაში

**ნატოს რიგებში განხეთქილებაა. გერმანული გამოცემა Wirtschafts Nacchrichten-ი იუწყება, რომ სლოვაკეთის პრემიერმინისტრმა რობერტ ფიცომ მხარი დაუჭირა რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების მოქმედებას სირიაში.** „რობერტ ფიცომ განაცხადა, რომ მისთვის სულერთია, ვინ მიაღწევს წარმატებას „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში — აშშ თუ რუსეთი, რადგან შედეგი ერთი და იგივე იქნება. ამასთანავე, ფიცომ მოუწოდა, სირიის კრიზისის მოგვარებაში ჩართონ პრეზიდენტი ბაშარ ასადიც. გერმანიის პოლიტიკასთან ურთიერთობის უსიამოვნო გამოცდილების შემდეგ, როგორც ჩანს, სლოვაკეთის პოლიტიკურმა ელიტამ გადაწყვიტა, მხარი დაუჭიროს რუსეთის ჩარევას სირიის საქმეებში“, — წერს გერმანული გამოცემა.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თეა წულუკიანი და მისი უწყება პარტიის რეალურ მფლობელს პასუხობენ, მოკლებულები ვართ შესაძლებლობას, თქვენი საჩივარი განვიხილოთო. წულუკიანი ასეთ პასუხს იმიტომ იძლევა, რომ მირიან მირიანაშვილს სასამართლოში საჩივრის შეტანის საშუალება არ მიეცეს. მოგეხსენებათ, სასამართლოს იმ შემთხვევაში მიმართავ, როდესაც ადმინისტრაციის უკანონო ქმედებას ასაჩივრებ, შესაბამისად, წულუკიანი და მისი უწყება საერთოდ უარს ამბობს მირიანაშვილის მოთხოვნის განხილვაზე. ასეა — მინისტრი წულუკიანი უკანონო ბრძანების გაუქმებაზე ამბობს უარს“.**

# «ნაცები», ქვეყნის მოსახლეობის 99%-იც რომ უჭერდეს მხარს, მაინც უნდა გასამართლდნენ»

ბოლო ერთი კვირაა, საზოგადოება „ნაციონალების“ გარშემო ატეხილი აურზაურის მომსწრეა. ხშირად ამ აურზაურს ყოფილი ხელისუფლების წევრები იწვევენ ხან ხელოვნურად, ხანაც — გარემოებებიდან გამომდინარე. მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ „ნაცებს“ ხელს აძლევთ მსხვერპლის როლში ყოფნა, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ეს მათ ვერ უშველის. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის, გაუქმებას მოითხოვს. ხალხს აღარ სურს, „ნაციონალები“ კვლავ იხილოს მომავალ არჩევნებში. ხელისუფლება კი „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური არენიდან გაქრობას ვერ ახერხებს ან, შეიძლება, ეს არც სურს, თუმცა, როგორც ჟურნალისტი თეიმურაზ კვირკველია ამბობს, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ერთი ხელის მოსმით შეუძლია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმება.

„დღეს „ნაცმოძრაობის“ რეგისტრაციის გაუქმების ვალდებულება, ქართული კანონმდებლობის თანახმად, კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით, აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და პერსონალურად თეა წულუკიანს, რასაც, კანონის იგნორირებით, იგი თავს არიდებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა და იგი უნდა გასამართლდეს“, — წერს სოციალურ ქსელში თეიმურაზ კვირკველია. ზემოაღნიშნულ საკითხზე ინტერვიუ ჟურნალისტ **თეიმურაზ კვირკველიასა** და პარლამენტარ **ომარ ნიშნიანიძეს** ჩამოვართვით.



**«მინისტრი წულუკიანი უკანონო ბრძანების გაუქმებაზე ამბობს უარს»**

**თეიმურაზ კვირკველია, ჟურნალისტი:**

— 2002 წელს იუსტიციის სამინისტრომ მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე კოტე კუბლაშვილის ხელმოწერით გამოსცა ბრძანება №823, რომლითაც პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილს გადაუფორმეს. პარტია, სინამდვილეში, უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატს — **მირიან მირიანაშვილს** ეკუთვნოდა. იმ პერიოდში იუსტიციის სამინისტროში არსებობდა სპეციალური კომისია, რომელიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არეგისტრირებდა. ამ კომისიას ჰქონდა თავისი დებულება, რომელშიც ზუსტად იყო გაწერილი, რა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში იყო შესაძლებელი პოლიტიკური ორგანიზაციის რეგისტრაცია. **რეგისტრაციის შესახებ ბრძანება გამოიცემოდა მხოლოდ მას შედეგ, როცა კომისია კენჭს უყრიდა პარტიის რეგისტრაციას, მაგრამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააკაშვილზე გადაფორმების შემთხვევაში მსგავსი რამ არ მომხდარა.**

მას შედეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამფუძნებელმა მირიან მირიანაშვილმა იუსტიციის სამინისტროდან უამრავი დოკუმენტი გამოითხოვა, დასვა ყველა შეკითხვა, რომელთა დასმაც შესაძლებელი იყო და **ყველა მხრიდან პასუხი ასეთი იყო: იუსტიციის საბჭოს კომისიის 2002 წლის დასკვნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კენჭისყრის შედეგად გადაეცა მიშა სააკაშვილს, იუსტიციის სამინისტროში არ ინახებოდა. 2002 წლის სხდომის ოქმი არ იძებნება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2002 წელს არავითარი სხდომა არ ჩატარებულა. თუმცა ბრძანება „ენმ“-ის სხვისთვის გადაცემის შესახებ გამოცემულია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ეს ადმინისტრაციული აქტი-ბრძანება არის უკანონო და უსაფუძვლო. შესაბამისად, ორგანო, რომელმაც გამოსცა უკანონო ბრძანება, ვალდებულია, თვითონვე გააუქმოს აღნიშნული უკანონო ბრძანება.**

**თეა წულუკიანი** და მისი უწყება პარტიის რეალურ მფლობელს უპასუხებენ, — მოკლებულები ვართ შესაძლებლობას, თქვენი საჩივარი განვიხილოთო. **წულუკიანი ასეთ პასუხს იმიტომ იძლევა, რომ მირიან მირიანაშვილს სასამართლოში საჩივრის შეტანის საშუალება არ მიეცეს.** მოგეხსენებათ, სასამართლოს იმ შემთხვევაში მიმართავ, როდესაც ადმინისტარციის უკანონო ქმედებას ასაჩივრებ, შესაბამისად, წულუკიანი და მისი უწყება, საერთოდ უარს ამბობს მირიანაშვილის მოთხოვნის განხილვაზე. ასეა — **მინისტრი წულუკიანი უკანონო ბრძანების გაუქმებაზე ამბობს უარს.**

**— გამოდის, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ხელს უშლის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებას?**

— დიახ, რა თქმა უნდა, ხელს უშლის, მაგრამ ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ უყვარს „ნაცმოძრაობა“, უბრალოდ, მას მიაჩნია, რომ ამ პარტიის გაუქმებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვება ევროპაში. წულუკიანი თავს არ იტკიებს და მისი თანაგუნდელებიც ეუბნებიან, რომ ეს არ გააკეთოს. მათ არ სჭირდებათ ხმაური.

**— თანაგუნდელებში ვის გულისხმობთ?**

— აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სწორედ მათ შეუშალეს ხელი მირიანაშვილს პარტიის დაბრუნებაში. სასამართლომ თავის დროზე, ანუ 2003 წელს, მირინაშვილის დედის ხელმოწერა გააყალბა და დღეს, საქმე რომ აღიძრა ამ ფაქტის წინააღმდეგ, პროცესი, რომელსაც მირინაშვილები უეჭველად მოიგებდნენ, უცბად შეჩერდა, ჩაიფარცხა, როგორც ჩანს, ვიღაცას, ზემდგომს, ამ პარტიის გაუქმება ხელს არ აძლევდა.

**— თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ამბობს, რომ უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც კადრები გაავრცელეს, ის არ ითხოვს დანაშაულის ჩამდენის დასჯას.**

— თინა ხიდაშელის განცხადება ალოგიკური იყო. არადა, ეს ქალბატონი მახვილი გონებით გამოირჩევა. თინა ხიდაშელი ამბობს, გვინდა თუ არა, ანგარიში უნდა გავუწიოთ „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველს, ბევრნი არიან თუ ცოტაო. მინდა, თინა ხიდაშელს ვუთხრა: 1945 წელს ადოლფ ჰიტლერს გერმანიის მოსახლეობის 95% უჭერდა მხარს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ფაშისტების გასამართლებისთვის, ისინი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის გაასამართლეს. ასე რომ, „ნაცებს“ ქვეყნის მოსახლეობის 99%-იც რომ უჭერდეს მხარს, მაინც უნდა გაასამართლონ.

**— როგორ ფიქრობთ, არ დადგა დრო, გაუქმდეს „ნაციონალური მოძრაობა“ და მათ მომავალ არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალოთ?**

— „ნაცმოძრაობა“ საშიში ძალაა. ის, რაც დღეს ხდება, მათი მოწყობილია. ვგულისხმობ, იმ ახალ ფარულ ჩანაწერებს, რომლებიც ამ დღეებში გამოქვეყნდა. მათ სურთ, რომ დაჩაგრულის როლში იყვნენ. ამით ევროპელების ყურადღებას მიიპყრობენ და მხარდამჭერებს შეიძენენ.

ხელისუფლება უსუსური აღმოჩნდა, მათ თავიდანვე უნდა დაეყენებინათ საკითხი, რომ „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი პოლიტიკური ორგანიზაციაა და „ნაცების“ ბოგინი ერთი წლის წინათ დასრულდებოდა. დღეს ეს აუცილებლად გასაკეთებელია, მაგრამ „ნაცებს“ უკვე შეუძლიათ თქმა, რომ მათი შეეშინდათ და ამიტომ აუქმებენ.



**«ნაციონალური მოძრაობა» აქამდეც უნდა აგვეკრძალა, უნდა გაგვესამართლებინა, მაგრამ თავს კოაბიტაცია მოგვახვიეს»**

**ომარ ნიშნიანიძე, „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი:**

**— ბატონო ომარ, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს თურმე ერთი ხელის მოსმით შეუძლია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმება, რადგან ის თავის დროზე რეალურ მეპატრონეს კანონდარღვევით წაართვა სააკაშვილმა. მოძრაობის დამფუძნებელი დღემდე ჩივის, მაგრამ სამართალი ვერ იპოვა.**

— რაღაც ამგვარი ისტორია მახსოვს, რაღაცას ყური მოვკარი წლების წინათ... თუ ეს სიმართლეა და ის პიროვნება, რომელსაც პარტია ეკუთვნოდა, ჩივის, მაშინ თეა წულუკიანი თავს რატომ იკავებს? თუ იმის დამადასტურებელი საბუთი არსებობს, რომ „ნაციონალები“ თვითმარქვიები არიან, აუცილებლად უნდა აიკრძალოს.

„ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც საქართველოსთვის უდიდესი ტრაგედიაა, თავის დროზე უნდა აგვეკრძალა, უნდა გაგვესამართლებინა, მაგრამ თავს კოაბიტაცია მოგვახვიეს, თანაც მხოლოდ ჩვენ კი არა, ქვეყანას. ჩვენი თავი ჯანდაბას, გავუძლებთ, მაგრამ ქვეყანა როგორ გაუძლებს?! **ამ დღეებში პარლამენტის ტრიბუნიდან ვიტყვი, რომ ეს თვითმარქვია, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული ძალა აიკრძალოს.**

**— „ნაციონალებს“ მომავალ არჩევნებში მონაწილეობას აუკრძალავთ?**

— არა მგონია, ეს შევძლოთ, მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ წევრებს ამის სურვილი გვაქვს და ხშირადაც ვსაუბრობთ. „ნაცებს“ ევროპაში ძალიან დიდი და ძლიერი ლობი ჰყავთ. ისე, ამ პარტიის გაუქმებას ორივე ხელით მივესალმები.

**— რას იტყვით თინა ხიდაშელის განცხადებაზე, რომ ფარული ჩანაწერების გამავრცელებლები დაისაჯონ და არა ჩამდენები?**

— რესპუბლიკელების აზრი თავიდანვე ვიცოდით და მათ „ნაციონალური მოძრაობისადმი“ დამოკიდებულებას ვერავინ შეაცვლევინებს. საკუთარი აზრის გამოთქმა ყველას შეუძლია და, რა თქმა უნდა, ხიდაშელსაც, ოღონდ მის ნათქვამს არ ვეთანხმები. **მომხრე ვარ, საზარელი საქმის ჩამდენები დაისაჯონ.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**




**«ხელისუფლება უსუსური აღმოჩნდა. მას თავიდანვე უნდა დაეყენებინა საკითხი, რომ «ნაცმოძრაობა» დანაშაულებრივი პოლიტიკური ორგანიზაციაა და «ნაცების» ბოგინი ერთი წლის წინათ დასრულდებოდა. დღეს ეს აუცილებლად გასაკეთებელია, მაგრამ «ნაცებს» უკვე შეუძლიათ თქმა, რომ მათი შეეშინდათ და ამიტომ აუქმებენ»**

„ამ საქმეს ჰააგის ტრიბუნალი რომ იძიებს, საქართველოსთვის მაინცდამაინც კარგი არ არის. ძიების პროცესში დამნაშავე ბევრი აღმოჩნდება, საქართველოსაც ბევრი დამნაშავე ეყოლება. დანაშაულის ელემენტები მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ იქნება. ყოფილი პრეზიდენტი საჯაროდ მოუწოდებდა ჯარს კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისკენ, რასაც სამშვიდობოების იმჟამინდელი სარდალი მამუკა ყურაშვილი ადასტურებდა. ერთ-ერთი დიდი დანაშაული სამშვიდობოებზე თავდასხმა იყო“.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვახტანგ მაისაია: საქართველოს ლიბანიზაცია ემუქრება

**გასულ კვირას მედიის ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტმა მიიპყრო: საქართველოს ჰააგის სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა ეწვია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დეტალებს იძიებს და მასში მონაწილე დამნაშავე პირების გამოვლენას ცდილობს. სპეციალისტების აზრით, ის საქართველოდან ისე არ წავა, რომ საქმე ბოლომდე არ გამოიძიოს.**
**კვირის ბოლოს კი საზოგადოების ყურადღების ცენტრში „ნაცმოძრაობა“ აღმოჩნდა. სააკაშვილის თანაგუნდელებმა თავდაპირველად საპროტესტო აქციებით მიიპყრეს ყურადღება, მაგრამ ეს ხმაური ჩაახშო მათივე მმართველობის პერიოდში გადაღებულმა შემზარავმა ვიდეოჩანაწერებმა, რომელთა კადრებიც ქალაქ ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში მოსახლეობას საჯაროდ აჩვენეს...**
**საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება ექსპერტი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ვახტანგ მაისაია.**



**«თავდასხმა სამშვიდობო ჯარზე, ვისიც უნდა იყოს, დიდი დანაშაულია. ასე რომ, ჰააგის პროკურორს, არა მგონია, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან და მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილთან მშვიდი საუბარი ჰქონოდა. მათი საუბარი მძიმე იქნებოდა და კიდევ უფრო დამძიმდება ძიების პროცესში»**

**— გასულ კვირას საქართველოში ჩამოვიდა ჰააგის სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დეტალებში გარკვევასა და დამნაშავე პირების დადგენას ცდილობს. აგვისტოს ომის გამოძიებას ქართველი საზოგადოება, დიდი ხანია, ითხოვს და ძიებაც დაწყებულია, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი დასკვნა არ გამოქვეყნებულა. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, ჯერ კიდევ ყოფილი პროკურორი ზურაბ ადეიშვილი ცდილობდა ამ საქმის გამოძიებას და ჩვენც ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვერ შევედითო... რატომ შეიქნა საჭირო ჰააგის პროკურორის ჩამოსვლა?**

— ამჟამინდელი ხელისუფლების განცხადებებს რომ ვისმენ, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს... აგვისტოს ომის გამოძიება დღის წესრიგში რომ დადგებოდა, 2013 წელს იყო ცხადი. ჰააგის სასამართლომ სწორედ 2013 წელს გააფრთხილა საქართველო, დაესრულებინა გამოძიება. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა **ალექსანდრე ბასტრიკინმა** კი დაიწყო გამოძიება და დამნაშავეებიც დაისაჯნენ. ქართულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, ბოლომდე გამოეძიებინა ომისდროინდელი ფაქტები, მაგრამ გამოძიება ბოლომდე ვერ მიიყვანეს და საჭირო შეიქნა ჰააგის პროკურორის ჩარევა. **ფატუ ბენსუდა გამოძიებას ბოლომდე მიიყვანს. ის ცდილობს, ყველა დეტალში გაერკვეს, რომლებიც 2008 წლის ივნისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე მოხდა, მას სწორედ ამ პერიოდში ჩადენილი დანაშაულები აინტერესებს.**

საქართველო 2008 წლის ომზე ითხოვდა გამოძიებას, როგორც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისას. ბუნებრივია, რომ მხარეს, რომელიც ამ კუთხით ითხოვს ძიების დაწყებას და ბოლომდე არ მიჰყავს დაწყებული საქმე, საეჭვო ვითარება აქვს.

შემთხვევითი არ არის, რომ ფატუ ბანსუდა თბილისს ეწვია და არა მოსკოვს. და, საერთოდაც, ეჭვი მეპარება, რომ პროკურორი მოსკოვში ჩავიდეს. მან ძალიან მკაცრად დააყენა საკითხი — რატომ ვერ მოახერხა გამოძიების ბოლომდე მიყვანა ქართულმა მხარემ.

ვარდისფერი სათვალით მზერა ქართველებს არაფერში გვარგებს, სჯობს, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ. 2008 წლის აგვისტოს ომში სამივე მხარე თანაბრად დამნაშავეა.

**ჰააგის ტრიბუნალი არ იძიებს საქმეს, რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ ასეთ განაჩენს არ გამოიტანს, ძიება კონკრეტული პიროვნებებს მიმართ მიმდინარეობს და ქვეყანა არაფერ შუაშია. არადა, ყველა შიშობს, რომ ქვეყანას დაადანაშაულებენ.** სამწუხაროა, რომ კვალიფიციური იურისტები არ გვყავს.

**— შესაძლოა, დანაშაულის კვალი ისეთ ადამიანებზე გადის, რომელთა დანაშაულის აღიარებაც არ სურთ და ხელს აფარებენ...**

— არ ვიცი, ვისთვის სურთ ხელის დაფარება, მაგრამ ფაქტია, რომ **2008 წლის 8 აგვისტოს ბრძანება შუა ღამისას გაიცა და ქართული სოფლები დაიბომბა, გამოყენებული იყო კასეტური ბომბები. გასარკვევია, ვინ მიაგდო ბედის ანაბარა ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა. არის კიდევ უამრავი ნიუანსი, რომლებიც გასარკვევია. ხელისუფლებამ არ უზრუნველყო მოსახლეობის დაცვა. ეს უდიდესი დანაშაულია, იმაზე დიდი, ვიდრე ომის დაწყება.**

იმხანად საქართველოში დიქტატორულ-ავტორიტარული რეჟიმი იყო, ასეთივე იყო ოსეთშიც, ამიტომ ომის დაწყების ბრძანების გაცემაც შესაბამისად მოხდა. ბრძანების გაცემის მოთავეები იქნებიან დამნაშავეებიც. **ამ საქმეს ჰააგის ტრიბუნალი რომ იძიებს, საქართველოსთვის მაინცდამაინც კარგი არ არის. ძიების პროცესში დამნაშავე ბევრი აღმოჩნდება, საქართველოსაც ბევრი დამნაშავე ეყოლება.**

დანაშაულის ელემენტები **მიხეილ სააკაშვილის** წინააღმდეგ იქნება. ყოფილი პრეზიდენტი საჯაროდ მოუწოდებდა ჯარს კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისკენ, რასაც სამშვიდობოების იმჟამინდელი სარდალი **მამუკა ყურაშვილი** ადასტურებდა. ერთ-ერთი დიდი დანაშაული სამშვიდობოებზე თავდასხმა იყო. **თავდასხმა სამშვიდობო ჯარზე, ვისიც უნდა იყოს, დიდი დანაშაულია.**

ასე რომ, ჰააგის პროკურორს, არა მგონია, იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანსა** და მთავარ პროკურორ **გიორგი ბადაშვილთან** მშვიდი საუბარი ჰქონოდა. მათი საუბარი მძიმე იქნებოდა და კიდევ უფრო დამძიმდება ძიების პროცესში.

**— რამდენიმე დღის წინათ ნაცმოძრაობისდროინდელი კიდევ ერთი შემზარავი ფარული ჩანაწერი მოსახლეობას საჯაროდ აჩვენეს...**

— ეს კადრები ნანახი მაქვს. მსგავსი კადრები 2013 წელს რომ გამოჩნდა, პირველად თქვენს გაზეთთან ინტერვიუში ვთქვი, რომ ეს ასლები იყო და ორიგინალები სხვაგან, ქვეყნის გარეთ ინახებოდა. იმხანად ეს ვერსიად ჩათვალეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავი.

სანამ ამ ჩანაწერების შესახებ შევიტყობდით რამეს, უკრაინაში გაიმართა კონფიდენციალური შეხვედრა ოლიგარქ **იგორ კოლომოისკისა** და ყოფილი კუდ-ის უფროს **ირაკლი კოდუას** შორის, შემდეგ გამოქვეყნდა ეს კადრები.

რისთვის დასჭირდათ ეს ყველაფერი? „ნაცმოძრაობის“ შიგნით დამსჯელი ზონდერების შემადგენლობაში, ანუ „სიკვდილის ესკადრონების“ რიგებში ბზარები გაჩნდა, შესაბამისად, მათ ყოფილი „პატრონების“ წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება. ეს ნაბიჯი **მეგის ქარდავამ** და **ირაკლი კოდუამ** გადადგეს. კოდუა დიდხანს დაძრწოდა ხან აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხან — თურქეთში, ხან — უკრაინაში, თავს ვერაფერი უშველა და ბოლოს ეს გადაწყვეტილება მიიღო. **კოდუამ ეს კადრები უკრაინელი საზოგადოებისთვის გაავრცელა, პირველად იქ აჩვენეს. კადრებს დიდი გამოძახილი ჰქონდა, იმაზე დიდი, ვიდრე ჩვენთან. მოტივი იყო სააკაშვილის კარიერის დასრულება.**

„ნაცმოძრაობა“ მარტივ მამრავლებად იშლება და ვირთხები გემიდან გაქცევას ცდილობენ.

**— „ისლამურმა სახელმწიფომ“ რუსეთს ჯიჰადი გამოუცხადა. გვემუქრება თუ არა ჩვენ საფრთხე? საქართველოს საზღვრები დაცული არ აქვს, ჩვენი ქვეყნის ბევრი მოქალაქე იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში, ზოგიერთი უკან ბრუნდება...**

— ჯიჰადი ამერიკასაც გამოუცხადეს, ქართველები კი ნატოს ჯარებშიც ბევრნი არიან... საფრთხე ძალიან დიდია — საქართველოს ლიბანიზაცია ემუქრება. საქართველო ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც 1982 წელს ლიბანი იყო. ლიბანს, ვისაც არ ეზარებოდა, სატრანზიტო დერეფნად იყენებდა. პალესტინა კი იქიდან ისრაელზე თავდასხმებს აწყობდა, ისრაელმაც ნახევარი ლიბანი დაიკავა და უშიშროების ზონა შექმნა, შეიჭრა სირიაც და გაერკვეული ტერიტორია ჩაიგდო ხელში. ამას გარდა, ლიბანში მოქმედებდნენ რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები და ა.შ. **1976 წლიდან ლიბანი „შავი ტრანზიტის“ ქვეყანაა და ამ ყველაფერს ლოგიკური გაგრძელებაც მოჰყვა, იქ ისრაელისა და არაბეთის მე-6 ომი დაიწყო, რის გამოც, უკვე 1982 წელს ნატოსა და საბჭოთა კავშირის ჯარების ჩარევა გახდა საჭირო.**

ყველაფერი იქით მიდის, რომ საქართველო ე.წ. შავი ტრანზიტის მნიშვნელოვან არეალად გადაიქცეს. „ისლამურ სახელმწიფოს“ საქართველო სჭირდება, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, სურს, თავისი მებრძოლები ჩვენი ტერიტორიის გავლით რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში გადაისროლოს.

საქართველოში ყველას შეუძლია შემოსვლაც და გასვლაც, ჩვენ დაცულები არ ვართ.

**რამდენიმე დღის წინათ გაჩნდა კადრები, რომელსაც ყურადღება არავინ მიაქცია. სირიიდან წამოსულმა მოჯაჰედებმა, რომლებმაც საქართველოს ტერიტორია გაიარეს, ჩრდილოეთ კავკასიაში „ისლამური სახელმწიფოს“ დროშა აღმართეს და განაცხადეს, რომ იწყებენ გააქტიურებას. ვიდეო გაავრცელა ვინმე ხამზატმა, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი თავკაცია.** სირიიდან ჩავიდა ახალი ძალა და მას შეუერთდა. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ **მოჯაჰედებმა საქართველოს ტერიტორია გაიარეს.**

**— საქართველოს ხელისუფლება თუ ატარებს პრევენციულ ზომებს?**

— ამ ხელისუფლების კონტრდაზვერვის დეპარტამენტი **ახმედ ჩატაევის** საქმეს იძიებდა და მათ ის გაათავისუფლეს. შეიძლება, სამართლებრივად მისი გათავისუფლება სწორი იყო, მაგრამ კონტრდაზვერვა იმისთვის არსებობს, რომ რისკები გათვალოს. **ახმედ ჩატაევი ტერორისტთა სიაშია**...

რაც შეეხება იმას, პრევენციულ ზომებს იღებს თუ არა ხელისუფება, ვერ გეტყვით, როგორც სპეციალისტს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, მსგავსი რამ არ შემიმჩნევია. შესაძლოა, ისეთ მაღალ დონეზე მუშაობენ, რომ ამას ვერ ვამჩნევთ და ეს კარგიც არის, მაგრამ მეეჭვება.

**— მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველო... ვართ კი ადეკვატურები?**

— ადეკვატურობაზე რა მოგახსენოთ. ჩვენგან 600 კილომეტრში რეგიონული კონფლიქტი მიმდინარეობს, მისი მასშტაბები განუსაზღვრელია და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო სირაქლემის პოზაშია. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებები მიმდინარე პროცესებს ადეკვატურად არასოდეს აფასებდნენ.

**სირიაში, ჩვენგან ასე ახლოს, ომია და რომელი ქართული ეროვნული ტელევიზია აშუქებს მიმდინარე პროცესებს, თანაც რეალურად? ვინმემ იცის, დეტალურად რა ხდება მსოფლიოში?** სულ რამდენიმე გამოცემა წერს ამ თემაზე და ერთ-ერთი თქვენი გაზეთია, რაც მისასალმებელია.

ყველაფერი ძალიან ცუდად არის. არადა, თავს უსაფრთხოდ ვგრძნობთ, ეს ქართული სიბეცეა. როგორც დიდი ილია ამბობდა, ვმალოთ ყველაფერი და რამდენად წაგვადგება, ვნახოთ.

**სირიიდან წამოსულმა მოჯაჰედებმა, რომლებმაც საქართველოს ტერიტორია გაიარეს, ჩრდილოეთ კავკასიაში «ისლამური სახელმწიფოს» დროშა აღმართეს და განაცხადეს, რომ იწყებენ გააქტიურებას**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს არის ადამიანთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, ცინიზმით, წამებისა და ძალადობრივი გზით გაუპატიურების ფაქტები. ვიდეომასალა შეიცავს მთელ რიგ სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებულ დანაშაულებს, ანუ ეს არის ფაქტობრივი მასალა, რომლის განადგურებაც არ არის მიზანშეწონილი“.**



## ოთარ ჩრდილელი: დამნაშავე რეჟიმთან თანაცხოვრება არ შეიძლება, ის ჯერ უნდა გასამართლებულიყო

**უკრაინულმა ვებგვერდმა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ჩადენილი, სამეგრელოში ნაპოვნი წამებისა და გაუპატიურების შემზარავი კადრები გაავრცელა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან „ნაციონალების“ წინააღმდეგ მწვავე განცხადებები მოჰყვა. მათ შორის ყველაზე ემოციური იყო საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ ჩრდილელი, რომელმაც სოციალური ქსელიდან მიმართა ყოფილ ხელისუფლებას: „ბოზი სისტემა! თქვე არაკაცებო! „ნაციონალ“ დეპუტატებს მოგმართავთ, რომლებმაც ეს არ დაგმეთ და აპრავებთ, იმ კასტილიანის მსგავსი გყოლოდეთ ოჯახში ყველაზე უმცროსი, თქვე პათოლოგებო! აგერ შემომახვიეთ თქვენი მანდატრები, აი, აგერ! თქვენ რის მიტინგებს მართავთ, თქვე უტეხი ნაბოზვრების ბრიაშკავ! მიშა სააკაშვილო, დამპალი თესლიდან აღმოცენებულო, საქართველოში ფეხს ვერ ჩამოადგამ“, — დაწერა დეპუტატამ სოციალურ ქსელში.**

**„ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვისა და დამნაშავე რეჟიმად გამოცხადების შესახებ ალაპარაკდნენ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც. რატომ დაიწყო ხელისუფლებამ მხოლოდ ახლა, კადრების საჯაროდ გავრცელების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასა მის დამნაშავე რეჟიმად გამოცხადებაზე საუბარი და რატომ განაგრძობს „ქართული ოცნება“ ყოფილ ხელისუფლებასთან კოაბიტაციას? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ ჩრდილელი ესაუბრება.**

**— ბატონო ოთარ, სამეგრელოში ნაპოვნი შემზარავი კადრების გავრცელების შემდეგ „ნაციონალების“ მიმართ სოციალურ ქსელში საკმაოდ ემოციური და მწვავე განცხადება გააკეთეთ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ეს კადრები ადრეც ნანახი გქონდათ, მაინც განაგრძობდით კოაბიტაციურ რეჟიმში მათთან თანამშრომლობას?**

— მე ნამდვილად არ მქონდა ნანახი ამ ვიდეოჩანაწერების არანაირი კადრი, და როდესაც ვნახე, ჩემში შოკი გამოიწვია, თავზარი დამცა. ჩემთვის, ისევე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანისთვის, ეს იყო მოულოდნელობა და ზიზღი გამიჩნდა, რადგან მსოფლიოში კოსმოსური სიჩქარით ვითარდება თანამედროვე ტექნოლოგიები, ჩვენ კი მავანი ცოცხის, ბოთლისა და „კასტილების“ ეპოქაში გვაცხოვრებდა. რაც შეეხება კოაბიტაციას, ეს იყო ჩვენი პოლიტპარტიისთვის თავსმოხვეული სიტუაცია. **დამნაშავე რეჟიმთან თანაცხოვრება არ შეიძლება, ის ჯერ უნდა გასამართლებულიყო.**

**— ის, რომ „ნაციონალები“ დღეს კვლავ მასშტაბური საპროტესტო აქციებით, სამთავრობო შენობების პიკეტირებით, რევოლუციით იმუქრებიან და ხელისუფლებაში დაბრუნების შესახებ საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებენ, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თქვენი ხელისუფლების სისუსტის ბრალი?**

— „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ ლადშაფტს ანაგვიანებს. ის, უკვე წლებია, ობსტრუქციულ-დესტრუქციულ ძალად გადაიქცა. „ნაციონალებს“ ხელისუფლებაში დაბრუნება იმიტომ სურთ, რომ ძალაუფლებით დატკბნენ და თავიანთი ბედნიერება სხვების უბედურებაზე ააგონ. ხელისუფლებაში ყოფნა ნიშნავს, რომ საქმე აკეთო, მათ კი ძალაუფლება ხიბლავთ და არა საქმის კეთება.

რა დროს რევოლუციებია, ხალხნო?! ნუ აჰყვებით ერთ მუჭა ლაზღანდარა დაბოლმილ პოლიტიკანებს. რომელი ნორმალური ადამიანი დააბრუნებს მათ ხელისუფლებაში და საქართველოს კვლავ აქცევს სოციოპათთა საჯიჯგნსაცდელ ლაბორატორიად?! წავიდა ის დრო, ხალხს აღარ სჯერა მათი. „ნაციონალებმა“ მილიონ პროვოკაციას მიმართეს, ოღონდ ხალხი ქუჩაში გამოეყვანათ, მაგრამ არ გამოუვიდათ და არც არასდროს გამოუვათ.

**— NDI-ს მიერ გავრცელებული კვლევის შედეგების შემდეგ, რომლის მიხედვით „ქართული ოცნების“ რეიტინგი 3%-ით ჩამორჩება „ნაციონალებისას“, „ნაციონალები“ და მათი მხარდამჭერები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ ეს კადრები კვლავ ოპონენტების დასამარცხებლად გაავრცელა.**

— არ ვაპირებ ასტრალში მყოფი „ნაციონალების“ ბჟუტურზე სერიოზულად საუბარს და თავის მართლებას. ენ-დი-აის „კვლევები“ უკვე კომიკურ ხასიათს ატარებს. მაგათი კვლევის იმედად იყო 2012 წელს „ნაცმოძრაობა“ და დარჩნენ კიდეც გალიმებულები. რაც შეეხება ენ-დი-აის, ვწუხვარ, რომ ასეთი ისტორიის მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია ავტორიტეტს ნელ-ნელა კარგავს არა მხოლოდ პოლიტისტებლიშმენტის, არამედ მოსახლეობის თვალშიც.

**— რატომ გამოდიან ხელისუფლების წარმომადგენლები რადიკალურად განსხვავებული განცხადებებით, მაგალითად, თინა ხიდაშელი, თამარ კორძაია, დავით ზურაბიშვილი და, „ნაციონალების“ მსგავსად, რატომ ხედავენ უფრო მეტ პრობლემას ამ კადრების გავრცელებაში ვიდრე მათ ჩამდენში?** ▶

## მამა ზაქარია: სჯობს, ამერიკის ელჩი ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს გაეცნოს, ვიდრე არაკორექტული განცხადებები აკეთოს



**რამდენიმე დღის წინათ რელიგიური უმცირესობის რვა ორგანიზაციამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი. საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენენ: ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია, საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია, ქართველ მუსლიმთა კავშირი, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი, საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია, წმინდა სამების ეკლესია და ქრისტეს ეკლესია; მათ ინტერესებს კი საკონსტიტუციო სასამართლოში დაიცავს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (დამაარსებელი — კახაბერ ბენდუქიძე), აგრეთვე, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. მოსარჩლეები ითხოვენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმ მუხლების გაუქმებას, რომლებიც, მათი აზრით, სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების, ანუ ე.წ. კონკორდატის საფუძველზე საგადასახადო შეღავათებს ანიჭებს მართლმადიდებლებს.**

**ამ საკითხზე გვესაუბრება სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე.**

**— მამაო, რელიგიური უმცირესობის რვა ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ პრივილეგიები, რომლებიც აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას საგადასახადო სფეროში, ქმნის უთანასწორო და დისკრიმინაციულ გარემოს. რა ასეთი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობთ?**

— საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არავითარი განსაკუთრებული პრივილეგიები არ აქვს. ეკლესია აწარმოებს ნივთებს, მაგალითად, ჯვრებს, ხატებს, სანთლებს და ა.შ. და მათი რეალიზაციიდან შემოსული თანხა სახელმწიფოს მიერ არ იბეგრება.

**— მამაო, დავუშვათ, ეკლესიამ დაიწყო ველოსიპედების წარმოება, მაშინ თუ დაიბეგრება გაყიდვიდან შემოსული მოგება?**

— რა თქმა უნდა, დაიბეგრება.

**— ნებისმიერი ტაძარი მომხმარებელია დენის, ბუნებრივი აირის, წყლის და ა.შ. კომუნალური გადასახადებიდან თუ ხართ გათავისუფლებულნი?**

— არა, არ ვართ გათავისუფლებული. უბრალოდ, უმრავლეს შემთხვევაში, კომუნალურ გადასახადებს იხდიან კერძო ორგანიზაციები ან კერძო პირები.

**— სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ აფინანსებენ ეკლესიას?**

— წლევანდელი ბიუჯეტიდან სახელმწიფომ ეკლესიას 25 მილიონი ლარი გამოუყო. ამ თანხის **არც ერთი თეთრი არ მოხმარებია ტაძრების მშენებლობას და სასულიერო პირებს. ეს ფული, ძირითადად, იხარჯება სასულიერო აკადემიაში, სემინარიებსა და ეკლესიის მიერ დაარსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სათნოების სახლებში მომუშავე პერსონალის ხელფასებზე.**

**— რელიგიურ უმცირესობებს თუ უხდიან ბიუჯეტიდან?**

— მათზე გამოყოფილია სამი მილიონი ლარი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაგ უმცირესობებს უხვად აფინანსებენ დასავლეთის ქვეყნები და იქაური საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

**— ერთი იღებს 25 მილიონ ლარს, დანარჩენებზე კი მხოლოდ სამი მილიონი ლარი ნაწილდება. თქვენი აზრით, ეს არ არის უთანასწორობა?**

— მოდი ასე გეტყვით: დავუშვათ, არის ადამიანი, რომლის შრომითი სტაჟი 50 წელია, მეორესი კი — მხოლოდ სამი. ამასთანავე, ორივე საპენსიო ასაკისაა. ვის ეკუთვნის უფრო დიდი პენსია?

**— წესით, იმას, ვისაც უფრო მეტი სტაჟი აქვს.**

— აგაშენათ ღმერთმა! დაეკლესიას უდიდესი დამსახურება აქვს ქართული სახელმწიფოს წინაშე. ჩვენი კულტურა, ძირითადად, მართლმადიდებლურია. აღარაფერს ვამბობ ეკლესიის იმ თავგანწირვაზე, როდესაც ჩვენი ქვეყანა და ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. გეკითხებით, რა დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე, თუნდაც ერთად აღებულ იმ რვა მოსარჩელეს?

**— ჩემი აზრით, არავითარი, მაგრამ, მამაო, ისინი ხელს იშველებენ ევროპული კანონმდებლობისკენ.**

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მაგ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა არ იციან ევროპული კანონმდებლობა. ავიღოთ ეუთოს 1999 წლის საცნობარო დოკუმენტი: **„რელიგიისა და რწმენის თავისუფლება: კანონი, რომელიც გავლენას ახდენს რელიგიურ გაერთიანებათა სტრუქტურაზე“, მასში წერია: “ღლეისათვის ამგვარი განსხვავება (პრივილეგიები — ავტ.) არ არღვევს თანასწორი მოპყრობის კანონებს, ალბათ, იმის გამო, რომ თვით ასეთ სისტემაში არსებული შეხედულებები ბუნებრივად გამომდინარეობს ისტორიიდან, ტრადიციებიდან, გარემოებებიდან“.** იყო ასეთი გახმაურებული საქმე — „იგლესია ბატისტა და ორტეგა მორატილა ესპანეთის წინააღმდეგ“. **ევროპულმა სასამართლომ დისკრიმინაციად არ მიიჩნია ის საგადასახადო შეღავათები, რომლებითაც ესპანეთში სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ კათოლიკური ეკლესია.** და ეს ბუნებრივია, რადგან მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის ესპანური სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

**— მსმენია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას ხელისუფლებამ აუნაზ-** ▶

რატომ არ შეიძლება ჩემთვის იმის ნახვა, რისი ნახვაც ამ პოლიტიკური ქათმებისთვის შეიძლება? ამ ასო-ექსპერტებმა უნდა გადამიწყვიტონ, რა ვნახო და რა არა? უმცირესობების დისკრიმინაციაზე კრიახით რომ გამოგვიჭედეს ყურები ამ ქათმებმა, წამების ამსახველი ფაილების განადგურება ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის დისკრიმინაცია, უფლებების დარღვევა არ არის?

ჰკა მაგათა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ — კოალიციის ყველა სუბიექტს თავისი მსოფლმხედველობა აქვს და არ არის სავალდებულო, ყველამ ერთ პრიზმაში გაატაროს ესა თუ ის მოვლენა. მთავარია, ყველა ვთანხმდებით, რომ ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მომხდარი სისტემური დანაშაულები ამაზრზენია და მათი ჩამდენები უნდა დაისაჯონ.

**— თქვენ ხართ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი. რას იტყვით, არის წამების ეს კადრები პირადი ცხოვრების ამსახველი და უნდა განადგურდეს თუ შენახული და დაცული იყოს, როგორც მტკიცებულება?**

— ეს არის ადამიანთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, ცინიზმით, წამებისა და ძალადობრივი გზით გაუპატიურების ფაქტები. ვიდეომასალა შეიცავს მთელ რიგ სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებულ დანაშაულებს, ანუ ეს არის ფაქტობრივი მასალა, რომლის განადგურებაც არ არის მიზანშეწონილი.

**— დასასრულ, ამ დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დანაშაულის ჩამდენი პირები არ დასჯილან. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, იხდიან სასჯელს ეს ადამიანები?**

— როგორც ჩემთვის არის ცნობილი, კონკრეტულად ამ ფაქტში მონაწილე ყველა პათოლოგი დამნაშავე დაჭერილია და სასჯელს იხდის.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

◀ **ღაურა ის ზარალი, რომელიც მას მიაყენეს ბოლშევიკებმა.**

— არ ვიცი, რას ეძახიან ანაზღაურებას. ბოლშევიკებმა 20-იან წლებში უამრავი ტაძარი დაანგრიეს, ეკლესიას წაართვეს სახნავ-სათესი მიწები, ტყეები, მამულები, საწარმოები... და, მთავარი — წაართვეს ხატები, ჯვრები, ბარძიმ-ფეშხუმები, რომლებიც დღემდე მუზეუმებშია გამომწყვდეული.

**— რას იტყვით იმ ფაქტზე, რომ მოსარჩლეთა ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში იცავენ ათეისტი კახა ბენდუქიძის მიერ დაარსებული თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ანუ, ფაქტობრივად, ლგბტ თემის ინტერესების დამცავი ორგანიზაცია.**

— რა უნდა ვთქვა?! ხომ გსმენიათ: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო!

**— ამერიკის ელჩმა საქართველოში მხარი დაუჭირა რელიგიური უმცირესობების ორგანიზაციებს. თქვენი აზრით, რატომ?**

— ვფიქრობ, ბატონ ელჩს უცოდინარობის გამო მოუვიდა ეს. ეტყობა, მან არ იცის, რა ქვეყანაში ჩამოვიდა. სჯობს, ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს გაეცნოს, ვიდრე აკეთოს არაკორექტული განცხადებები. თუ არ ვცდები, ის ახალდანიშნულია, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ გაგვიცნობს, სხვაგვარად შეგვხედავს.

ესაუბრა **გიორგი კორძაძე**

# აჩვენეთ ეს კადრები საქართველოს და «ნაცბანდა» აღარ იქნება!

**ასაკოვანი მკითხველი მიხვდება, რომ წერილის სათაური ლეონიდ ბრეჟნევის ნათქვამის პერიფრაზია, როდესაც გაგანია ცივი ომის დროს „ბუნჩულა" ლეონიდ ილიჩმა ქართულ საბავშვო ანსამბლ „მზიურზე" ბრძანა: „აჩვენეთ ეს გოგონები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!.." წერილის სათაური უკრაინულ ვებგვერდზე ამას წინათ გამოქვეყნებულ საშინელ კადრებს რომ ეხება, ამას ასაკოვანიც და ახალგაზრდაც ადვილად მიხვდება...**



ლაშა ტუღუში



ზვიად ქორიძე



ხათუნა ლაგაზიძე

## დააკვირდით: ყველა მოითხოვს, დადგინდეს, საიდან და ვისგან მოხვდა წამება-გაუპატიურების ამსახველი ვიდეოჩანაწერები უკრაინაში, და თითქმის არავინ მოითხოვს არაკაცი მწამებლების გამოვლენა-დასჯას

დიახაც, ეს და არა მხოლოდ ეს, კადრები, არამედ სამეგრელოს ტყეებში ნაპოვნი 28 ათასი ფაილი ყველამ უნდა ნახოს, ოღონდ იმის გამოკლებით, რაც ადამიანის პირად ცხოვრებას ეხება, თუნდაც მამათმავლობა ან სექსუალური ორგიები იყოს.

**რა შეიძლება უწოდო უკრაინული ვებგვერდის მიერ გავრცელებულ კადრებს — საშინელი, სადისტური, მხეცური? — ვერც ერთი ეპითეტი სრულად ვერ გადმოსცემს ნანახმოსმენილს, რადგან მას სახელი არ აქვს, ამას თვით ფაშისტებიც არ კადრულობდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში!**

მიუხედავად ამისა, **გამოჩნდნენ „მორალისტები", რომლებმაც თავიანთი გამონათქვამებით ნიღბები ჩამოიხსნეს... მაგალითად, თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ იმ კადრებზე აღბეჭდილ დანაშაულზე არანაკლები დანაშაული იმ კადრების ჩვენებააო... და სასწრაფოდ მოითხოვა გამოძიების დაწყება, საიდან გაჩნდა ვიდეოჩანაწერები უკრაინულ საიტზე? სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმაც თითქმის იგივე დაახეთქა: ეს კადრები ადამიანის პირადი ცხოვრებაა და მათი გასაჯაროება სისხლის სამართლის დანაშაულიაო და მანაც დამნაშავეთა სასწრაფოდ გამოვლენა და დასჯა მოითხოვა.**

ეს ის სახალხო დამცველია, რომელიც კრინტს არ ძრავს საქართველოს პატრიარქის მრავალგზის შეურაცხყოფაზე, რადგან უწმინდურების მიერ უწმინდესის ლანძღვა-გინება თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ქვაკუთხედი, ე.წ. გამოხატვის თავისუფლება ყოფილა და, თუ ევროპა და ნატო გვინდა, ქართველი საზოგადოება მართლმადიდებლურ ეკლესიას და მის პატრიარქს კი არ უნდა ვეთაყვანოთ, არამედ გამოხატვის თავისუფლება დავისვენოთ ხატად და საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინებების სასწრაფოდ დასაკანონებლად ვილოცოთ... ეს „დამცველი" იმაზე ზრუნავს, რომ საქართველოში სქესის შეცვლის პროცედურები გამარტივდეს და დასავლელ პატრონებთან არზებს აშანშალებს იმის შესახებ, როგორ დისკრიმინაციას განიცდიან რელიგიური, სექსუალური თუ სხვა უმცირესობები საქართველოში. ოო, რა ენა მოსწრებულად „მოარტყა" ამას წინათ ლევან ვასაძემ ტელეკომპანია „მაესტროს" პირდაპირ ეთერში: **„ერთი სარკეში ჩაიხედოს, საქართველოში რომ უმცირესობათა დისკრიმინაცია იყოს, მაგას სახალხო დამცველად ვინ დასვამდა?!"**

„მორალისტურ-ჰუმანისტური" აღშფოთებით საუბრობენ დოლარნაჭამი ასოების (არასამთავრობოების) წარმომადგენლები თუ **ლაშა ტუღუშისა** და **ზვიად ქორიძის** მსგავსი „ექსპერტებიც". სხვათა შორის, მაგ ექსპერტ-ასოების დაჟინებულ მოთხოვნას დაჰყვა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას **ირაკლი ღარიბაშვილი** და სამეგრელოს ტყეებში ნაპოვნი ფაილების უმრავლესობა საზეიმოდ გაანადგურეს.

გაანადგურეს, მაგრამ ჯერ ექსპერტ-ასოებს უჩვენეს, რომლებმაც დაადგინეს, რომ იმის ნახვა, რაც მათ აჩვენეს, საზოგადოების დანარჩენი წევრებისთვის არ შეიძლება, რადგან ქართველ კაცს სუსტი გული აქვს და, ემანდ, არ გაუსკდესო!

ეს, როგორც იტყვიან, ხუმრობით. სერიოზულად კი, **უკაცრავად და, ვინ არიან ეს ექსპერტები?! რატომ არ შეიძლება ჩემთვის იმის ნახვა, რისი ნახვაც ამ პოლიტიკური ქათმებისთვის შეიძლება? ამ ასო-ექსპერტებმა უნდა გადამიწყვიტონ, რა ვნახო და რა არა? უმცირესობების დისკრიმინაციაზე კრიახით რომ გამოგვიჭედეს ყურები ამ ქათმებმა, წამების ამსახველი ფაილების განადგურება ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის დისკრიმინაცია, უფლებების დარღვევა არ არის?**

ზემოთ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ამ ერთი ვიდეოჩანაწერის გასაჯაროებაზე ისტერიკის ატეხვით ამ ასო-ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა ნიღბები ჩამოიხსნეს — ისინი თავიანთი გამონათქვამებით თუ ქმედებით „ნაცბანდას" უჭერენ მხარს, თორემ ჩვენ გული გვისკდება თუ ტვინში სისხლი ჩაგვექცევა, სულ ფეხზე ჰკიდიათ.

**დააკვირდით: ყველა მოითხოვს, რომ დადგინდეს, საიდან და ვისგან მოხვდა წამება-გაუპატიურების ამსახველი ვიდეოჩანაწერები უკრაინაში, და თითქმის არავინ მოითხოვს არაკაცი მწამებლების გამოვლენა-დასჯას!**

და ვინ იცის, რამდენი კაცი აქციეს ნაკაცარად ამ მართლაც არაკაცებმა? კაცის კივილზე საზარელი არაფერი ყოფილა — ახლაც ყურში მიწივის იმ საცოდავის „დიდუ, მურენიე, მურენიე"...

საქართველოს პარლამენტში ჯერჯერობით ერთ დეპუტატს — **სოსო ჯაჭვლიანს** ეყო ვაჟკაცობა და ნელ-ნელა დაიწყო საკუთარი თუ, საზოგადოდ, „ქართული ოცნების" მიერ დაშვებული შეცდომების აღიარება: ჯერ ის, რომ „ქართულ ოცნებას" სამეგრელოში ნაპოვნი ფაილები კი არ უნდა გაენადგურებინა, არამედ კინოთეატრებში (ბავშვებისთვის დახურული) ჩვენებები უნდა მოეწყოთ და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნათ, რომლის შემდეგაც „ნაცბანდა", „იბლატავებდა" კი არა, ქართული პოლიტიკიდან სამუდამოდ გაქრებოდა, ხოლო მათი ლიდერები მათსავე აშენებულ ციხეებში აღმოჩნდებოდნენო.

ახლახან კი სოსო ჯაჭვლიანმა მთავარი პოლიტიკური შეცდომა მოინანია და ანტიდისკრიმინაციული კანონის დასამტკიცებლად მიცემული ხმა უკან გამოიწვია, შემდეგ კი ამ კანონში იმ ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა, რომლებსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პარლამენტისგან ამაოდ ითხოვდა.

თუმცა ამ საკითხში ჯერჯერობით მარტოა სოსო ჯაჭვლიანი პარლამენტში.

**ამ ქოცებში, ტვინი იშვიათი დელიკატესი რომ არის, ცხადია, მაგრამ ისეთი კაციც არ ჰყავთ, რომელსაც, ტვინი თუ არა, ენა მაინც უჭრიდეს და „ნაცხროვასთან" ტელედებატები არ წააგოს?**

ამას წინათ „მაესტროს" ეთერში ვუყურე **ირაკლი სესიაშვილისა** და **გიორგი ვაშაძის** „დუელს", რომელშიც სესიაშვილი ნოკაუტით დამარცხდა. წინამდებარე წერილის მოტივაციაც სწორედ ეს იყო — **როგორ შეიძლება, კომპრომატებით სავსე „ნაცებთან" დებატი წააგო, ისე „გააბლატავო", რომ აქეთ შემოგიტიოს?**

როგორ გაბედეთ ზუგდიდის ცენტრში წამების კადრების საჯარო ჩვენება, როდესაც თქვენ რაფალიანცის ბავშვის მკვლელობით მოხვედით ხელისუფლებაში და პატიმრების მწამებელი ბედუკაძე გმირად შერაცხეთო! — მიახალა „ნაცების" ამ „რებრედინგებულმა" სახემ სესიაშვილს. პასუხად კი მიიღო სესიაშვილის ლუღლუღი, რომ ისინი ემიჯნებიან ზუგდიდის აქციას, საერთოდ, არანაირი კავშირი არ აქვთ იმ ვიდეოჩანაწერთან და მსგავსი თავდაცვითი ლაილაი...

არადა, ტრაგიკულად დაღუპულ რაფალიანცამდე იმხანად წინააღმდეგობის მოძრაობამ და დღეს „პატრიოტთა ალიანსმა" ჯერ ბედუკაძის ცოცხების, შემდეგ კარანტინის დაშლის კადრებით, რომლებთანაც ბედუკაძეს არანაირი კავშირი არ ჰქონდა, პოლიტიკურ საფლავში ჩააწვინა სააკაშვილის რეჟიმი.

რა ციცერონობა უნდოდა ამის თქმას?!

და რომ არა კარანტინის დაშლის კადრები (და არა — ბედუკაძის ცოცხები), სააკაშვილი კვლავ „დემოკრატიის შუქურა" და პრეზიდენტის სასახლეში წამოპლაკული პრემიერი იქნებოდა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით, ხოლო „ქართული ოცნება" — 20-22%-იანი ოპოზიცია.

**კოაბიტირებულმა „ქოცებმა" საფლავში მწოლიარე „ნაცბანდას" მიწა ვერ თუ არ მიაყარეს და ამიტომაც არიან ცუდ დღეში. მართალია, არა ისე, როგორც ენ-დი-აიმ წარმოაჩინა, მაგრამ მაინც.**

მედიაკავშირმა „ობიექტივმა" „ნაცების" პანიკა იგრძნო და ყოველდღიურად, ღამის პირველ საათზე, სრულიად საქართველოს უჩვენებს „ნაცბანდის" მხეცობის ამსახველ ახალ-ახალ ფაილებს, რაც გმირობის ტოლფასია, რადგან მორალისტ-ექსპერტთაგან ტოტალური შეტევის ობიექტად იქცევა.

თუმცა, იქცევა კი არა, უკვე იქცა. ამ აქციის დაწყების პირველი საღამოს „ობიექტივის" ეთერში სტუმრად მყოფ **ხათუნა ლაგაზიძეს** უკრაინული საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული ვიდეოჩანაწერის ჩვენების შემდეგ ნამდვილი ისტერიკა დაემართა, — ეგ რომ მცოდნოდა, საერთოდ არ მოვიდოდი, ამის ჩვენება როგორ შეიძლება, ცოდოა ქართველი ერი, ეს ხომ მისი საერთაშორისო დისკრედიტაციაა, დასავლეთში აღარავინ დაგველაპარაკებაო და ა.შ. მანაც, ჩამოიხსნა კი არა, ჩამოიგლიჯა ნიღაბი.

**ლაგაზიძის ლოგიკით რომ ვიმსჯელოთ, გერმანელი ფაშისტების მხეცობებიც არ უნდა ეჩვენებინათ გერმანელებისთვის, მაგრამ აჩვენეს და მას შემდეგ რა დაემართა გერმანელ ერს და მათ სახელმწიფოს? — მხოლოდ კარგი და არაფერი ცუდი.**

ახლა მთავარია, ხათუნა ლაგაზიძისა და მისი მსგავსების „მორალისტობის" გამო მედიაკავშირმა „ობიექტივმა" უკან არ დაიხიოს, შეტევას უნდა გაუძლოს და ახალ-ახალი ფაილების ჩვენებით საქართველოს შეახსენოს, როგორი სადისტები მართავდნენ ქვეყანას 9 წლის განმავლობაში.

**კოაბიტაციური დოპინგით გავეშებულმა ქართველთმოძულე მანქურთებმა პოლიტიკური საფლავიდან ამოძრომა იწყეს და, სანამ გვიან არ არის, მიწა უნდა მივაყაროთ!**

**დავით მხეიძე**

ახალი მესაიდუმლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანტიამერიკული განწყობის აშკარა მატება (რაც, სავარაუდოდ, იმავე ენ-დი-აის მიერ გამოქვეყნებულ 31%-ზე გაცილებით მეტია) საქართველოს დედაეკლესიის „ბრალიც" არის, რადგან ჩვენი ტვინგაყინული თუ სულგაყიდული პოლიტიკოსების მიერ ნატოზე შეთხზული ზღაპრების საპირისპიროდ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქი ქადაგებს სიმართლეს.**

# გადამწყვეტი შეტევა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე

**ეს ყველაფერი ხელისუფლებაში „ნაცბანდის" მოსვლისთანავე დაიწყო, როდესაც „ნაცზონდერებმა" „სამასვალით" შეანგრიეს გლდანის ეკლესიის კარიბჭე, მრევლი სასტიკად დაარბიეს და მისი წინამძღვარი მამა ბასილი „მამა სოროსისა" და მისი „მრევლის", იეღოველთა სექტის, საამებლად დააპატიმრეს.**



შემდეგ რაც მოხდა, შესაძლოა, ქრონოლოგიურად და, თანაც, ყველაფერი ვერ გავიხსენო, მაგრამ, რაც გამახსენდება, მინდა, მკითხველსაც შევახსენო:

*** სააკაშვილსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შორის გარეგნულად თბილი ურთიერთობების ფონზე, სააკაშვილის სატრაპების არაერთგზის შეჭრა საკურთხეველში;**

* პატრიარქის ეპისტოლეების პრევენციული რევიზიები, რათა იქიდან ან საერთოდ გამქრალიყო „ნაცბანდის" ნეოლიბერალური იდეოლოგიისთვის მიუღებელი პასაჟები, ან მათი „კორექტირებული" ვარიანტები დარჩენილიყო;

*** სინოდზე ზემოქმედება. იქ შეგზავნილი თუ „დავერბოვკებული" აგენტების მეშვეობით, მიუხედავად საზოგადოების მასობრივი პროტესტისა, სინოდს ისეთი კანონი მიაღებინეს (ზუსტად აღარ მახსოვს, რა ერქვა), რომელსაც უწმინდესმა საქართველოს დამღუპველი უწოდა;**

* 2009 წლის 26 მაისს ჩვენი „ფარჩაკი" ოპოზიციის მიერ „ერთი სტადიონი" ხალხის საპატრიარქოსთან მირეკვა, როდესაც საკურთხეველში ბლოკირებულ პატრიარქს, როგორც ამბობენ, **გიგი უგულავა** მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებდა;

ისე, ამ ყველაფერს, ყოველგვარი „ამბობენ"-ის გარეშე, სწორედ **გიგი უგულავა** და მისი სატრაპი, ამჟამად საქართველოდან გაქცეული **სოსო თოფურიძე** რომ ხელმძღვანელობდნენ, ყველამ იცის.

**არც ის არის საიდუმლო, რომ ე.წ. გამოხატვის თავისუფლების დროშა ბუდარიხა თეა თუთბერიძემ ააფრიალა მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად მისი უწმინდესობის შეურაცხყოფის მიზნით და, როდესაც ეს სიბინძურე თავისუფლების ინსტიტუტში გამოჩეკილ გველის წიწილ თეა თუთბერიძეს ხახვივით შერჩა, მისი დროშის ქვეშ სხვა ბუდარა-ბუდარიხებიც დაირაზმნენ ნინია კაკაბაძის, ირაკლი ვაჭარაძის, ბექა მინდიაშვილისა და სხვა ხლისტების სახით, რომლებმაც არაერთხელ შეურაცხყვეს საქართველოს სულიერი მამა და ჩვენი დედაეკლესია.**

* ბუდარიხა თუთბერიძემ ისიც კი გაბედა, რომ სოციალურ ქსელში გვერდი შექმნა სახელწოდებით „მე მიყვარს ჩემი გეიპატრიარქი".

**ამის მომთმენ და ჩამყლაპავ ქართველებს ხალხი და, მით უმეტეს, ერი გვქვია?**

და ყველაზე მთავარი — ენ-დი-აის მიერ ამასწინანდელი კვლევების მიხედვით გამოცხადებული დასავლეთისთვის საგანგაშო შედეგი:

**გამოკითხულთა 31%-ს ევრაზიულ კავშირში რეალური შესვლა (წაიკითხე რუსეთთან სტრატეგიული მოკავშირეობა) ურჩევნია ეფემერულ ნატოსა თუ ევროკავშირის კარზე მრავალწლიან ამაოდ კაკუნს, რამაც სოხუმ-ცხინვალი, კოდორი, ახალგორი, სამუდამოდ თუ არა, ძალიან დიდი ხნით დაგვაკარგვინა.**

ეს არის შედეგი დასავლეთის (წაიკითხე აშშ) ფლიდი და უკვე შეურაცხმყოფელი პოლიტიკისა საქართველოს მიმართ, როდესაც ნატოს ერთი სამიტიდან მეორემდე წლების განმავლობაში უნამუსოდ გვატყუებდნენ — აი, დღეს ვერა, მაგრამ ხვალ, როდინობის კვირის შვიდშაბათს მიგიღებთო.

**ანტიამერიკული განწყობის აშკარა მატება (რაც, სავარაუდოდ, იმავე ენ-დი-აის მიერ გამოქვეყნებულ 31%-ზე გაცილებით მეტია) საქართველოს დედაეკლესიის „ბრალიც" არის, რადგან ჩვენი ტვინგაყინული თუ სულგაყიდული პოლიტიკოსების მიერ ნატოზე შეთხზული ზღაპრების საპირისპიროდ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქი ქადაგებს სიმართლეს.**

ჩვენი ბრძენი პატრიარქი და მისი მრავალრიცხოვანი მრევლი, ანუ საქართველოს მოსახლეობის (და არა მხოლოდ მართლმადიდებლების) დიდი უმრავლესობა საქართველოს ფიზიკური და, რაც მთავარია, მენტალურ-ზნეობრივი გადარჩენის ერთადერთ გზას ერთმორწმუნე რუსეთის ეკლესიასთან ევქარისტიულ კავშირსა და რუსეთის სახელმწიფოსთან სტრატეგიულ მოკავშირეობაში ხედავს და არა — პედერასტების მექად ქცეულ ამერიკასთან, რომელმაც საქართველოსა და, საერთოდ, ყველა კულტურული ერებისთვის დამღუპველი, ანტიდისკრიმინაციული კანონი ერთხმად მიაღებინა ჩვენს ცვედან პარლამენტს.

გავიხსენოთ ჩვენი პატრიარქის ქმედებები:

*** 2008 წელს მისმა ავტორიტეტმა რუსეთის გენერალიტეტთანაც კი გაჭრა და სააკაშვილის ხუშტურებს ზვარაკად შეწირული ბიჭების ხრწნადაწყებული გვამების გადმოსვენება შეძლო;**

* იმავე 2008 წლის შემოდგომაზე, როდესაც რუსების ტანკები ჯერ კიდევ პერევში იდგნენ, მისი უწმინდესობა მოსკოვში ჩავიდა რუსეთის პატრიარქის ალექსი II დაკრძალვაზე, სადაც შეხვდა რუსეთის იმჟამინდელ პრეზიდენტ მედვედევს და პერევიდან ჯარი გააყვანინა, მაგრამ სააკაშვილის ენაჭარტალობის გამო რუსი სამხედროები უკანვე შემობრუნდნენ;

*** საქართველოს პატრიარქი რუსეთის ნათლობის 1000 წლის იუბილეზე იმოფებოდა მოსკოვში, კიევსა და მინსკში, საიდანაც საინტერესო გზავნილები ჩამოიტანა რუსეთის პრეზიდენტისგან — რუსებსა და ქართველებს შორის საუბარი ყველა თემაზე (წაიკითხე — სოხუმ-ცხინვალზე) შეიძლებაო.**

რა მიიღო და რას იღებს ჩვენი პატრიარქი და, საზოგადოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყანაზე ზრუნვის სანაცვლოდ?

პატრიარქი — მხოლოდ ზემოხსენებულ **შეურაცხყოფას,** საქართველოს ეკლესია — ზოგიერთი უზნეო სასულიერო პირის (რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, დიდი ალბათობით, შეგზავნილ-დავერბოვკებულები არიან) „მხილებით" — **დისკრედიტაციას!**

ამიტომ მოხვდა საქართველო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც სახელმწიფო მდივანმა, მისტერ **ჯონ კერიმ** გაახმიანა. იმ უამრავი სისულელიდან, რომლებიც ჩვენ გვეხება, მხოლოდ ერთს მოვიყვან:

**„კანონი და პოლიტიკა პრივილეგიებს ანიჭებს მართლმადიდებლობას და, აგრეთვე, სამღვდელოების ნაწილს შეაქვს წვლილი რელიგიურ უმცირესობათა მიმართ მტრული დამოკიდებულების გაღვივებაში".**

აი, ასე, როგორც იტყვიან, წერტილი და მძიმე, უაპელაციო სიბრიყვე ან, რაც უფრო სავარაუდოა, მიზანმიმართული ტყუილი:

**რომელ პრივილეგიებზეა ლაპარაკი, როდესაც სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა, ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი კონსტიტუციური ნორმით, ე.წ. კონკორდატით არის გარანტირებული?**

**ეგეც რომ არ იყოს, ღვთისმშობლის წილხვედრ, ქრისტეს კვართის მფლობელ საქართველოში რატომ არ უნდა იყოს მართლმადიდებლობა (რომელმაც გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა საქართველო) პრივილეგიურ მდგომარეობაში?**

რაც შეეხება სახდეპის ანგარიშში შესულ ინციდენტს (როგორც რელიგიურ უმცირესობათა მიმართ მტრული დამოკიდებულების მაგალითს), როდესაც მუსლიმთა მედრესეზე ღორის თავი მიაჭედეს, ეს სამარცხვინო საქციელი გარკვეული ძალების მიერ ინსპირირებული პროვოკაცია იყო. მართლმადიდებელ ქართველს ასეთი რამ მაშინაც კი არ ჩაუდენია, როდესაც საქართველოში, სურვილის შემთხვევაში, მუსლიმთა გაჟლეტა დაუსჯელად შეეძლო, დიდი ქართველი მეფე დავით აღმაშენებელი კი არა მხოლოდ მუსლიმთა მრავალსაუკუნიანი ბატონობისგან გათავისუფლებული თბილისის მეჩეთებს სტუმრობდა, არამედ დედაქალაქის იმ უბანში, სადაც მაჰმადიანები სახლობდნენ, ქართველებს ღორების დაკვლა აუკრძალა.

აი, ასეთ ერს გვიკითხავს ტოლერანტობაზე ლექციებს ის მისტერ კერი, რომელიც მსოფლიოს ლგბტზაციით დაემუქრა.

სიტყვამ მოიტანა და, პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის მიუხედავად, ამ კანონის აპოლოგეტი რესპუბლიკელები და მათი ამერიკელი პატრონები ვერა და ვერ ეღირსნენ 17 მაისს თბილისში გეიაღლუმის ჩატარებას და ვერც ეღირსებიან, სანამ საქართველოში მართლმადიდებლობაა „პრივილეგიური" და სანამ თუნდაც ერთი „ტაბურეტკა" იშოვება. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ჩვენმა მოხუცმა პატრიარქმა სწორედ 17 მაისი დაგვითქვა ოჯახური სიწმინდის (წაიკითხე — ლგბტ-ის საწინააღმდეგო) დღედ.

**ენ-დი-აიმ ახლახან კიდევ ერთი „საინტერესო" კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის ძალითაც, ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, „ნაციონალური მოძრაობა" ხმების 13%-ს მოიპოვებს, „ქართული ოცნება" —11 %-ს, ალასანიას პარტია და პატრიოტთა ალიანსი 4-4 %-ს, ნათელაშვილის ლეიბორისტული პარტია — 3%-ს...**

საბედნიეროდ, ქართველებმა ვისწავლეთ, ამ ავადსახსენებელი ენ-დი-აის კვლევების კითხვა როგორ უნდა, და ვიცით, რომ, რადგან ევრაზიის მომხრეებად 31% დაასახელა, ეს რიცხვი გაცილებით მეტია.

რაც შეეხება იმას, რომ „ნაცმოძრაობა" „ქართულ ოცნებას" უგებს, **მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების" რეიტინგი მართლა საგანგაშოდ დაბალია, მისი რეიტინგის კლება, არა მგონია, „ნაცბანდის" რეიტინგის მატებას ნიშნავდეს.**

**ანუ, ნორმალური არჩევნების პირობებში, „ნაცებ-ქოცებმა" ისევე კოაბიტაციურად უნდა „აახვიონ" ხელისუფლებიდან, როგორი კოაბიტაციითაც დღემდე სიამტკბილობენ პარლამენტსა თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში.**

ისე კი, ენ-დი-აის ბოლო „ობიექტური" კვლევა ამერიკელებისთვის სასურველის რეალობად წარმოჩენის მცდელობას ჰგავს.

წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ ბრიუსელში გასაჯაროებული ციხის კადრების მნიშვნელობაზე არა ერთხელ ითქვა, რასაც იმას დავამატებ, რომ **ბიძინა ივანიშვილს სწორედ „პრივილეგიური" მართლმადიდებელი ეკლესია ამოუდგა მხარში — სასულიერო პირები, რამდენიმე მიშარასტის გარდა, მეუფეებით დაწყებული, სოფლის პატარა სამლოცველოს მღვდლებით დამთავრებული, პირდაპირ ამბიონებიდან ქადაგებდნენ „ნაცბანდის" საწინააღმდეგოდ და დაუფარავად მოუწოდებდნენ მრევლს, ხმა მიეცათ „ქართული ოცნებისთვის". გავიხსენოთ ისიც, რომ ივანიშვილის მიტინგებზე, რომლებიც მან საქართველოს ყველა კუთხეში გამართა, ბევრი იყო ანაფორიანი პირი...**

მოკლედ, ეკლესიამ უდიდესი როლი ითამაშა სადისტი „ნაცბანდის" რეჟიმის დამარცხებაში.

დღეს საგარეჯოს არჩევნები ერთგვარი ტესტია — თუ მოახერხეს და რესპუბლიკელ ბუდარიხასთან დუელში დაამარცხეს **ირმა ინაშვილი**, მხოლოდ გაყალბებით შეძლებენ ამას და მაშინ, 2016-ში, დიდი ალბათობით, ზემოხსენებულ აბსურდულ პროცენტებსაც დასვამენ.

ამაში ხელს მხოლოდ ეკლესია თუ შეუშლით და, ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა, ამ მიზნითაც არის დაწყებული გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

**ამავე საქმეს ემსახურება 8 „დაჩაგრული" რელიგიური ორგანიზაციის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელიც, სასამართლოში, რომლის თავმჯდომარეც „ნაცბანდის" ერთგულია დღემდე...**

თავიდათავი მიზეზი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლისა არის ის, რომ სამი პოსტულატიდან — მამული, ენა, სარწმუნოება, რომლებიც სამების სახით გვიანდერძა დიდმა ილიამ, მხოლოდ სარწმუნოება შეგვრჩა, რადგან მამული დამცრობილია (დახედეთ რუკას), ენა — წარყვნილი (ჩართეთ რადიო-ტელევიზია) და ერთადერთი პატრონი და გულშემატკივარი ჩვენი სამშობლოსი ახალი რუის-ურბნისის მომლოდინე, მაგრამ მაინც ქართული მართლმადიდებელ ეკლესია და ჩვენი უწმინდესი პატრიარქია.

**დავით მხეიძე**

2012-2014 წლებში საკრებულომ 74 300 ლარის სხვადასხვა სახის პროდუქტი — ჩაი, ყავა, ტკბილეული და უალკოჰოლო სასმელი შეიძინა, ხოლო ოფიციალური ღონისძიებებისა და ფურშეტების ორგანიზებისთვის — 52 300 ლარი დახარჯა.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამგებლის მოადგილეების პრემიებზე დახარჯული 535 ათასი და 160 ლარის იმედად დარჩენილი გაჭირვებული ვეტერანები

**უზომოდ გაზრდილი ხარჯები, მივლინებებში, ფურშეტებსა და ტკბილეულში დახარჯული ათასობით ლარი, მაღალი პრემიების, დანამატებისა თუ სარგოების თემა საქართველოში, ხელისუფლების ცვლილებების მიუხედავად, ისევ აქტუალურია და კვლავ საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. როგორც ჩანს, ყოფილი ხელისუფლების მსგავსად, მადას არც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები უჩივიან და მათ არც პრემიერის განცხადება „ქამრების შემოჭერაზე“ არ აინტერესებთ და არც ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, 2014 წელს თბილისის საკრებულოში 4 მილიონ ლარზე მეტი პრემია და დანამატი დარიგდა. 2012-2014 წლებში საკრებულომ 74 300 ლარის სხვადასხვა სახის პროდუქტი — ჩაი, ყავა, ტკბილეული და უალკოჰოლო სასმელი შეიძინა, ხოლო ოფიციალური ღონისძიებებისა და ფურშეტების ორგანიზებისთვის — 52 300 ლარი დახარჯა. 2014 წლის ოქტომბერში საკრებულოს შენობის ოფიციალური გახსნა 19 200 ლარი დაუჯდა, 55 500 ლარი დაიხარჯა საჩუქრების შესაძენად. რაც შეეხება მივლინებებზე დახარჯულ თანხებს, აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, საკრებულომ რიგ შემთხვევებში საკმარისი მტკიცებულებებიც კი ვერ წარმოადგინა, რომ სამსახურებრივი მივლინების შესახებ გადაწყვეტილებები ობიექტური საჭიროებით იყო განპირობებული. საკრებულოს ზოგიერთ ავტომანქანაზე გაწერილი საწვავის ხარჯი კი ექსპერტიზის მიერ დადგენილ ნორმებს 71-89%-ით აღემატებოდა.

ინფორმაცია დედაქალაქის მერიაში არსებული არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ ცოტა ხნის წინათ არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორმაც“ გაავრცელა, რომლის თანახმადაც, მერიის შენობაში არსებული კაფეტერიის გასარემონტებლად ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარია გამოყოფილი, ხოლო გამგებლები და მათი მოადგილეების პრემიებზე გახარჯულმა თანხამ მხოლოდ სამ თვეში 535 ათას ლარს მიაღწია. როგორც „მედიატორის“ მიერ ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, 2015 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით, ანუ 6 თვის განმავლობაში, მხოლოდ მივლინებებისთვის 84 619 ლარი დაიხარჯა, ხოლო წყლის, ყავისა და „კოკა-კოლას“ შესაძენად — 21 ათასი ლარი.

ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ 2011-2013 წლებში ყოველ რელიგიურ თუ საერო დღესასწაულზე თბილისის მერიის ხელმძღვანელობა 150-დან — 450 ათას ლარამდე პრემიას ირიგებდა.

თუმცა, მერია-საკრებულოს პარალელურად, როგორც ჩანს, არც სამინისტროებისა და დეპარტამენტების მაღალჩინოსნები იკლებდნენ ფუფუნებას. ცოტა ხნის წინათ „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“ კორესპონდენციასთან დაკავშირებული კვლევა ჩაატარა და გაარკვია, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან — 2015 წლის სექტემბრამდე სახელმწიფო სტრუქტურებმა საქართველოს ფოსტის მომსახურებში 978 610,24 ლარი გადაიხადეს, ხოლო საბეჭდ ქაღალდში — 524 236 ლარი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის პირველ 6 თვეში მელიორაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ აღებული პრემიებისა და სარგოების რაოდენობამ ნახევარ მილიონ ლარს გადააჭარბა. იგივე ვითარებაა სხვა სახელმწიფო უწყებებშიც. ამასთანავე, სტატიაში დასახელებული ციფრები არ წარმოადგენს ყველა სამინისტროსა თუ დეპარტამენტში დახარჯული თანხებისა და გაცემული პრემიების სრულ სურათს, ის მხოლოდ ბოლო პერიოდში გავრცელებულ მონაცემებს ეყრდნობა, რაც საფუძველს გვაძლებს, ვივარაუდოთ, რომ დანახარჯები გაცილებით დიდია.



## «ვეტერანები ასეთ მდგომარეობაში რომ ვართ, ეს ხომ სახელმწიფოს სირცხვილია?! ვიფიქროთ, მომავალ თაობას რა მაგალითს ვაძლევთ»

**პარადოქსია, მაგრამ ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის არაერთი ხელისუფალიც მონდომებით გვიმტკიცებდა, რომ მთავარია მონდომება და სახელმწიფოს მიერ დადგენილი 150-ლარიანი საარსებო მინიმუმითაც მშვენივრად იცხოვრებ, თავად კი, რატომღაც, მაღალი ხელფასებიც არ ჰყოფნით. უფრო მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლები, დიდი ხელფასების პარალელურად, არათუ მოზრდილ პრემიებსა და სახელფასო დანამატებს იღებენ, თავსაც გვამადლიან და აცხადებენ, რომ ამაში გასაკვირი არაფერია და მათი ფასდაუდებელი შრომა და „ღვაწლი“ სამშობლოს წინაშე, დიახაც, სათანადო ანაზღაურებით უნდა დაფასდეს. ბუნებრივია, გვესმის, რომ შრომას დაფასებაც სათანადო სჭირდება და მაღალი თანამდებობის პირს ხელფასიც მაღალი უნდა ჰქონდეს და პრემიაც, მაგრამ საკითხავია, რამდენად გამართლებულია საკუთარ თავს ასეთი ხარჯებისა და პრემიების გამოწერის ფუფუნების უფლება მისცე, როცა ჯერ ხალხისთვის მიცემული დაპირებები არ შეგისრულებია და როცა ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 150 ლარს შეადგენს?! ხოლო ადამიანები, რომლებსაც არანაკლები დამსახურება მიუძღვით სამშობლოს წინაშე, შენ გვერდით საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობენ?! თვალსაჩინოებისთვის დღეს რამდენიმე მათგანზე მოგითხრობთ...**

**სამამულო ომის ვეტერანი, იოსებ ტუხაშვილი 92 წლისაა, ის მარტოხელა მოხუცია და მისი ერთადერთი შემოსავალი 160-ლარიანი პენსიაა:** — „პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არ მაქვს. მეუღლე და შვილი დამეღუპა. პროფესორი იყო ჩემი შვილი. 14 წლის ობოლი შვილიშვილი მყავს, რომელიც რაიონში მეუღლის ძმასთან ცხოვრობს, რადგან მე არ შემიძლია მისი შენახვა და დღეს, ოროთახიან ბინაში ასე მარტო ვცხოვრობ.

**— როგორ ირჩენთ თავს, დღეს ამ თანხით თავის გატანა ხომ შეუძლებელია?**

— რა თქმა უნდა, შეუძლებელია. რამდენიმე თვის პენსიას წინასწარ ერთად ვიღებ, რომ საჭმელი ვიყიდო. დღეში ერთხელ ვჭამ, მეტი არ მინდა. ისეთი დაავადებები მაქვს, რომ მუდმივი მკურნალობა მჭირდება, მედიკამენტების გარეშე ვერც დავიძინებ. თვეში, დაახლოებით, ასი ლარის წამალი მაინც მჭირდება. ავად რომ გავხდი ამას წინათ, მეზობლებს ვუთხარი, აღარ მინდა აღარც მკურნალობა, აღარც სიცოცხლე-მეთქი. დავიღალე მარტოობით, გაჭირვებით...

ქერჩის ბრძოლის მონაწილე და 414-ე ქართული დივიზიის ყოფილი ოფიცერი ვარ, ასეულის მეთაური ვიყავი, რამდენჯერ სიკვდილს თვალებში ჩავხედე. ქერჩში სამი დივიზიიდან ორი დივიზია განადგურდა და მე მესამე დივიზიაში ვიყავი და ასე გადავრჩი. ალბათ, ღმერთს სურდა, აქამდე მეცოცხლა და იცით, რისი მრცხვენია? იმისთვის ვიბრძოლე, რომ ბოლოს ასეთ პირობებში მეცხოვრა? ფილმები გადაიღეს ჩემზე, ინტერვიუებს იღებენ და ჩემი ეკონომიურ მდგომარეობა მაინც ვერ უმჯობესდება...“

**მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი კავკასიის ბრძოლების მონაწილე, პროფესორი შოთა ბუაძე 90 წლისაა** და შვილებთან ერთად ცხოვრობს: — **„**კარგს ვერაფერს გეტყვით, ჩვენი მთავრობის ძალიან უკმაყოფილო ვარ, პირველ რიგში, უყურადღებობის გამო. ჩვენთვის ერთადერთი შემოსავალი პენსიაა და სასაცილო თანხას — 160 ლარს ვიღებთ. ომში მონაწილეების პენსიას, რაღაც კაპიკებს ვიღებდით და სააკაშვილმა ისიც წაგვართვა. არც ეს ხელისუფლება ფიქრობს ჩვენზე. ვუყურებ, ახლა სახელმწიფო ბიუჯეტზე მიმდინარეობს მსჯელობა და ჩვენ, იმ ომის ვეტერანებს, საერთოდ არც კი გვახსენებენ. ორ ქალიშვილთან ერთად ვცხოვრობ და ასე გაგვაქვს თავი, თორემ ამ თანხით თავის რჩენა წარმოუდგენელია.

**— თქვენი პენსია რაზე გყოფნით?**

— არაფერზე. ვარსებობთ, როგორც იტყვიან... ფაქტობრივად, მიტოვებულები ვართ და არავის ვახსოვართ. არც ერთ ქვეყანაში ასე არ ექცევიან ვეტერანებს, როგორც ჩვენთან. არადა, ძალიან ცოტანილა დავრჩით, ათას კაცზე ცოტა მეტია საქართველოს მასშტაბით ცოცხალი და ჩვენც ასეთ პირობებში ვართ“.

**სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის ვეტერანი დავით ჩახმახაშვილი** ოჯახთან ერთად, ქირით ცხოვრობს, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და სოციალურად დაცველთა კატეგორიას განეკუთვნება. მისი ერთადერთი შემოსავალი ვეტერანის პენსია და სოციალურად დაუცველისთვის დაწესებული დახმარებაა. დაახლოებით სამას ლარამდე თანხით ოჯახი თვიდან-თვემდე თავს ირჩენს: — „თანხას ასე თუ ისე ვანაწილებთ, ქირას ვიხდით და, მშიერი რომ არ ვიყოთ, საჭმელს ვყიდულობთ, თორემ ეს ფული სხვა რაში უნდა გვეყოს? ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული, ყველა ბრძოლაში ვმონაწილეობდი, ყაზბეგში პირველი მესაზღვრეები რომ წავიდნენ, იმ 17 კაცს შორის მეც ვიყავი. პირველი გვარდია რომ შეიქმნა, იქაც ვიყავი, ორლულიანი თოფები გვქონდა და იმით ვიცავდით სამშობლოს. ხომ შეიძლება, ჩვენსკენაც ვილაცამ გამოიხედოს და ყურადღება მოგვაქციოს. გარდაცვლილი მეომრების ოჯახებს ათას ლარს აძლევენ, მაგრამ ცოცხლებსაც ხომ გვინდა ყურადღება? იქნებ კომუნალურ გადასახადებზე მცირედი შეღავათები დაგვიწესონ. ბევრს არ ვითხოვთ.

ჯერ ხომ სააკაშვილმა შეაჯავრა ყველას ჩვენი თავი, ხან ყაჩაღებსა და მკვლელებს გვეძახდნენ და ხან — რას. 2007 წელს ვეტერანების პენსიაც მოგვიხსნეს და სამოქალაქო კატეგორიას მიგვაკუთვნეს, ეს ვითარება არც ახალი ხელისუფლების პირობებში შეცვლილა. ძლიერ სახელმწიფოებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც კი, სომხეთსა აზერბაიჯანში, ვეტერანები ბევრად კარგად გრძნობენ თავს.

ერთი შვილი ჯარშია, მეორე სკოლაში სწავლობს, ამიტომ, ბუნებრივია, ჯერჯერობით ვერ იმუშავებენ. მე 44 წლის ვარ. რა თქმა უნდა, ყველა ნორმალური ადამიანს უნდა სამსახური, მაგრამ სად ვიმუშავებ, აბა, ვეტერანები ვის რაში ვჭირდებით?! ცალი თვალით ვერ ვხედავ, ცალი ფეხითაც მიჭირს სიარული. თავს მხოლოდ პენსიითა და სოციალურად დაუცველის დახმარებით ვირჩენთ.

22 ლარს რომ აძლევ პენსიას ვეტერანს, სამარცხვინოა. კი, ვეტერანებს ოპერაციებს უფინანსებენ, ამ მხრივ ცუდს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა ყველა ვეტერანს შერყეული აქვს და კვირაში სამ მკვდარს ვასაფლავებთ...

**ვეტერანები ასეთ მდგომარეობაში რომ ვართ, ეს ხომ სახელმწიფოს სირცხვილია?! ვიფიქროთ, მომავალ თაობას რა მაგალითს ვაძლევთ“.**

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

**P.S. იქნებ სჯობს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკუთარი პრემიების გამოწერამდე, უფრო მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ და დაინახონ, როგორ უმძიმეს პირობებში ცხოვრობენ მათ გვერდით, მათზე არანაკლებ პატივსაცემი ადამიანები.**

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ათეული წლებია, სახელ-გვარგადამალული ბჟუტურა „კრიტიკოსო“, ელგუჯა ამაშუკელის დიდებული „ქართლის დედა“ თბილისს გადმოჰყურებს და დედაქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოდ აღიქმება. კრიტიკა და დინჯი, დაკვირვებული საუბარი მხატვრული ნაწარმოების შესახებ (რა ჟანრისაც უნდა იყოს), რა თქმა უნდა, ყოველთვის, ყველა დროში შეიძლება, მაგრამ ასე აგდებულად?!**

# ჭიაბერაშვილს მიმდევრები გამოუჩნდნენ



**როგორ ზუსტად მიესადაგება ჩვენს დღევანდელობას დასავლეთ საქართველოდან წამოსული მადლიანი სიტყვა — „ბჟუტური“, ანუ სულელური, ცრუ, გაუთავებელი, უსაგნო ლაპარაკი ყველაზე და ყველაფერზე.**

**— რას ბჟუტურობ, კაცო, შენ!.. — ეტყვიან ხოლმე საყვედურით მავანს. ეს სიტყვა ხშირად მახსენდება ხოლმე, განსაკუთრებით, ბოლო დროს ტელევიზორის ეკრანზე პარლამენტის სხდომების ცქერისას. ეს სიტყვა ზუსტად მიესადაგება „რუსთავი 2“-ის „დაჩაგვრის“ გამო ატეხილ კამათს და ა.შ. ბჟუტურობენ და ბჟუტურობენ... საქმე და ქვეყნის შენება კი განზე გვრჩება!..**

ბოლო ხანს ბჟუტურის არეალი გაფართოვდა, აქაოდა, ვინ რას გვიშლისო და, დიდად პატივცემულმა გვამებმა — **ნოდიამ, ბერძენიშვილმა** და **დარჩიაშვილმა** ქართული მწერლობის კლასიკოსებს, თავიანთი ჭკუით, „გადაუარეს“ — **კონსტანტინე გამსახურდია** და **ჭაბუა ამირეჯიბი** რა მწერლები არიან, ბოლომდე ვერ წავიკითხეთო; **ლადო ასათიანი** დიდი ვერაფერი პოეტიაო...

ბევრი შემოსწყრა ამ ბჟუტურს, ბევრმა ირონიულად ჩაიცინა, აბა, „მიშისტებისგან“ სხვას რას უნდა ველოდოთო... და, ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ: მწერლობის შემდეგ სახვითი ხელოვნების შესახებ ბჟუტურის ჯერი დადგა. გასულ პარასკევს პრესაში დაიბეჭდა მასალა, რომელიც სოციალურ ქსელში გამოუქვეყნებია ვინმე **ტორესა მოსს** (რა მიხვედრა უნდა, ნამდვილ სახელსა და გვარს მალავს).

ჰოდა, ბჟუტურობს და ბჟუტურობს ტორესა მოსი ქართული ქანდაკების ერთ-ერთი დიდოსტატის — ელგუჯა ამაშუკელის „ქართლის დედაზე“.

ა, ბატონო, ფრაგმენტები:

**„ქართლის დედის ხსენებული ქანდაკება სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს, ქართველი ხალხის შეურაცხყოფა. სადღაც იგულისხმება, რომ კაცი მუქთახორაა, სადღაც წამოგორებულა გასიებული ღიპით და ბავშვიც დედამ უნდა დაიცვას და სუფრაც სტუმარს დედამ უნდა გაუშალოს“.**

„მიშისტმა“ ზურაბ ჭიაბერაშვილმა რამდენიმე წლის წინათ ხომ უჭკუოდ გააკრიტიკა ეს „ქართლის დედა“, ოღონდ, როგორც მახსოვს, სიტყვა **„საბჭოთა“** არ უხსენებია. ეს მოსი კი უბერავს და უბერავს: **„თქვენ ვერსად ნახავთ ღვთისმშობელს ხმლით ხელში, ვერც სუფრის გამშლელად ვერ დაინახავთ. რა თქმა უნდა, ეს ორი ხატება, ღვთისმშობლის, როგორც დედის იდეალისა და „ქართლის დედის“, როგორც საბჭოთა საქართველოს დედის იდეალი, ერთმანეთს ვერ შეეთანხმება ვერასდროს... ქალს ჩვენს ისტორიაში დიდი როლი ჰქონდა, მაგრამ ამ როლში არ შედიოდა ხმალი. ქალზე იდგა ქართული ოჯახი, ეკონომიკა...**

**რადიკალურად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს საბჭოთა ხელოვნების მიმართ, რადგან მივიჩნევ, რომ შეუძლებელია, ხელოვნება არსებობდეს ისეთ სივრცეში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო... მე პირადად შეცდომად მიმაჩნია, რომ ეროვნული მოძრაობის დროს ქართლის დედა ეროვნულობის ერთ-ერთ სიმბოლოდ აღიქმებოდა“.**

რა უნდა შეეპასუხო ამ, მართლაც მობჟუტურეს?!

ათეული წლებია, სახელ-გვარგადამალულო ბჟუტურა „კრიტიკოსო“, ელგუჯა ამაშუკელის დიდებული „ქართლის დედა“ თბილისს გადმოჰყურებს და დედაქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოდ აღიქმება.

კრიტიკა და დინჯი, დაკვირვებული საუბარი მხატვრული ნაწარმოების შესახებ (რა ჟანრისაც უნდა იყოს), რა თქმა უნდა, ყოველთვის, ყველა დროში შეიძლება, მაგრამ ასე აგდებულად?!

მრავალი წლის წინათ მე, როგორც ჟურნალისტი, ბატონ ელგუჯა ამაშუკელს სახელოსნოში ვესტუმრე, კარგა ხანს ვისაუბრეთ და ეს საუბარი დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „კომუნისტში“. დიახ, დიახ, პატივცემულო ტორესა მოს, მე გაზეთ „კომუნისტში“ ვმუშაობდი და საბჭოთა ჟურნალისტი მერქვა, ისე, როგორც ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს.

ერთი მიბრძანე, 25 წელიწადია, არასაბჭოთა საქართველოში, ვითომ, დამოუკიდებელი რომ ჰქვია, მათი სადარი ვინმე გამოჩნდა?! ალბათ, სულ რამდენიმე კაცი!.. რა ხდება?! აღარც ცენზურაა და აღარც ცეკა, ვინ ცვლის იმ სამაგალითო შემოქმედებსა და მამულიშვილებს?!

სიტყვა გამექცა...

ჰოდა, ამაშუკელთან შეხვედრისას საუბარი „ქართლის დედაზეც“ ჩამოვარდა. ბატონმა ელგუჯამ მითხრა:

— მუშაობის დროს გონებაში მიტრიალებდა დიდი ილიას შემოტანილი შეუდარებელი სიტყვა — **„დედაკაცი“** და ლადო ასათიანის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსის სტრიქონები... ხომ გახსოვს:

**„ძველად თურმე, როცა**
**მტრების უთვალავი ჯარები**
**მოდიოდნენ, რომ გაეღოთ**
**საქართველოს კარები,**
**მამაკაცებს გვერდით**
**ჰყავდათ ვით**
**ფოლადის ფარები**
**და მტრებს მათთან**
**ერთად სცემდნენ**
**საქართველოს ქალები.**
**ისე მტკიცე იყვნენ თურმე,**
**ვით მეტეხის კედელი,**
**გმირი თინა ვაშლოვნელი**
**და მაია წყნეთელი!..“**

ამიტომ დააჭერინა მოქანდაკემ ქართველ ქალს ცალ ხელში ხმალი და მეორეში — თასი!.. ამიტომაც აღიქმებოდა ეს ძეგლი, ეროვნული მოძრაობის დროს ეროვნულობის ერთ-ერთ სიმბოლოდ! ეგ არ შეეშლებოდათ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გიორგი ჭანტურიას და სხვებს!..

**გეიგე ახლა, ტორესა მოსო, რამე გეიგეეე?!..**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## სხვა საქართველო სად არის



# გივი სიხარულიძე: ჩვენ დამოუკიდებელი კი არა, ყველასგან დაკიდებულები გავხდით

**მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით საქართველომ 24 წლის წინათ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ წლების შემდეგ მაინც აქტუალურია კითხვა — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი 1990-იანი წლებიდან დღემდე? — ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს რუბრიკაში ისაუბრებენ. ამჯერად ჩვენი სტუმარია მწერალი და მსახიობი გივი სიხარულიძე.**

**— ბატონო გივი, უკვე 24 წელია, საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, არის დღეს ჩვენი ქვეყანა რეალურად სუვერენული სახელმწიფო?**

— ჩვენ დამოუკიდებელი კი არა, ყველასგან დაკიდებულები გავხდით. ეს ჩემი აზრია და ასე დაწერეთ. იმიტომ, რომ დამოუკიდებლობაა, როცა არავისზე არ ხარ დამოკიდებული, ხოლო, როდესაც ერთი კალთიდან მეორე კალთაში გადახტები, მეორიდან — მესამეში და ასე უსასრულოდ, ეს დამოუკიდებლობა კი არა, საშინელებაა. ასე საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერასდროს შედგება.

**— გულისხმობთ, რომ რუსეთის კალთიდან ამერიკის კალთაში გადავხტით?**

— რა თქმა უნდა. **რუსეთის კალთიდან ამერიკისა და ევროპის კალთაში გადავინაცვლეთ. ცოტა ხანში, ალბათ, სადღაც აფრიკის ჯუნგლებში ვისკუპებთ და ასე უსასრულოდ ვიხტუნავებთ, ვიდრე ნამდვილი ეროვნული კაცი არ გამოჩნდება, რომელიც გადაარჩენს საქართველოს.** ჩვენ ახლა დავით აღმაშენებლისნაირი, ექვთიმე თაყაიშვილისნაირი, ცოტნე დადიანისნაირი კაცი გვჭირდება, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი კაცები ჯერჯერობით ჰორიზონტზეც არ ჩანან...

**— გამოსავლის საპოვნელად, პირველ რიგში, ალბათ, ის მიზეზები უნდა გავაანალიზოთ, რომლებმაც ამ სიტუაციამდე მიგვიყვანა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რატომ აღმოჩნდა ქვეყანა ასეთ სავალალო ვითარებაში?**

— ასეთი ვითარება გარკვეულმა მიზეზებმა განაპირობა. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას ზეაღმატებულად უყვარდა საქართველო, მაგრამ ის პოლიტიკოსი არ იყო, ამიტომ მოატყუეს და მიწასთან გაასწორეს. ვისაც საქართველო მართლა გულით უყვარდა, ყველა მოკლეს და მოიშორეს. ჩვენთან პირიქით — თანამდებობა და სკამი უყვართ და საქართველო, საერთოდ, არ ანაღვლებთ, ამიტომაც ვართ ამ დღეში. რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებაშიც სწორედ ეს გვიშლის ხელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, **საქართველოს ეროვნული კაცი, მერაბ კოსტავასნაირი ეროვნული კაცი სჭირდება; ჟიული შარტავასნაირი პატიოსანი კაცი გვჭირდება. აი, ასეთი პატიოსანი, ერის მოყვარული, თავგანწირული კაცი თუ გამოჩნდება, საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება.**

**— თქვით, რომ დამოუკიდებელი არ არის საქართველო, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა, ხელოვნებაში ცენზურა არ არსებობს, ეს არ არის დემოკრატიის მონაპოვარი?**

— რა თავისუფლებაა, აბა, მითხარით. ეს არის თავისუფლება?! **ჩვენ ავირჩევთ ხოლმე მეტრებს, მერე ის მეტრები თავის ტაშის დამკვრელ ხალხს აირჩევენ თანამდებობებზე, პარლამენტშიც ასეთი ხალხი მოჰყავთ. არადა, შენი პირადი მტერიც რომ იყოს, თუ საქართველოს გამოადგება, ის უნდა აირჩიო, მაგრამ ამისგან ძალიან შორს ვართ, ჩვენ ტაშის დამკვრელები მოგვწონს, პირში მთქმელი ხალხი არ გვიყვარს.**

ჩვენ ვართ ბრწყინვალე, უნიჭიერესი ერი, რომელსაც სიმართლის განცდა დაკარგული აქვს, სიმართლეს როგორც კი ეტყვი, მაშინვე შეგიძულებენ.

**— ამ დღეებში კიდევ ერთხელ გავრცელდა წინა ხელისუფლების პერიოდში პატიმრების წამების კადრები. როგორ ფიქრობთ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რატომ მივედით ამ სიტუაციამდე? ცივილიზებული, დემოკრატიული მთავრობის მაგივრად რატომ მივიღეთ ხელისუფლება, რომელიც ხალხს ასე სასტიკად აწამებდა?**

— ხელისუფლებაში პირველი კაცი ვინც არის, პირველ რიგში, სამშობლო უნდა უყვარდეს. პარლამენტში ვინც არიან, საქართველო უნდა უყვარდეთ. ხოლო, **როცა ამერიკა და ევროპა გიყვარს და მის დაკრულზე გინდა იცეკვო, არაფერი გამოვა.** ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პირდაპირ განაცხადა, პატივს არ ვცემთ არც ერთ იმ ქვეყანას, რომელიც წინააღმდეგი იქნება, კაცმა კაცი რომ შეირთოს და ქალმა — ქალიო. ასეთი ქვეყნების მონა-მორჩილი ქვეყანა კი დაღუპულია.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

„ცნობილია, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“ ბერიას საყვარელი სპექტაკლი იყო. იგი წარმოდგენას ხშირად ესწრებოდა. იჯდა თავის ლოჟაში და გულიანად ხარხარებდა, მოწინააღმდეგეებს კი ყვარყვარეებს ექახდა.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მანანა კაკაბაძე:

# სააკაშვილია ყვარყვარეს მაგალითი — სტვენით, წყევლა-კრულვით გააგდეს სამშობლოდან, მაგრამ თქვა: «მე ისევ ავცოცდები» და, მართლაც, უკრაინაში «გადიდკაცდა»...


პოლიკარპე კაკაბაძე

**15 ოქტომბერი დიდი ქართველი დრამატურგის — პოლიკარპე კაკაბაძის გარდაცვალების დღე იყო.**

— მამა 1975 წლის 15 ოქტომბერს, ანუ, 40 წლის წინათ, გარდაიცვალა... დაბადებული კი იყო 1893 წელს, — მეუბნება ქალიშვილი პოლიკარპე კაკაბაძისა, **მანანა კაკაბაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დიდად ნიჭიერი და ერუდირებული ქალბატონი, რომელიც კარგა ხანს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი იყო.

**— მოდი, ვესაუბროთ, ქალბატონო მანანა, ჩვენი გაზეთის მკითხველებს ბატონი პოლიკარპეს შესახებ... თქვენზე უკეთ, აბა, ვინ იცნობდა „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორს?..**

— რა თქმა უნდა... ოთხი შვილიდან, მგონი, მე განსაკუთრებით ვუყვარდი... შეიძლება ეს იმიტომაც, რომ ქართული ლიტერატურის სამსახური ავირჩიე ცხოვრების მიზნად... საერთოდ, ცოლ-შვილის მოსიყვარულე კაცი იყო, ყოველ წუთს ვგრძნობდით მისი გულის სითბოს... ხელმოკლედ კი ვცხოვრობდით, მაგრამ სტუმარი არ გვაკლდა. ოჯახში მაინც დედაჩემი იყო ყველაფრის თავი და თავი...

**— როგორც ვიცი, კაკაბაძეები ქვემო იმერეთიდან, სოფელ კუხიდან არიან...**

— პატარა კუხიდან... ერთი შტო კაკაბაძეებისა, რომელსაც მამა ეკუთვნის, მეთერთმეტე საუკუნეში აფხაზეთიდან წამოსულა და სოფელ პატარა კუხში დასახლებულა... აქედან იყვნენ, სხვათა შორის, დავით და სარგის კაკაბაძეებიც... პოლიკარპეს მამა ხის მრეწველი ყოფილა, ბათუმში მოღვაწეობდა და ქველმოქმედებითაც გაუთქვია სახელი — თავისი წვლილი შეუტანია ბათუმის კათოლიკური ეკლესიის აშენებაში. პოლიკარპე ამ ქალაქში გაიზარდა, აქ დაამთავრა გიმნაზია და მშობლიურ სოფელ კუხს ზაფხულობით თუ სტუმრობდა.

**— თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობას როგორ უყურებდა?**

— უნივერსიტეტში ჩემი სადიპლომო თემა იყო „დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა“. გავაცანი იგი ბატონ **კორნელი კეკელიძეს** და მომიწონა კიდეც, მერე **პავლე ინგოროყვასაც** შევხედე და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბატონმა პავლემ რომ შემაქო, მაგრამ მთავარი მაინც მამაჩემი იყო — ძალიან ვღელავდი, მაინტერესებდა რა „განაჩენს“ გამოუტანდა იგი ჩემს ნაშრომს. ჩვენ მეგობრები ვიყავით, ხშირად ვსაუბრობდით, ვკამათობდით ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე... ჩემს აზრს პატივს სცემდა, მაგრამ რას იტყოდა ნაშრომზე? საერთოდ, შეფასებისას ძალიან მკაცრი იყო, თავისი კრიტერიუმი ჰქონდა, ამიტომაც ამბობდნენ, პოლიკარპეს გენიოსების მეტი არავინ მოსწონსო.

**— მაგრამ გალაკტიონი მოსწონდა... მახსოვს, გასული საუკუნის სამოციან წლებში რა რეაქცია გამოიწვია ბატონი პოლიკარპეს ინტერვიუმ „მოლოდიოჟ გრუზიაში“, სადაც იგი გალაკტიონზე საუბრობდა...**

— ისინი მეგობრები იყვნენ. მაგალითად, 1919-1920 წლის ზამთარში და თითქმის მთელი წელიწადი გალაკტიონი მამასთან ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში. **დედაჩემი ამბობდა, პოლიკარპეს ჩემთან პაემანზე გალაკტიონიც მოჰყავდა ხოლმეო...** მეტი მეგობრობა რაღა შეიძლება?!. მამაჩემი ძალზე მომთხოვნი იყო და, ამდენად, — წინააღმდეგი ამა თუ იმ კლასიკოსის ყველა ნაწარმოების მრავალტომეულში თავმოყრისა.

გალაკტიონის შემოქმედების შეფასება უნდა მოხდეს იმ რჩეული ლექსებით, რომლებიც, ალბათ, ერთ ტომს თუ დაიტევსო, — ამბობდა... ეს იყო და ეს...

**— მაშინ დიდი არაფერი „შეუცოდავს“...**

— ხომ გეუბნებით... რომ იცოდეთ, როგორ უყვარდა გალაკტიონის ლექსების ხმამაღლა კითხვა... **დღესაც ყურში მიდგას მისი ხმა და გალაკტიონის ლექსების კითხვას ვერც ერთი მსახიობის დეკლამაციას ვერ შევადარებ...**

**— კარგი, ქალბატონო მანანა... ჩვენ, ძალაუნებურად, თემა შევცვალეთ... ესე იგი, ღელავდით იმის მოლოდინში, მოეწონებოდა თუ არა თქვენი სადიპლომო ნაშრომი მამათქვენს...**



«ყვარყვარე ადამის ცოდვის სახეა. ამ ცოდვას კი თვითონ ადამიანი ებრძვის კაცობრიობის არსებობის მანძილზე. ყვარყვარეს ტიპის შექმნაც სწორედ ამ ცოდვასთან ბრძოლაა. იგი ზოგადი სახეა, როგორც დონ-კიხოტი, როგორც ტარტიუფი»

— დიახ... ერთ დღესაც შევედი მასთან. ჩვეულებრივ, წამოწოლილი მუშაობდა, დაბალი მაგიდა ედგა და მთელი ღამე ასე წერდა. აი, მამა, ეს დავწერე და მინდა, წაიკითხომეთქი.

სახლში ველარ გავჩერდი. ერთი-ორი საათის შემდეგ რომ მივბრუნდი, კარი დედაჩემმა გამიღო და სახეგაბრწყინებულმა მომახარა,— წაიკითხა უკვე და მოეწონაო... დამიჯერეთ, ამან საოცარი სტიმული მომცა. ეს სტიმული შემდეგ გააათკეცა **გრიგოლ რობაქიძის** მიერ ჟენევიდან გამოგზავნილმა აღფრთოვანებულმა გამოხმაურებამ. დიდ მწერალს ჩემი ნაშრომი თურმე „მნათობში“ წაეკითხა.

**— გასაკვირია, „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი როგორ გადარჩა 37-ში...**

— იყო ჩასაფრებები, დასმენები, მაგრამ მამა, **შეიძლება ითქვას, სულიერმა სისუფთავემ გადაარჩინა. იგი არ გამოდიოდა კრებებზე, არავის „დამუშავებაში“ არ მონაწილეობდა... სამხილი რომ ვერაფერი იპოვეს, ლიტფონდის ვალები აქვს და არ აბრუნებსო,— დააბრალეს...** სულ ცნობები დაუწყო წინ ზოგ-ზოგებს და რაღას იტყოდნენ...

**— მაგრამ „ყვარყვარე თუთაბერი“?**

— ყვარყვარე ზოგადსაკაცობრიო სახედ იქცა და მის ავტორს ასე ვაგლახად, ეტყობა, ვერას ავნებდნენ. სპექტაკლ „ყვარყვარე თუთაბერს“ ხომ არნახული წარმატება ჰქონდა ჯერ ბათუმში 1929 წლის 31 იანვარს, შემდეგ ქუთაისში — 27 მარტს, თბილისში, ოპერის თეატრის სცენაზე — 21 აპრილს, ოვაციებში იძირებოდა მძლავრთა მრისხანება. **ისინი — ბოზოლა კომუნისტები, ესწრებოდნენ სპექტაკლებს და ხელოვნების უცნაური, საიდუმლო ძალით მოწუსხულები თვითონვე უკრავდნენ ტაშს, ხარხარებდნენ და შემდეგ ერთმანეთს „ყვარყვარეს“ ექახდნენ... ცნობილია, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“ ბერიას საყვარელი სპექტაკლი იყო. იგი წარმოდგენას ხშირად ესწრებოდა, იჯდა თავის ლოჟაში და გულიანად ხარხარებდა, მოწინააღმდეგეებს კი ყვარყვარეებს ექახდა.**

**— საინტერესოა, ნეტა, სტალინი როგორ რეაგირებდა?!**

— პოლიკარპე კაკაბაძე ყოველთვის იყო შავ სიაში, მაგრამ, რომ დაეხვრიტათ, ეს უნდა გადაეწყვიტა სტალინს. სტალინი კი ჭკვიანი იყო, მას მშვენივრად ესმოდა, რომ ავტორის განადგურებით ყვარყვარეს მაინც ვერ მოკლავდნენ. ჰოდა, შეიძლება ითქვას, მამაჩემი ყვარყვარემ გადაარჩინა! ყვარყვარემ და, როგორც გითხარით, სულიერმა სისუფთავემ.

**— რა გასაკვირია, რომ ჩვენს დღეებშიც ცოცხლობს ეს გენიალური სახე...**

— რა თქმა უნდა... ყვარყვარე ხომ ყველა დროს ერგება, ყოველ ახალ დროში ახალ სიცოცხლეს იწყებს... მარადიულია ყვარყვარეს სიტყვები **„მე ისევ ავცოცდები.“** იგი ყალბი გმირია, დაბადებული სიცრუისთვის, ნაცრის ქექვისთვის. არადა, განდიდების მანია სჭირს. **სააკაშვილია ყვარყვარეს მაგალითი — სტვენით, წყევლა-კრულვით გააგდეს იგი სამშობლოდან, მაგრამ თქვა: „მე ისევ ავცოცდები“ და, მართლაც უკრაინაში „გადიდკაცდა“...** გიგი უგულავა რომ გამოუშვეს ციხიდან, მასაც შეუღიტინა გრძნობამ — „მე ისევ ავცოცდები“ და, ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაშიო, გაიძახოდა ტელეკამერების წინ. საერთოდ, ყვარყვარიზმი, მეტ-ნაკლებად, ყველა ადამიანშია. ეს სახე გაუხუნარია.

**ყვარყვარე ადამის ცოდვის სახეა. ამ ცოდვას კი თვითონ ადამიანი ებრძვის კაცობრიობის არსებობის მანძილზე. ყვარყვარეს ტიპის შექმნაც სწორედ ამ ცოდვასთან ბრძოლაა. იგი ზოგადი სახეა, როგორც დონ-კიხოტი, როგორც ტარტიუფი.... ამის შესახებ მხოლოდ საქართველოში არ წერენ...**

**— რა თქმა უნდა, ბატონი პოლიკარპეს სიდიადეს აღიარება არ აკლია... სხვათა შორის, ძეგლიც შესანიშნავი გამოვიდა, „პლეხანოვზე“, რკინიგზელთა სახლის წინ რომ დგას...**

— ჩემი მეუღლე სიმონ (სიკო) გირკელიძეა ავტორი...

— ვიცი. ჩვენ ძველი, უნივერსიტეტელი მეგობრები ვართ. ნიჭიერი კაცია... უღრმესი მადლობა, ქალბატონო მანანა! ბატონი პოლიკარპეს შემოქმედებაზე საუბარი კვლავაც დიდხანს შეიძლება... ყვარყვარიზმი, ყვარყვარე და ყვარყვარეები, როგორც ზემოთ ვთქვით, მარადიული მოვლენაა. ხომ ხედავთ, მე ისევ ავცოცდებიო, — ამბობს ზოგი ჩვენებური პოლიტიკური მოღვაწე და ახალი არჩევნების „გასაიმასქნებლად“ ჩალიჩობს.

**— ვაი, ჩვენი ბრალი!..**

ესაუბრა **ვილენ მარდალეიშვილი**

---

მსოფლიო

## ბრაზილიის პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

**ბრაზილიის პრეზიდენტ დილმა რუსეფის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. სამართალდამცველები რუსეფის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მომხდარ დარღვევებს გამოიძიებენ. შეამოწმებენ კამპანიის დაფინანსების წყაროებს და დაადგენენ, გადაამეტეს თუ არა უფლებამოსილებას რუსეფმა და ვიცეპრეზიდენტმა მიშელ ტემერმა 2014 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას.**

ბრალის დადგენის შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, შესაძლოა, გაუქმდეს. ერთ-ერთი ვერსიით, დილმა რუსეფმა წინასაარჩევნო კამპანიისთვის ბრაზილიური ნავთობკორპორაცია „პეტრობრასში“ განხორციელებული თაღლითური სქემებით მოპოვებული თანხები გამოიყენა. ამ კომპანიის დირექტორთა საბჭოს რუსეფი 2003-10 წლებში ხელმძღვანელობდა.

კორუფციულ სქემებში სხვა ბრაზილიელი მაღალჩინოსნებიც არიან გახვეულნი. გამოძიების ინფორმაციით, ისინი კონტრაქტების გაფორმების სანაცვლოდ ქრთამს იღებდნენ. დილმა რუსეფი ყველა ბრალდებას უარყოფს.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინმა მოსკოვიდან უბრძანა გენერალ მიხეილ კატუკოვს, მოებრუნებინა თავისი სატანკო არმია და გადაელახა მდინარე სანი; ლელიუშენკოსა და რიბალკოს კი დაავალა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოევლოთ და გაეწმინდათ ქალაქი დამპყრობლებისგან. როგორც ჩანს, სტალინი უკმაყოფილო იყო ლვოვის აღების გაჭიანურებით. კონევი ყველანაირად ცდილობდა ქალაქის აღებას და 1944 წლის 22 ივლისს საბჭოთა არმიამ ლვოვი მთლიანად გაწმინდა გერმანელი ოკუპანტებისგან.**

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი

## 10 სტალინური დარტყმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-37 (314-319)

### დარტყმა № 6

**სტალინგრადში ხერხემალგადატეხილი ჰიტლერული არმია, ზოგიერთი ისტორიკოსის თვალსაზრისით, თითქოს კუდამოძუებული გარბოდა ბერლინისაკენ, რათა ბერლინში დაესრულებინა თავისი სიცოცხლე, მაგრამ ასე არ იყო. გერმანელი ოფიცერი თუ რიგითი ჯარისკაცი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა ,,დიდი გერმანიისთვისა" და ჰიტლერისთვის. არათუ ჯარისკაცები და ოფიცრები, ბავშვებიც და ქალებიც კი ერთი წუთითაც არ თმობდნენ თავიანთი მშობლების ,,ღვთიურ" აღქმას: ერთ-ერთ გერმანულ ქალაქში, როდესაც რუსი ჯარისკაცი ახალგაზრდა გერმანელ გოგონაზე ძალადობდა, გოგონამ ისე ძლიერად ურტყა თავი კედელს, რომ მოძალადეს ხელში გვამი შერჩა.**



მარშალი გოლოვანოვი

**შორს მოქმედი ავიაციის მარშალი გოლოვანოვი სტალინთან გამოიძახეს. ყველასათვის ცნობილი იყო სტალინისა და გოლოვანოვის ახლო ურთიერთობის ამბავი. სტალინთან გამოძახება მარშალს სულაც არ გაჰკვირვებია. განცვიფრება მხოლოდ მაშინ დაეუფლა, როდესაც გრძელ მაგიდასთან მსხდარ პოლიტბიუროს წევრებს შორის აღარ აღმოჩნდა მისი ადგილი და მიუთითეს, მოშორებით მდგომ ცალკე სავარძელში დამჯდარიყო**

**1944 წლის 23 ივნისს სტალინი თავისი მეექვსე დარტყმის შესრულებას შეუდგა და თათბირზე ფრონტის სარდალ კონევს განუცხადა: „ლვოვს უნდა დაარტყათ ერთიანი ძალით, რათა მტერს არ მივცეთ ამოსუნთქვის საშუალება".**

კონევმა დარტყმის ორი მიმართულებით განხორციელება სთხოვა. 24 ივნისს სტალინმა დირექტივას მოაწერა ხელი და კვლავ კონევს მიმართა:

**„გაითვალისწინეთ, რომ ოპერაცია უნდა შესრულდეს უნაკლოდ და სასურველი შედეგის მიღებით".**

ოპერაცია დაიწყო. ლვოვის მიმართულებით კონევის ძირითადი და ძლიერი მუშტი იყო მესამოცე არმია გენერალ **პაველ კუროჩკინის** სარდლობით, აგრეთვე, გენერალ **კირილე მოსკალენკოს** 38-ე არმია და სატანკო არმიები ლეგენდარული **პაველ რიბალკოსა** და **დიმიტრი ლელიუშენკოს** მეთაურობით. ლვოვის ასაღებად მზად იყო 5 საავიაციო კორპუსი.

უზარმაზარი შეიარაღების თავმოყრა და სახმელეთო ჯარების უდიდესი რაოდენობა შიშის ზარს სცემდა არა მარტო მტერს, არამედ შორიდან მომზირალ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც.

ჯარების სარდალმა კონევმა ბრძანა, შეექმნათ ყალბი სცენები ორი სატანკო არმიისა და ორი კორპუსის ფრონტის მარცხენა ფლანგზე, საითაც უამრავი ტანკისა და ზარბაზნის ბუტაფორიები იქნა გადაზიდული. ასეთი ორგანიზირებული და მასირებული შეტევის მზადების მიუხედავად, გერმანელები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ პოზიციებს, მით უმეტეს, რომ მათ ზურს უმაგრებდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი ნაციონალისტები.

ლვოვის მისადგომების თითოეულ კილომეტრზე 250 ზარბაზანი იდგა, რომლებიც საათისა და 40 წუთის განმავლობაში განუწყვეტლივ ბომბავდა ქალაქს. გერმანელებმა თავდაცვის მეორე ეშელონში გადაინაცვლეს, რის გამოც ქალაქის აღება ძალიან გართულდა. არათანაბარი ძალების მიუხედავად, გერმანელები თავს კარგად იცავდნენ. სარდალ კონევს არც უფიქრია, ასეთ დიდ წინააღმდეგობას თუ წააწყდებოდა ფრონტის ამ მცირე მონაკვეთზე, მაგრამ შედეგი ცხადად ჩანდა: გერმანელები არ თმობდნენ ლვოვს.

სტალინმა მოსკოვიდან უბრძანა გენერალ **მიხეილ კატუკოვს**, მოებრუნებინა თავისი სატანკო არმია და გადაელახა მდინარე სანი. ლელიუშენკოსა და რიბალკოს კი დაავალა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოევლოთ და გაეწმინდათ ქალაქი დამპყრობლებისაგან. როგორც ჩანს, სტალინი უკმაყოფილო იყო ლვოვის აღების გაჭიანურებით. კონევი ყველანაირად ცდილობდა ქალაქის აღებას და **1944 წლის 22 ივლისს საბჭოთა არმიამ ლვოვი მთლიანად გაწმინდა გერმანელი ოკუპანტებისგან.**

მარშალი კონევის შეფასებით, ლვოვთან ალყაში მოექცა გერმანელთა 8 დივიზია, რომლებიც თითქმის გაანადგურეს, მათ შორის 2 დივიზია კი ლიკვიდირებული იქნა, რადგან „გალიჩანები" — გალიციელი ნაციონალისტები — ტყვედ არ ბარდებოდნენ.

**ლვოვისთვის ბრძოლაში გერმანელებმა დაკარგეს 38 000 მებრძოლი, ხოლო 17 000 — ტყვედ ჩაბარდა.**

ლვოვში ფაშისტ გერმანელთა სრული ლიკვიდაციით ბრძოლები არ დასრულებულა. წითელ არმიას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა გერმანელებს მიმხრობილი უკრაინელების გარკვეული ნაწილი — **სტეპან ბანდერას** თანამზრახველები, რომელთა რაოდენობა არათუ იკლებდა, არამედ თანდათან იმატებდა.

ბენდერელთა გააქტიურება უფრო იმან გამოიწვია, რომ სასიკვდილოდ დაჭრეს გენერალი **ვატუტინი**, რომელიც მალევე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

1941—1944 წლებში უკრაინის ამბოხებულთა არმია („უპა") ბრძოლას აწარმოებდა საბჭოელი პარტიზანების წინააღმდეგ.Gგერმანელების განადგურების შემდეგ უკრაინის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ადამიანები გააქტიურდნენ და, ეწეოდნენ რა მოღალატეობრივ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, წინააღმდეგობას უწევდნენ წითელარმიელებს.

უკრაინის ამბოხებულთა არმიის ხელმძღვანელობამ მალე იწვნია საბჭოთა არმიის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატების ძალა, შეასუსტა ბრძოლა, გადავიდა იდეოლოგიურ მუშაობაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და დაიწყო ხალხის გადაბირება. საბჭოთა მთავრობამ ეს უფრო საშიშ მდგომარეობად ჩათვალა, ვიდრე მათ მიერ მოწყობილი დივერსიული აქტები.

მას შემდეგ, რაც ოპერატიულად განხორციელდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჰიტლერისადმი მიმხრობილი მოსახლეობის ნაწილის დეპორტაცია, სტალინმა გადაწყვიტა, ანალოგიურად დაესაჯა მეამბოხე უკრაინელთა გარკვეული ნაწილი, მაგრამ, ჩრდილოეთ კავკასიელებისგან განსხვავებით, ცდილობდა, უფრო ჰუმანური მოპყრობით დაემყარებინა წესრიგი მეამბოხე უკრაინელებს შორის.

1944 წლის 7 იანვარს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა განკარგულება, დაეპატიმრებინათ ყველა მეამბოხე უკრაინელი და ქონების კონფისკაციით გადასახლებინათ კრასნოიარსკის მხარეში, ჩერნოგორსკის სპეცბანაკში.

იატაკქვეშ მოქმედი უკრაინელების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციის ჩატარების წინ **ნიკიტა ხრუშჩოვს** გენერალმა სეროვმა მოახსენა, რომ კრასნოიარსკის მხარეში გადასასახლებლად უკვე მზად არის 2 000 ოჯახი, რომლებიც გამოყენებულნი იქნებიან სამთო-გამამდიდრებელ მრეწველობაში ნორილსკის რაიონში.

ცალკეულ უწყებათა ბრძანებებსა და ღონისძიებებს კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია, უკრაინაში მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. **1944 წლის 7 იანვარს ზღვარგადასული უკრაინელი ნაციონალისტების ასალაგმავად სტალინმა გამოსცა ბრძანება № 0078/42.**

ამ ბრძანებაში ასახულია უკრაინაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და მასობრივი საბოტაჟი, საბჭოთა უკრაინაში გერმანელი ოკუპანტების დაბრუნების აშკარა მცდელობა, პრიამბულაში ნათქვამია:

**„ვბრძანებ:**

**1. გასახლებული იქნას საბჭოთა კავშირის შორეულ მხარეებში ყველა უკრაინელი, რომლებიც თანამშრომლობდნენ გერმანელ ოკუპანტებთან;**

**2. გასახლდეს:**

**ა) პირველ რიგში, ის უკრაინელები, რომლებიც მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ გერმანელებთან;**

**ბ) გასახლებული იქნას ყველა უკრაინელი, რომლებიც თანაუგრძნობდნენ და ცხოვრობდნენ ფაშისტური ოკუპაციის დროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე;**

**გ) გასახლება დაიწყოს მას შემდეგ, რაც აღებული და დაბინავებული იქნება მოსავალი და პური ჩაბარებული სახელმწიფო ჯარის გამოსაკვებად;**

**დ) გასახლება დაიწყოს ღამით და მოულოდნელად, რომ არ მოხდეს მიმალვები. წითელი არმიის ნაწილებმა კონტროლი გაუწიონ ოკუპირებულ რაიონებს, რომლებიდანაც მოხდება დეპორტაცია".**

სტალინის ბრძანებამ სრული წესრიგი დაამყარა უკრაინაში. ამის შემდგომ კი უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა გახდა ერთ-ერთი უმძლავრესი სახელმწიფო ევროპაში, რომელიც ერთად აღებულ რამდენიმე სახელმწიფოს უსწრებდა სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებით.

ვასრულებ რა ათი სტალინური დარტყმის მეექვსე დარტყმაზე წერას, მინდა, მკითხველს გავაცნო სწორედ მეექვსე და მანამდელი სტალინური დარტყმების ყველაზე აქტიური მონაწილის, მარშალ **ალექსანდრე გოლოვანოვის** შემთხვევა, რომელიც სწორედ უკრაინის გათავისუფლების პერიოდში მოხდა.

შორს მოქმედი ავიაციის მარშალი გოლოვანოვი სტალინთან გამოიძახეს. ყველასათვის ცნობილი იყო სტალინისა და გოლოვანოვის ახლო ურთიერთობის ამბავი. სტალინთან გამოძახება მარშალს სულაც არ გაჰკვირვებია. განცვიფრება მხოლოდ მაშინ დაეუფლა, როდესაც გრძელ მაგიდასთან მსხდარ პოლიტბიუროს წევრებს შორის აღარ აღმოჩნდა მისი ადგილი და მიუთითეს, მოშორებით მდგომ ცალკე სავარძელში დამჯდარიყო.

საკითხი, რომელიც პოლიტბიუროს ვიწრო წრეში იხილებოდა, როგორც ჩანს, შეწყვიტეს გოლოვანოვის გამოჩენის გამო. სხდომის დარბაზში (ანუ სტალინის სამუშაო კაბინეტში — გრ. ონიანი) სიჩუმემ დაისადგურა. ღიმილს, ალერსიან შეხვედრებსა და პატივისცემას შეჩვეული მარშალი ვაკუუმში აღმოჩნდა. მას არც არავინ ულიმოდა და არც ვინმე ხმით ან მიმიკით რამეს ანიშნებდა. ხანგრძლივი პაუზა ისევ სტალინმა დაარღვია:

— აი რა, ამხანაგო გოლოვანოვ! — ცხვირწინ გაუჩერდა ბელადი მარშალს, — როგორც იქნა, თქვენზეც მოვიდა მამხილებელი წერილი. მითხარი, რა უნდა ვუყოთ მას?

— პირადად ჩემზე? — გაუბედა კითხვა მარშალმა.

— დიახ, თქვენზე.

— შეგიძლიათ, დაავალოთ კომისიას წერილის შემოწმება და, თუ ჩემი რამე გადაცდომა ან დანაშაული დამტკიცდება, დამსაჯეთ კანონის სრული სიმკაცრით, — განუცხადა მარშალმა სტალინს.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, საჩივრის შემოწმება ამხანაგ მალენკოვს რომ დავავალოთ? — ჰკითხა სტალინმა.

— სულაც არა, — იმედიანად უპასუხა გოლოვანოვმა და სტალინის მითითებით სათათბირო ოთახი დატოვა.

რამდენიმე დღის შემდეგ მალენკოვმა მარშალი კრემლში გამოიძახა. სხვა დროს მომღიმარი და მოსიყვარულე მალენკოვი არც კი წამომდგარა მისასალმებლად. ცეკას მდივნის გვერდით მარშალმა იცნო თავისი ერთ-ერთი პოლკის მეთაური ქალბატონი, გვარად **გრიზოდუბოვა.**

მალენკოვმა მარშალს მკაცრი ტონით დაუსვა კითხვები: რატომ არ აძლევთ გრიზოდუბოვას პოლკს გვარდიულის სახელწოდებას? რატომ არის გრიზოდუბოვა პოლკოვნიკი და არა გენერალი? რატომ ავიწროებთ და არ აჯილდოებთ ღირსეულად გრიზოდუბოვას?.. მან კიდევ სხვა მრავალი კითხვაც დაუსვა მარშალ გოლოვანოვს.

ამხანაგო ცეკას მდივანო, — მიმართა გოლოვანოვმა მალენკოვს, — ზემოხსენებულ საკითხებს მე არ ვწყვეტ. უფლება მომეცით, მივიდე ადგილზე და გავერკვე ყოველივეში. კითხვებზე დაზუსტებულ პასუხს მალე მოგახსენებთ...

გაგრძელება იქნება

**აშშ-ზე, სადაც დედამიწის მოსახლეობის 5 პროცენტი ცხოვრობს, ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, 1966 წლიდან დღემდე მსოფლიოში ჩადენილი მასობრივი მკვლელობების 31% მოდის, ამ მხრივ დანარჩენი ქვეყნები, რომლებშიც შედარებით დიდია მასობრივი მკვლელობების რიცხვი — ფილიპინები, იემენი, საფრანგეთი — ახლოსაც ვერ მივლენ „დემოკრატიის მამამთავარ“ სახელმწიფოსთან.**

ერთხელ ამერიკაში
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსროლელები «დემოკრატიისა და თავისუფლების» ქვეყნიდან



**ამა წლის 1 ოქტომბერს ორეგონის შტატის ქალაქ როზბერგში მოსწავლეთა ერთ-ერთი საშინელი მასობრივი მკვლელობა მოხდა აშშ-ის ისტორიაში. 26 წლის კრისტოფერ შონ ჰარპერ-მერსერმა კოლეჯ ამპკვას კამპუსის (სასწავლებლის დასახლება, სადაც სწავლებისთვის განკუთვნილ შენობებთან ერთად არის სტუდენტების საერთო საცხოვრებელი, ბიბლიოთეკა სასადილო და ა.შ.) ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 9 ადამიანი მოკლა, 9 დაჭრა და შემდეგ თავი მოიკლა. ეს უკვე მეორე ასეთი ინციდენტია როზბერგში. პირველი მოხდა 2006 წლის 23 თებერვალს: 14 წლის მოსწავლემ ვინსენტ უეინ ლეუდორომ, რომელსაც კლასელები გამუდმებით დასცინოდნენ, პისტოლეტიდან გასროლით დაჭრა 16 წლის ჯოზეფ მონტი.**

ალსანიშნავია, რომ 1 ოქტომბერს ამერიკულ კოლეჯში სისხლიანი კალოს დამტრიალებელი **ჰარპერ-მერსერი**, რომელსაც 18 წლის შესრულების შემდეგ მამა აღარ უნახავს, აშშ-ის არმიაში მსახურობდა. ახალგაზრდა მამაკაცი დედასთან ერთად ცხოვრობდა სახლში, სადაც 14 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი ინახებოდა (დედას იარაღის შეძენა-შენახვის უფლება ჰქონდა). ჰარპერ-მერსერი ანტირელიგიურ და რასისტულ იდეებს იზიარებდა.

დემოკრატიის შუქურად წოდებულ ამერიკაში მასობრივი მკვლელობები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სწორედ „ჩვეულებრივი მოვლენა“ უწოდა მოსწავლეების მასობრივ მკვლელობას პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ**, რომელმაც თავისი პრეზიდენტობის 7-წლიან პერიოდში აშშ-ს კონგრესს 15-ჯერ(!) სთხოვა მოქალაქეებისთვის იარაღის თავისუფალი გაყიდვის შეზღუდვა. თუმცა ამერიკელების უბედურება არის ის, რომ ობამამ კონგრესს **სთხოვა**, კი არ მოითხოვა მისგან იარაღის გაყიდვის შეზღუდვა, არამედ — სთხოვა. **აშშ-ს პრეზიდენტს კარგად ესმის, რომ იარაღის მწარმოებლებს ვერ აიძულებს, შეწყვიტოს გაყიდვა პროდუქციისა, რომელსაც ამერიკელები (არამხოლოდ) ისე ეტანებიან, როგორც წყალს სიცხეში. იარაღის ლობისთან დაპირისპირება ნიშნავს დაპირისპირებას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან, რომელიც უოლ-სტრიტთან ერთად ამერიკულის სისტემის ბურჯია.**

აშშ-ის პრეზიდენტი **ჯონ კენედი** პირველი იყო, ვინც დაუპირისპირდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და მისი საქმიანობაში გარკვევა მოისურვა, მაგრამ რით დასრულდა ეს, ყველასთვის ცნობილია...

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თვლის, რომ პლანეტაზე წესრიგის დამყარება მხოლოდ მას შეუძლია, მსოფლიოს ლიდერად იქცა ქვეყანის შიგნით ჩადენილი მასობრივი მკვლელობების მხრივ, თუმცა პირველობას არც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოსახლეობის მასობრივად განადგურების მხვრივ თმობს (ვიეტნამი, კამბოჯა, სერბეთი, ლაოსი, ერაყი, ლიბია, და ა.შ. ამჯერად კი მისი სამიზნე სირიაა).

**აშშ-ზე, სადაც დედამიწის მოსახლეობის 5 პროცენტი ცხოვრობს, ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, 1966 წლიდან დღემდე მსოფლიოში ჩადენილი მასობრივი მკვლელობების 31% მოდის, ამ მხრივ დანარჩენი ქვეყნები, რომლებშიც შედარებით დიდია მასობრივი მკვლელობების რიცხვი — ფილიპინები, იემენი, საფრანგეთი — ახლოსაც ვერ მივლენ „დემოკრატიის მამამთავარ“ სახელმწიფოსთან.**

**ალსანიშნავია, რომ აშშ-ის მოსახლეობაში რეგისტრირებულია 270 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი(?!): 100 კაცზე თითქმის 90 ერთეული.**

ამასთანავე, აშშ-ში მასობრივი მკვლელობის ჩამდენი ყოველწლიურად ახალგაზრდავდება. მათ შორის ბევრია მოსწავლე, სტუდენტი, რიგითი ჯარისკაცი, რომლებსაც მკვლელობის ჩადენა სკოლებსა და ოფისებში სწადიათ. უბედურება არის ის, რომ ეს მკვლელები სამაგალითოდ იქცნენ ლუზერებისთვის (წარუმატებელი) არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ გერმანიაში, ფინეთში, კანადაში, ნორვეგიაში (ბრეივიკი).

***მოსწავლეთა პირველი მასობრივი მკვლელობა 1902 წლის 9 ოქტომბერს კანადის პროვინცია მანიტობაში მოხდა:**

33 წლის მასწავლებელმა **ჰენრი ტეივზმა** ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სკოლაში 6 ადამიანი მოკლა, მათ შორის, 3 ბავშვი.



ორეგონელი მკვლელი შონ ჰარპერ მერსერი



ბობ სმიტი

***1966 წლის 12 ნოემბერს ქალაქ მესაში (არიზონა, აშშ)** კოლეჯ „Rose Mar College of Beauty“-ის 18 წლის სტუდენტმა **ბობ სმიტმა**, რომელიც პისტოლეტით იყო შეიარაღებული ერთ-ერთ აუდიტორიაში მძევლად აიყვანა 5 გოგონა და 2 ბავშვი. ცოტა ხნის შემდეგ მან დამიზნებით მოკლა 5 ადამიანი, მათ შორის, 1 ბავშვი.

1 გოგონა და ბავშვი მძიმედ დაჭრა. სმიტი პოლიციელებმა დააპატიმრეს. ბოროტმოქმედი აღტაცებული იყო **ჩარლზ უიტმენით** და სურდა მისი მსგავსი დანაშაული ჩაედინა.



ერიკ ჰარისი და დილან კლიბოლდი

***1999 წლის 20 აპრილს ჯეფერსონის ოლქის (კოლორადო, აშშ)** სკოლა „კოლუმბაინში“, 18 და 17 წლის მოსწავლეებმა — **ერიკ ჰარისმა** და **დილან კლიბოლდმა** ცეცხლი გაუხსნეს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. მძიმედ დაიჭრა 37 ადამიანი, მათგან 13 დაიღუპა. ჰამასმა და კლიბოლდმა თავი მოიკლეს.



ადამ ლანცა

***2012 წლის 14 დეკემბერს ნიუტაუნის (კონექტიკუტი, აშშ)** დაწყებით სკოლა „სენდი ჰუკში“ **ადამ პიტერ ლანზამ** მოკლა 6-7 წლის 20 ბავშვი და 6 ზრდასრული, 2 კი მძიმედ დაჭრა. მანამდე კი შინ დედა გამოასალმა სიცოცხლეს. ადამ ლინზამ ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ თავი მოიკლა.



ჩარლზ უიტმენი

*** 1966 წლის 1 აგვისტოს ოსტინში** (ტეხასი, აშშ) ტეხასის უნივერსიტეტის 25 წლის სტუდენტმა **ჩარლზ უიტმენმა** მოკლა თავისი ცოლი და დედა, შემდეგ ავიდა უნივერსიტეტის შენობის კოშკის 27-ე სართულზე, ააგო ბარიკადები და საათ-ნახევრის განმავლობაში ოპტიკურსამიზნიანი შაშხანიდან ესროდა ქუჩაში გამვლელებს. მოკლა 16 და დაჭრა 32 ადამიანი. უიტმენი პოლიციელებმა მოკლეს, რომელსაც მოგვიანებით „ტეხასელი მსროლელი“ შეარქვეს.





ბრენდა სპენსერი

*** 1979 წლის 29 იანვარს სან-დიეგოში (კალიფორნია, აშშ)** 16 წლის **ბრენდა სპენსერმა** თავისი ოთახის ფანჯრიდან ცეცხლი გაუხსნა მოზარდებს, რომლებიც Clivlend Elementary School-ში მიდიოდნენ. 2 ადამიანი (პოლიციელი და მასწავლებელი), რომლებიც მოსწავლეების დაცვას შეეცადნენ, ადგილზე მოკლა ნახევრად ავტომატური შაშხანიდან გასროლით, 9 მოსწავლე დაჭრა. “კალიფორნიელმა მსროლელმა” დაპატიმრების შემდეგ განაცხადა, რომ არ უყვარს ორშაბათი და დანაშაული ამის გამო ჩაიდინა.



ჩო სინ ხი

*** 2007 წლის 16 აპრილს ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელსა და სასწავლო კორპუსში,** როცა იქ 895 სტუდენტი იმყოფებოდა კორეული წარმოშობის ამერიკელმა **ჩო სინ ხიმ** ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 27 სტუდენტი და უნივერსიტეტის 5 თანამშრომელი მოკლა, 25 კი დაჭრა, შემდეგ კი თავი მოიკლა.



***მასობრივი მკვლელობა, რომელსაც ყველაზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა აშშ-ში 1924 წლის 18 მაისს მოხდა მიჩიგანის სკოლა „ბეტში“:** 55 წლის ფერმერმა **ენდრიუ კეჰომ,** რომელიც განათლების საბჭოს წევრი იყო, ჯერ ცოლი მოკლა და სახლი ააფეთქა, შემდეგ კი დაწყებით სკოლაში ხოცვა-ჟლეტა მოაწყო — ააფეთქა სკოლის შენობა. დაიღუპა 45 ადამიანი, მათ შორის, 38 მოსწავლე და 7 მასწავლებელი, დაიჭრა 57.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**P.S. ზემოთ მოყვანილი ფოტოფაქტები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მასობრივი მკვლელობებისა, რომლებიც აშშ-ში, ამ „დემოკრატიის სავანეში“ მოხდა.**

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეგენი მწვანეები კი არა, მავნეები არიან, — მიპასუხა და ამით დაამთავრა საუბარი.ზვიად გამსახურდიამ ეს თქვა იმ „მწვანეებზე“, რომლებმაც გააჩერეს არა მხოლოდ ხუდონჰესი, არამედ კახეთში სამელიორაციო სისტემების, დალის, ილტოს წყალსაცავებისა და მათი შესაბამისი ქსელების მშენებლობა“.**

# როგორ შენდებოდა ამიერკავკასიაში უდიდესი ჰესი — ენგურჰესი

## ხუდონჰესი რომ აგვეშენებინა, საქართველო უზარმაზარ სიძნელეებს ასცდებოდა

დასასრული. დასაწყისი იხ. №37 (319)

**„ენგურის ჰიდროელექტროსადგური — უდიდესი ჰესი ამიერკავკასიაში... ენგურჰესი ჰიდროელექტროსადგურების კასკადია, რომელშიც შედის თვით ენგურჰესი, რომლის დადგმული სიმძლავრეა 1300 ათასი კვტ (5 აგრეგატი, თითოეული 260 ათასი კვტ სიმძლავრის), ვარდნილჰესი №1 (სიმძლავრე 220 ათასი კვტ) და სამი 40 ათასი კვტ სიმძლავრის ჰესი. ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრეა 1640 ათასი კვტ, საშუალო წლიური გამომუშავება — 5,46 მლრდ კილოვატსაათი. ჰესის ნაგებობებში შედის 271,5 მ სიმაღლის უნიკალურ თაღოვანი კაშხალი, რომელიც დაბა ჯვართან ქმნის წყალსაცავს (მოცულობა — 1 მლრდ კუბური მეტრი, სიგრძე — 30 კმ); სადერიკაციო გვირაბი (დიამეტრი — 9 მეტრი, სიგრძე — 15 კმ), რომელიც მთავრდება მათანაბრებელი კოშკით (დიამეტრი — 16 მ, სიმაღლე — 167 მ). სადერივაციო გვირაბი ჰიდროაგრეგატებს წყლით კვებავს 451 მ სიგრძის 5 სადაწნეო გვირაბის საშუალებით. ნაგებობათა კომპლექსში შედის, აგრეთვე, მიწისქვეშა ჰესი 5 ჰიდროაგრეგატით. მისი ტურბინებიდან წყალი გამყვანი გვირაბით (სიმაღლე — 13 მ, სიგრძე — 3,2 კმ) მიემართება №1 ვარდნილჰესის წყალსაცავში. ვარდნილჰესებისთვის შექმნილია, აგრეთვე, გალის წყალსაცავი, მოცულობა — 1-1,9 მლნ კუბური მეტრი“. (ქსე, ტ. IV, გვ. 150).**

**— ბატონო ბაკურ, ენგურჰესი საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობად იყო გამოცხადებული.**

— დიახ, ასე იყო. საბჭოთა კავშირში მცხოვრები 30 ეროვნების 12 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე ყოველდღე გამოდიოდა სამუშაოდ. 30 ათასზე მეტნი იყვნენ ოჯახების წევრების ჩათვლით, რომლებიც რამდენიმე დასახლებაში ცხოვრობდნენ და მათი (დასახლებების) არეალი ას კილომეტრზე მეტ მანძილზე ვრცელდებოდა.

**— იგულისხმება, რომ მათი კვალიფიკაცია უმაღლესი დონისა იყო.**

— რა თქმა უნდა. ისიც უნდა გითხრათ, რომ ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მიმდინარე მშენებლობაზე ადგილობრივი კადრები გაიზარდა. და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი მომენტი:

საბჭოთა კავშირის ელექტრიფიკაციის პირველი გეგმით („გოელროს“ გეგმით) **ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აგება რამდენიმე სხვა ჰესთან ერთად იყო გათვალისწინებული. ეს იყო კავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური. მან შექმნა საქართველოში ენერგომშენებლების პირველი ეროვნული კადრების მომზადების უნიკალური სკოლა. მომდევნო წლებში საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც მთელ ქვეყანაში და საზღვარგარეთაც აშენებდნენ ჰესებს.** ერთადერთი გამონაკლისი ამ სივრცეში იყო საქართველო, რომელსაც ჰიდრომშენებლების ეროვნული კადრები ჰყავდა: **ამ საფუძველზე ჩვენთან შეიქმნა სპეციალიზებული ორგანიზაციები, რომელთაც ჰიდროელექტროსადგურების თავიდან ბოლომდე აშენება შეეძლოთ.**

**დაგისახელებთ: „კაშხალმშენი“, „გვირაბმშენი“, ორგანიზაცია ძალოვანი კვანძის მშენებელი და ა.შ. ყველგან, მათ შორის უკრაინაშიც კი, ჰესებს საკავშირო ორგანიზაციები აშენებდნენ.**

ზაჰესს კვალად მოჰყვა ჰესების მთელი წყება, ბოლოს — რიონჰესი, ხრამჰესი, ორთაჭალჰესი, ლაჯანურჰესი და ენგურჰესი.

ენგურჰესზე ტურბინების დაკომპლექტებისა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს, ასევე, სპეციალიზებულ სამუშაოებს საკავშირო ორგანიზაციები ასრულებდნენ. ძირითად სამუშაოებს ქართული ორგანიზაციები ეწეოდნენ, რომლებსაც ჰყავდა კვალიფი-



ციური მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა თავისი კონტინგენტი — გვირაბგამყვანები, კაშხალმშენებლები და ა.შ.

**— სიტყვამ მოიტანა და, მოდით, გადავიდეთ წარმოების მეთაურებზე, მშენებლობის უფროსებზე. მათგან რამდენიმე უკვე დაასახელეთ — ცისკარიშვილი, ესაკია...**

— **მიხეილ ცისკარიშვილი** იყო მეათე უფროსი, რომლის ხელშიც ამოქმედდა სიმძლავრეები.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, რომ ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულმა გადაწყვეტილებამ ენგურჰესის მშენებლობის დაჩქარების შესახებ დიდი არევ-დარევა და მშენებლობის ვადების დარღვევა გამოიწვია. ამის გამო სხვადასხვა დროს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან მშენებლობის ცხრა უფროსი. გავრცელდა ხმები, რომ ენგურჰესზე იპარავდნენ, იტაცებდნენ სამშენებლო მასალებს და სწორედ ამის გამო ვერ სრულდებოდა გეგმები და მშენებლობაც ამიტომ ჭიანურდებოდა.

**— იქნებ, აქვე თქვათ, რა რეაქცია ჰქონდა ამ ბრალდებაზე საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობას?**

— აუცილებლად გეტყვით, მაგრამ ჯერ დაწყებულ თემას მივყვეთ.

**— ნება თქვენია.**

— რა ხმებიც გავრცელდა, გითხარით, მაგრამ პრობლემა სხვა იყო, რომელიც კარგად იცოდა ენერგეტიკის საკავშირო მინისტრმა **პეტრე ნეპოროჟნიმ**. ამაზე წინა ინტერვიუში უკვე ვისაუბრეთ. ნეპოროჟნიმ მშენებლობის უფროსად ესაკიას ნაცვლად ცისკარიშვილი რომ მოიყვანა და კოლექტივს წარუდგინა დიდ თათბირზე, თქვა: მას (ცისკარიშვილს), კაცს თუ არ მოკლავს, ხელს არ ვახლებ, მან უნდა დაასრულოს მშენებლობაო.

გვერდს ვერ ავუვლი უაღრესად დიდ პიროვნებას — **ნიკოლოზ ესაკიას,** გენერალ-მაიორს, საბჭოთა კავშირის გმირს, რომელიც ფოთელი გახლდათ. იგი აშენებდა დახურულ, გასაიდუმლოებულ ობიექტებს ციმბირში, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი გერმანიასთან ომისთვის ემზადებოდა. იქ მზადდებოდა მოედნები ომის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების საწარმოების გადმოსატანად. სტალინის ეს გათვლა რეალობად რომ იქცა, ამან ბევრად განსაზღვრა ფაშიზმის წინააღმდეგ ომის ბედი. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი ნიკოლოზ ესაკიას ეკუთვნოდა. მის ამ დამსახურებაზე წერდა საბჭოთა კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი **სლავსკი** თავის წიგნში: **დადგება დრო, როცა ეს ობიექტები განსაიდუმლოვდება, მოვლენ ახალი თაობები და ძეგლს დაუდგამენ ნიკოლოზ ესაკიას.**

ეს კაცი **ვასილ მჟავანაძემ** მოძებნა და, როცა ენგურჰესის მორიგი უფროსი გაათავისუფლეს, მისი ადგილის დასაკავებლად მოიწვია. ესაკიამ სასწაულები მოახდინა მშენებლობაზე, როგორც დიდმა ორგანიზატორმა და უაღრესად ნიჭიერმა ხელმძღვანელმა. ურთულეს ამოცანებს წყვეტდა იმ კავშირების წყალობით, რომლებიც საკავშირო ხელმძღვანელ სფეროებში ჰქონდა.

როცა ამ პიროვნებამ დაინახა, რომ დიდი მოჩვენებითობა თამაშდებოდა, და ხრუშჩოვის დროს გამრუდებულ საქმეს, რომელიც ინერციით გრძელდებოდა და დათქმულ ვადებში განხორციელება არ ეწერა, რადგან იმთავითვე ბლეფი იყო, მოიწვია მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, სადაც განაცხადა, რომ მიდიოდა. ვერავითარმა თხოვნამ ვერ გაჭრა — ვერც ვასილ მჟავანაძის, ვერც საკავშირო მინისტრის მუდარამ. თქვა და შეასრულა.

მოგვიანებით დათანხმდა კონსულტანტობას „თბილგვირაბმშენში“, სადაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ურთულეს პერიოდში, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა...

კაშხალმშენს ხელმძღვანელობდნენ **მირიან ებრალიძე, ნოდარ ემხვარი, ნოდარ შარტავა** და სხვა ცნობილი ჰიდრომშენებლები. გვირაბმშენს სათავეში ედგა სტალინური პრემიის ლაურეატი **გიორგი წულეისკირი, ასევე, ხონძი შელია, ჯემალ ჭანტურია** და სხვები. ძალოვანი კვანძის, ანუ მიწისქვეშა სადგურის მშენებლობას — ასევე ცნობილი ჰიდრომშენებლები — **უშანგი გოჯიაშვილი, ივერი მაისურაძე, მოველი ჭაავა, რენალდ დგებუაძე, ავთანდილ ჩალაძე, გიორგი ცნობილაძე** და ა.შ.

საკავშირო ხელმძღვანელობა საკუთარი შეცდომების გამართლებას მშენებლობის მთავარი ინჟინრისა და გადამწყვეტი უბნების ხელმძღვანელების გაშვებითა და სხვა რესპუბლიკებიდან კადრების ჩამოყვანით შეეცადა. სახელოვანი ქართველი ჰიდრომშენებლების ჩანაცვლებას ჩემი მხრიდან (მოგეხსენებათ, პარტკომის მდივანი ვიყავი) ძალიან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. რაც შეიძლებოდა, ეს მწვავე პრობლემა გავანეიტრალეთ.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მოგვარდა, მშენებლობა სასურველი ტემპით წარიმართა და 1978 წელს სიმძლავრის გაშვებით დამთავრდა, თუმცა შესასრულებელი შემდეგაც ბევრი იყო.

**— ახლა შეიძლება ქართველების მიერ სამშენებლო მასალების „მოპარვის“ ამბავზე გადახვიდეთ?**

— ჩემს ბიოგრაფიაში ერთი ასეთი საინტერესო მომენტია. ვმუშაობ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და ხშირად მიწევს მოსკოვში მივლინებით ჩასვლა. საქართველოს წარმომადგენლობიდან (ფალიაშვილის ქუჩაზე) ერთხელ რომ გამოვედი, ვხედავ, შესასვლელთან დგას წეროსავით მაღალი და ლამაზი კაცი — **ირაკლი აბაშიძე.** გამიკვირდა, რადგან ჩემი ხანგრძლივი დაკვირვებით, პოეტები ასე ადრე არ დგებიან. მივესალმე დიდი სიყვარულით. შემომხედა აშკარად რაღაცით შეწუხებულმა და მითხრა:

— ცუდი ამბავი უნდა გითხრა. ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე გარდაიცვალა. არ მითხრა, თათბირზე მივდივარო. მოდი, ერთად წავიდეთ და პატივი მივაგოთო.

ცხადია, დავრეკე საგეგმო კომიტეტში, ავუხსენი მდგომარეობა და ვუთხარი, რომ დამაგვიანდებოდა. გავყევი ირაკლი აბაშიძეს და დავესწარი გამოსათხოვარ მიტინგს.

**— სამგლოვიარო მიტინგს?**

— გამოსამშვიდობებელს: ცხედარი თბილისში უნდა გადმოესვენებინათ. მიტინგს ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს ყოფილი წევრები, მოქმედი წევრებიდან იყო მხოლოდ **არვიდ პელშე** — დამკრძალავი კომისიის ხელმძღვანელი. სიტყვებით გამოსულები, ყველანი ტრადიციული, ტრაფარეტული კლიშით შემოიფარგლნენ, რომ გარდაცვლილი 18 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა და ა.შ. მაგრამ ერთი კაცის, უკრაინის ცეკას ყოფილი პირველი მდივნის, პოლიტბიუროს ყოფილი წევრის — **პეტრე შელესტის** გამოსვლა სხვებისგან გამორჩეული იყო.

მან თქვა: “შენმა ხალხმა არ იცის, ვასილი პავლოვიჩ, რომ ხარ შენი ქვეყნის ეროვნული გმირი. შენ ბევრ- ▶



უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ენგურჰესის მშენებლობა დაჯდა დაახლოებით ერთი მილიარდი მანეთი, რომელიც, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, დღევანდელი კურსით 8-10 მილიარდ აშშ დოლარს უდრის. ამის დასადასტურებლად რამდენიმე ციფრს დაგისახელებთ. ერთი კუბური მეტრი ხეტყე ღირდა 6 მანეთი და 70 კაპიკი, არმატურა — კილოგრამი 19 კაპიკი, ცემენტი — ტონა 5 მანეთი. კუბური მეტრი მიწის დამუშავება, ყველაზე ღრმად, 3 მანეთი ჯდებოდა. ასეთი ფასებით შედგა მილიარდი მანეთი“.**



**«დღეს ვინმე თორთლაძის მომზადებული კანონით აკრძალულია ვასილ მჟავანაძის სახელის მინიჭება ქუჩისთვის, რადგან იგი (სახელი) ხალხს კომუნისტურ წარსულს გაახსენებსო. არადა, ისინი დიდი პატრიოტები იყვნენ და მე ძალიან ბევრი რამ ვიცი, როგორ იცავდა ვასილ მჟავანაძე საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს»**

◀ ჯერ გადაარჩინე მშობლიური ხალხი შენი პირადი რისკის ფასად. დარწმუნებული ვარ, როცა ქართველი ხალხი ამას გაიგებს, გმირად გამოგაცხადებს.”

საქმე ის არის, რომ შელესტი თავისი მაღალი თანამდებობიდან გაათავისუფლეს იმის გამო, რომ ლოიალური იყო უკრაინის ეროვნული მოძრაობის მიმართ, გულისტკივილიც გამოთქვა იმ სიტყვაში.

**პრობლემა, რომელიც დღეს უკრაინაში ასეთი სიმწვავით გამჟღავნდა და უბედურებად შემოუბრუნდა ქვეყანას, საკმაოდ ძველია. სიმშვიდის შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც პარიტეტს, ბალანსირების მეთოდს ეფუძნებოდა. ნებისმიერ მხარეს გადახრა, უბედურებას მოიტანდა. დღევანდელმა დღემ დაგვანახვა, რომ ეს შიში უსაფუძვლო არ იყო.**

მჟავანაძე თბილისში ჩამოასვენეს. იმ დღეებში თბილისში ჩამოდის ენგურჰესელებისთვის კარგად ნაცნობი, მშენებლობის ერთ-ერთი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი **შუქრი ქირია.** შემოდის ჩემთან კაბინეტში და მეუბნება, რომ თბილისში ვასილ პავლეს ძის დაკრძალვაზე იყო ჩამოსული.

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ არასოდეს გქონიათ ახლო ურთიერთობა?! — ხუმრობით გავიკვირვე.

მან მიპასუხა:

— ენგურჰესის მშენებლობაზე რომ ჩამოვიდა მჟავანაძე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი ჯავახიშვილთან** და ცეკას მდივან **ბორის გიგიბერიასთან** ერთად, მე მათ წინ გზის გამკვლევივით მივუძღოდი, მაგრამ ცალი ყურით იმას ვუსმენდი, რას ლაპარაკობდნენ. ახალგაზრდა კაცი ვიყავი და ამ მაღალი თანამდებობის ადამიანების საუბარი მაინტერესებდა.

**ესაკია ეუბნებოდა მჟავანაძეს, რომ ადგილობრივები იპარავენ ყველაფერს — ხეტყეს, რკინის ნაწარმს, ხრეშს, ქვიშას. ასეთი უცნაური ხალხი არ მინახავსო.**

**მჟავანაძე ხმას არ სცემს.**

**ბეტონის ქარხანაში რომ მივიდნენ, ესაკია მჟავანაძეს ეუბნება, ბეტონსაც იპარავენო.**

**— უცნაური კაცი ხარ შენ, ნიკოლოზ, — უპასუხებს მჟავანაძე, — ბეტონი, როგორც ვიცი, დიდხანს ვერ ძლებს და შეიკვრება.შორს ვერ წაიღებ.**

**ესაკიამ დაუდასტურა,— კიო.**

**— მაშასადამე, სადღაც ახლომახლო გამოიყენებენ. სოფლის მოსახლეობა ან ხიდბოგირს გააკეთებს (არავინ იცოდა, რომ ეს სამხედრო კაცი ამგვარ ტერმინოლოგიაში ერკვეოდა), ან ღობეს, ან სახლს აიშენებს, ბოლოს და ბოლოს. ჰესი ისეთი გიგანტური მშენებლობაა, რომ ასეთი წვრილმანი არც შეეტყობა. არ გინდა, რომ ხალხი აშენდეს და დასახლდეს?! დაანებე თავი, სხვა რამეზე ილაპარაკე!**

— ეს ჩემთვის,— მითხრა შუქრი ქირიამ,— მთელი მსოფლმხედველობის გადატრიალება იყოო: ერთი მანქანა ხრეშისა და ქვიშის „არადანიშნულებით“ გამოყენებისთვის ესაკია გვიჭირდა.

რა თქმა უნდა, სიმკაცრე საჭირო იყო, მაგრამ, როცა საქართველოს ცეკას პირველი მდივნისა და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატისგან გაიგებ, — ხალხმაც ისარგებლოსო, სრულიად მოულოდნელი და მანამდე წარმოუდგენელი რამე იყო.

ეს ამბავი ენგურჰესის მშენებლობაზე ჩემს მისვლამდე მოხდა. შუქრის კი სხვა ამბის მოყოლით გამოვეხმაურე.

მე ვიყავი იმ მანქანაში, რომელშიც შოფრის გვერდით იჯდა ცეკას მდივანი, შემდგომში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, ენგურჰესის მშენებლობის კურატორი **ზურაბ პატარიძე**, უკანა სავარძელზე კი — მე და დამზადების იმჟამინდელი მინისტრი, შემდგომში ცეკას მდივანი **შოთა ჭანუყვაძე** ვისხედით.

ზუგდიდიდან რომ გამოვედით და ულამაზეს, წელში გამართულ სოფლებს რომ ჩავუარეთ, ზურაბ პატარიძე შემობრუნდა და მეუბნება:

— კაცო, სანამ მშენებლობა დაიწყებოდა, ამ სოფლებში ქოხმახები იდგა. ახლა, ხედავ, რა სახლები წამოუჭიმავთ?!

უხაროდა ამ იმერელ კაცს.

ჭანუყვაძემ ჩამილაპარაკა გურული კილოკავით:

— ბიჭო, თქვენ ხომ ხელს არ უშლით ამაში?

— არა-მეთქი.

— ჰოდა, არ შეუშალოთ. აშენდეს ხალხი, აშენდეს.

მივხვდი, რომ ვასილ მჟავანაძეს თავისი დამოკიდებულება მხოლოდ იმ სამი კაცისთვის კი არ უთქვამს (მიეხმარეთ ხალხსო), არამედ ასეთი იყო საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკა!

**დღეს ვინმე თორთლაძის მომზადებული კანონით აკრძალულია ვასილ მჟავანაძის სახელის მინიჭება ქუჩისთვის, რადგან იგი (სახელი) ხალხს კომუნისტურ წარსულს გაახსენებსო.**

არადა, ისინი დიდი პატრიოტები იყვნენ და მე ძალიან ბევრი რამ ვიცი, როგორ იცავდა ვასილ მჟავანაძე საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს.

ენგურჰესზე საუბარი ამით დავამთავროთ.

დასასრულ, ერთი პრობლემა აღვნიშნოთ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი რესპუბლიკა, რომელსაც ელექტროენერგეტიკული ბალანსი დადებითი არ ჰქონდა.

**— ენგურჰესმა ვერ შეავსო დანაკლისი?!**

— ამ ჰესის გარდა საბაზისო თბოელექტროსადგური უნდა აგვეშენებინა, რაც დღემდე ვერა და ვერ მოხერხდა.

**— ენგურჰესის მშენებლობის გაჭიანურებამ უთუოდ მისი გაძვირება გამოიწვია.**

— რა თქმა უნდა. **ენგურჰესის მშენებლობა დაჯდა დაახლოებით ერთი მილიარდი მანეთი, რომელიც, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, დღევანდელი კურსით 8-10 მილიარდ აშშ დოლარს უდრის.** ამის დასადასტურებლად რამდენიმე ციფრს დაგისახელებთ. ერთი კუბური მეტრი ხეტყე ღირდა 6 მანეთი და 70 კაპიკი, არმატურა — კილოგრამი 19 კაპიკი, ცემენტი — ტონა 5 მანეთი. კუბური მეტრი მიწის დამუშავება, ყველაზე ღრმად, 3 მანეთი ჯდებოდა. ასეთი ფასებით შედგა მილიარდი მანეთი.

მოდი, ერთი სატკივარიც გავანდოთ თქვენს მკითხველებს.

**— ბრძანეთ!**

**— ხუდონჰესი, რომლის მშენებლობა დაწყებული იყო, რომ დაგვემთავრებინა, ე.წ. მწვანეთა მოძრაობას რომ არ შეეჩერებინა, ეს ბოროტება არ ჩაედინა, 700 მეგავატის სიმძლავრის ხუდონჰესი რომ აგვეშენებინა, საქართველო უზარმაზარ სიძნელეებს ასცდებოდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სწორედ ამ მშენებლობის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე მიუთითებდა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას საკავშირო მთავრობის თავმჯდომარე ნიკოლაი რიჟკოვი.**

**— საკავშირო სახსრებით?**

— დიახ. იმავეს გვეხვეწებოდა ცნობილი **არკადი ვოლსკიც**, საკავშირო ცეკას მძიმე მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგე, რომელიც ენგურჰესის მშენებლობას კურატორობდა. იგი სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში და დაინტერესებულ პროფესიონალებსა და სხვებს განუცხადა: გინდათ, დამოუკიდებელი ქვეყანა იყავით, თქვენი ნებაა, მაგრამ ენგურჰესი და ხუდონჰესი თქვენ გჭირდებათ. 700 მილიონი რუბლი დაჯდებოდა ეს მშენებლობა. ამაზე ლაპარაკი იყო ჯერ 80-იან, შემდეგ 90-იან წლებშიც კი.

**ახლა რა მამასისხლად და სვანეთის მოსახლეობის როგორ შეურაცხყოფად გვიჯდება ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელება, თქვენმა მკითხველებმა კარგად იციან.**

ყველა საკითხი მოგვარებული იყო, ნულოვანი ციკლი — დამთავრებული და ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ასეთი შესაძლებლობა, ისტორიული შანსი ხელიდან გავუშვით. ეს შეცდომა ჩვენი იმჟამინდელი მთავრობის სინდისზეა. იგი აჰყვა ქუჩაში გამოსულ მომიტინგე ახალგაზრდობას, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა ქვეყნის ენერგეტიკულ პრობლემებზე.

ერთსაც დავუმატებ.

1991 წელია. ვარ საქართველოს პრეზიდიუმის წევრი. შევდივარ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, ვცდილობ, მრჩევლის როლი ვითამაშო და ერთი დეტალის შესახებ ვიწყებ ლაპარაკს.

ეს ის პერიოდია, როცა იგი ახლოს არ იკარებდა იმ მოძრაობებს, რომლებიც „მრგვალ მაგიდაში“ არ იყვნენ გაერთიანებულნი, მათ შორის, „მწვანეებს“:

— ბატონო ზვიად, — ვეუბნები, — იქნებ, შეარბილოთ მათ მიმართ თქვენი დამოკიდებულება. ახლოს გყავდეთ, გაიარონ რაღაც სკოლა, თორემ ქუჩაში გდებით სახელმწიფოს მართვის ვერავითარ გამოცდილებას ვერ მიიღებენ და, როცა ხელისუფლებაში მოვლენ, ქვეყანას თავზე დაგვამხობენ.

მომისმინა და მეკითხება:

— ვინ გყავს მხედველობაში?

— მაგალითად, „მწვანეები“.

— ეგენი მწვანეები კი არა, მავნეები არიან, — მიპასუხა და ამით დაამთავრა საუბარი.

**ზვიად გამსახურდიამ ეს თქვა იმ „მწვანეებზე“, რომლებმაც გააჩერეს არა მხოლოდ ხუდონჰესი, არამედ კახეთში სამელიორაციო სისტემების, დალის, ილტოს წყალსაცავებისა და მათი შესაბამისი ქსელების მშენებლობა.**

**„მწვანეების“ ლოზუნგი, რომ ამით ისინი თითქოს საქართველოს ბუნების გადასარჩენად იღვწოდნენ, ცრუ იყო. სინამდვილეში ისინი ცდილობდნენ, დაემკვიდრებინათ საკუთარი თავი, როგორც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლებს; მოქცეულიყვნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როგორც ძალა, რომელსაც ხელისუფლება ანგარიშს უწევს. პროპაგანდისტული დატვირთვის გარდა, მათ აქციებს სახალხოსამეურნეო არავითარი დატვირთვა არ ჰქონია. პირიქით, მაშინ ეს იყო მავნე მოძრაობა.**

ეროვნული მოძრაობის პიკზე ზვიად გამსახურდიას მათთვის ხელი არ შეუშლია, რადგან ისინი საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდნენ, მაგრამ, როცა თვითონ გახდა ხელისუფალი, ნახეთ, როგორ შეაფასა? — მავნეები არიანო. მათი იმჟამინდელი მავნებლობა დღესაც იჩენს თავს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

## სხვა კადრებიც უნდა აჩვენონ! საზოგადოებამ უნდა ნახოს ამ გამაუპატიურებლების სახე!

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე უკრაინული პორტალის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეომასალაზე კომენტარს აკეთებს:**

„ეს კადრები ჩემთვის უცხო არ არის. მაშინ ვნახე, როდესაც შს იმჟამინდელმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამოქალაქო სექტორს, მედიის წარმომადგენლებს დაგვიძახა და გვაჩვენა ამ წამების კადრები. მხოლოდ ეს კი არა, სხვა კადრებიც უნდა აჩვენონ ყველას, რათა საზოგადოებამ კარგად დაინახოს ამ გამაუპატიურებლების სახე. დღეს იკრიბებიან სწორედ ამ გამაუპატიურებლების „გამპრავებლები“. ამ საშინელი სისტემის მიმდევარი ტელევიზიები ამტკიცებენ, რომ ეს კადრები დადგმულია. როგორ შეიძლება, დადგმული იყოს ასეთი კადრები, როდესაც პირდაპირ ჩანს მამაკაცის გაუპატიურება?!

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვისთან გვაქვს საქმე. საქმე გვაქვს „მეცოცხეებთან“ და გამაუპატიურებლებთან. ეს ნაგავი „ნაციონალური მოძრაობა“ სამუდამოდ უნდა გავიტანოთ საქართველოდან თავის მიმდევრებიანად... მაგათი ბოგინის დრო საქართველოში უკვე დამთვარდა. მე იმისი მეშინია, რომ ამ კადრების ხილვის შემდეგ პირდაპირი ანგარიშსწორებები არ დაიწყოს.

გახსოვთ, ალბათ, 2012 წელს ციხის კადრების ჩვენების შემდეგ „ნაცები“ სახლიდანაც ვერ გამოდიოდნენ. „ენ-დი-აი“, რომელიც დღეს ამ გამაუპატიურებლებს 13%-ს უწერს, გარკვეულწილად დამნაშავეა ამ ყველაფერში. მათ სურთ, „მეცოცხეები“ დააბრუნონ საქართველოში... ეს ხალხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიტანოთ საქართველოდან. აღშფოთებული ვარ... ვინც მათ მხარს უჭერს, ისინიც დამნაშავეები არიან. საქართველო უნდა გაიწმინდოს გამაუპატიურებლებისგან“, — აცხადებს მჟავანაძე.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ნაციონალები“ უსირცხვილოდ ცდილობენ იმის მტკიცებას, რომ საზოგადოებამ საქართველოს საპატიმროებში, სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებსა და, საზოგადოდ, პოლიციის განყოფილებებში ადამიანების წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სასტიკი დამცირების შესახებ მხოლოდ ბედუკაძის გამოჩენის შემდეგ შეიტყო. ამასთანავე, ისინი ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ მთელი ეს „ფოკუსი“ მოქმედმა ხელისუფლებამ ჩაატარა და სინამდვილეში არავითარ სისტემურ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, „გულუბრყვილო“ საზოგადოებამ დაუჯერა ბედუკაძეს და შეცდა.**

# წელთაღრიცხვა ბედუკაძით და ხალიანი მესიის მოვლინება

**გასული კვირა ამ ორი ძირითადი მოვლენით აღინიშნა. ორივე ისე მნიშვნელოვან მოვლენად გასაღდა, რომ ლამის უძველესი მსოფლიოს უდიდეს ისტორიულ მოვლენებს გაუტოლდა. კერძოდ, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკისა და საზოგადიებრივი ცხოვრების ორი მთავარი პერიოდი გამოიყო — ბედუკაძემდე და ბედუკაძის აქეთ.**

ასეთ დაყოფას, ძირითადად, „ნაციონალები“ და მათი მხარდამჭერები მიმართავენ ხოლმე და ხშირ-ხშირად წამოაძახებენ პოლიტიკურ ოპონენტებს — ბედუკაძის მიერ გამოტანილი ციხის კადრები რომ არა, სხვა რა გაქვთ ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ეგ კადრები დადგმულია და სიმართლეს არ შეესაბამებაო.

„ბედუკაძემდელი ერა“ კიდევ ერთხელ გაახსენა ქართველ საზოგადოებას ერთ-ერთი უკრაინული საიტის მიერ გავრცელებულმა იმ კადრებმა, რომლებიც, როგორც გამავრცელებლის მტკიცებით, ასევე მოგვიანებით საქართველოს მთავრობის დადასტურებით, სამეგრელოში ნაპოვნ კასრებში ინახებოდა.

მართალია, ამ კონკრეტულ კადრებთან ციხის ყოფილ ზედამხედველ ლადო ბედუკაძეს შეხება არ აქვს, მაგრამ, როგორ ჩანს, ხალხის თვალში, პატიმარ მამაკაცთა ანალური წამების (ამას იურიდიულ ენაზე „გაუპატიურება“ არ ჰქვია) ამსახველი ყველა კადრი სწორედ ბედუკაძესთან ასოცირდება.

სწორედ ასე დებენ ხოლმე „ნაც“-მხარდმაჭერები თავიანთ „ზეობასა“ და „დაცემას“ შორის ზღვარს „კადრებამდე“ და „კადრების შემდეგ“, თუმცა „არგუმენტები“ მაინც ერთი და იგივე აქვთ, მიუხედავად კონკრეტული ვიდეოკადრების წარმომავლობისა.

აკი, **ეს ვიდეოკადრები სამი წყაროდან არსებობს — „ლომიძის კადრები“, „ბედუკაძის კადრები“ და „სამეგრელოს კასრების კადრები“. მიუხედავად ამისა, სამივე შემთხვევაში უტიფარი „ნაციონალები“ და მათი არანაკლებ უტიფარი მხარდამჭერები ყველა ამ კადრის შესახებ უსირცხვილოდ აცხადებენ, რომ ისინი „დადგმულია“.**

„ნაციონალები“ უსირცხვილოდ ცდილობენ იმის მტკიცებას, რომ საზოგადოებამ საქართველოს საპატიმროებში, სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებსა და, საზოგადოდ, პოლიციის განყოფილებებში ადამიანების წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სასტიკი დამცირების შესახებ მხოლოდ ბედუკაძის გამოჩენის შემდეგ შეიტყო. ამასთანავე, ისინი ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ მთელი ეს „ფოკუსი“ მოქმედმა ხელისუფლებამ ჩაატარა და სინამდვილეში არავითარ სისტემურ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, „გულუბრყვილო“ საზოგადოებამ დაუჯერა ბედუკაძეს და შეცდა.

სინამდვილეში კი, **ხომ ყველამ ვიცით, საერთოდაც რომ არ გამოეტანა არც ბედუკაძეს და არც ლომიძეს არანაირი კადრები და არც სამეგრელოში ეპოვათ კასრები, ხალხისთვის ისედაც ცნობილი იყო ყველაფერი.**

საპატიმროებში არსებული მდგომარეობის, წამების, სექსუალური ძალადობისა და სხვა საშინელებების შესახებ ამბები ყველას პირზე ეკერა და გავრცელებული ვიდეოკადრები მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი დადასტურება იყო იმისა, რაც ისედაც საყოველთაოდ იყო ცნობილი.

ასე რომ, **„ნაცების“ მიერ ახალი, „ბედუკაძის წელთაღრიცხვის“ შემოღების მცდელობა მხოლოდ მათ უტიფარ „თავის მართლებად“ შეიძლება მივიჩნიოთ.**

მოდი, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მათ, რა არის ქართველი ხალხის ძირითადი ბრალდება მანიაკი ნაციონალების მიმართ:

ეს არის ხალხის ხმის სრული იგნორირება, ფეხებზე დაკიდება და იდიოტური თავდაჯერებულობა, რომ, რაც უნდა დააშავონ, მაინც ხელისუფლებაში იქნებიან რამდენიმე ათეული წლის განმავლობში.

დავაზუსტოთ: რა აჩენს, ლეგიტიმურ ეჭვს კი არა, თითქმის მტკიცებულებას, რომ ყოველივე ეს იყო არა ცალკეული პიროვნებების, არამედ სახელმწიფოს სისტემური დანაშაული? აკი, „ბედუკაძის კადრებაბდე“ და „სამგრელოს კასრებამდე“ კაი 3-4 წლით ადრეც გაკეთდა, როგორც სახალხო დამცველის, ასევე სხვა უფლებადამცველთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა თუ პოლიტიუკურ პარტიათა მხრიდან მოხსენებები, ანგარიშები და საპარლამენტო ტრიბუნიდანაც კი გაისმა განგაში მსგავსი ფაქტების გამო, მაგრამ ხელისუფალთა და პირადად მიხეილ სააკაშვილის პასუხები ფრიად ცინიკური, ხშირად კი, ოპონენტების დამამცირებელი, აგდებული იყო. ასეთი ინფორმაციის გამავრცელებლებს სამშობლოს მოღალატეებიც კი უწოდეს და ლამის სისხლის სამართლის საქმეებიც კი აღძრეს მათ წინაალმდეგ „პუტინის დავალებით მოქმედების“ გამო.



**ეს ვიდეოკადრები სამი წყაროდან არსებობს — «ლომიძის კადრები», «ბედუკაძის კადრები» და «სამეგრელოს კასრების კადრები». მიუხედავად ამისა, სამივე შემთხვევაში უტიფარი «ნაციონალები» და მათი არანაკლებ უტიფარი მხარდამჭერები ყველა ამ კადრის შესახებ უსირცხვილოდ ამბობენ, რომ ისინი «დადგმულია»**

მაშ, **რა შუაშია აქ ბედუკაძე, პატივცემულო „ნაცებო“?**

ბედუკაძე კი არა, ივანიშვილიც კი არ იყო ჯერ გამოსული პოლიტიკურ ასპარეზზე, როდესაც ყოველივე ეს საქვეყნოდ შეიქნა ცნობილი და თანაც ისე დამაჯერებლად, რომ ამ ფაქტებისთვის ყურადღების მიუქცევლობა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლებოდა:

1. ხელისუფლათა მძიმე სიდებილის;

2. უმაღლეს ხელისუფალთაგან ასეთი მეთოდების საყოველთაო დაშვების.

პირველი შემთხვევა „ნაციონალების“ მმართველობის პირობებში გამორიცხულია. ისინი დებილები ნამდვილად არ იყვნენ, რომ გამოპარვოდათ, რას აკეთებდნენ მათივე ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები.

თავის მხრივ, ვერც ძალოვანები გაბედავდნენ „ნაცების“ პირობებში ასეთ თავხედობას „ზევიდან“ ვიზის უქონლობის შემთხვევაში.

ასე რომ, მეორე ვარიანტი შეიძლება დადასტურებულ ეჭვად, მტკიცებად, ბრალდებად ჩაითვალოს და კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ — მართლა არ მგონია, ამხელა მნიშვნელობა ჰქონოდა ბედუკაძისა თუ ვინმე სხვის მიერ ვიდეოკადრების გამოტანას. **მანიაკი ნაციონალებისთვის მათი მანიაკობის დამტკიცება და დასჯა უამისოდაც შეიძლებოდა.**

გადასარევად შეიძლებოდა, ასევე, ბიძინა ივანიშვილს ისე მოეგო 2012 წლის არჩევნები, რომ „ხალიანი ბ-ალას-ტი“ არ აეკიდებინა.

მეტიც, **ამ „ხალიანმა მესიამ“ „ქართულ ოცნებას“ არათუ რამე სარგებელი მოუტანა, არამედ ხელიც კი შეუშალა სამეგრელოში არჩევნების მოგებაში.**

საზოგადოდ, ირაკლი ალასანიას ახასიათებს ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული აზრების ფრქვევა და „ნარცისისთვის“ დამახასიათებელი ტუტუცური თავდაჯერებულობა.

**2010 წელს მის მიერ თბილისის მერის კაბინეტში „დამიწებული“ რაგბის ბურთი ხომ გახსოვთ?..**

**არა? საქმეც ეგაა. ირაკლი ალასანია აბსოლუტურად ულოგიკოდ იყო დარწმუნებული, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მოიგებდა. ნუკრი ქანთარიამ მას სიმბოლურად რაგბის ბურთი გადასცა და თბილისის მერის კაბინეტში ამ ბურთის „დამიწება“ უსურვა...**

სინამდვილეში **იმ წელს თვითონ ალასანიას პარტია „დამიწდა“ და, ბიძინა ივანიშვილი რომ არ შემოსულიყო პოლიტიკაში და ეს ხალიანი ბ-ალას-ტი არ აეკიდებინა, არჩევნებზე 1 პროცენტის აღებაც კი დიდ მიღწევად ჩაეთვლებოდათ „ალასებს“.**

**დღეს კი ირაკლი ალასანია არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება, ადამიანმა საკუთარ უმძიმეს შეცდომებზეც კი ვერაფერი ისწავლოს.**

ენ-დი-აის ბოლო კვლევამ დაგვანახვა, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ 2016 წლის არჩევნებში სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ყველას და ჩვენ ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებას გამოვგლეჯთო, — ისე განაცხადა ირაკლი ალასანიამ, გეგონებათ, ამ კვლევის შედეგების მიხედვით, 50 პროცენტზე მეტი ჰქონოდეს ნაჩვენები მასა და მის უდღეურ პარტიას.

სინამდვილეში, ენ-დი-აი სწორედ ის ორგანიზაციაა, რომელიც ალასანიას ყოველთვის „უბევრებს“, „უწელავს“ რეალურ პროცენტს და სწორედ, აი, ამ „გაბერილ-გაწელილით“ „თავიუსფალმა დემოკრატებმა“ მხოლოდ 5 პროცენტი აჩვენეს.

მაშ, რა ახარებს ბატონ „ნარცისს“? თურმე ნუ იტყვით და, „ოცნების“ რეიტინგის დაცემის შემდეგ ის 60 პროცენტამდე ამომრჩეველი, რომელსაც ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, ვის მისცეს ხმა, 2016 წლის შემოდგომაზე ალასანიას მზეს დაიფიცებს.

„ამ კვლევაში იმედი მოგვცა იმან, რომ მმართველ კოალიციაზე განაწყენებული ამომრჩეველი პროცენტულად არის ძალიან ბევრი. აი, ეს კატეგორია 2016 წლის შემოდგომისთვის, დარწმუნებული ვარ, ხმას აუცილებლად ჩვენ მოგვცემს!“ — ასეთი სულელური ფრაზის წარმოთქმას, ალბათ, ნამდვილად სჭირდება „ჯიხვის ხასიათი“, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ნათია ფანჯიკიძემ საკუთარი ქმრის შესახებ თქვა.

თუმცა **ეს „ჯიხვის ხასიათი“ პირად ურთიერთობებში ვინმეს შეიძლება ხიბლავდეს კიდეც, მაგრამ პოლიტიკაში რომ რეალობის შეუფასებლობა და თავდაღუნული „რქებით“ მიწოლა კატასტროფას იწვევს, ეს, წესით, უკვე უნდა იცოდეს ბატონმა „ჯიხვმა“.**

**რეალობა არის ის, რომ, თუკი „ოცნების“ კოალიციაზე ამდენი ადამიანია განაწყენებული, ეს სწორედ იმიტომ, რომ მმართველმა გუნდმა მანიაკ ნაციონალებთან კოაბიტაციის ფერხული გააბა და არაერთი ბოგოლა ნაცი თანამდებობებზე დატოვა ან სულაც დააწინაურა.**

აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია, რატომ ჰგონია ხალიან „ნარცისჯიხვს“, რომელიც „ოცნებაზე“ უფრო აშკარად და თბილად ეხუტება „ნაციონალებს“, რომ ამომრჩეველთა განაწყენებული 60 პროცენტი, სულ რაღაც, 10 თვეში მის მხარდამჭერად იქცევა?

იქნებ „ნაცების“ პარტიული ტელევიზია „რუსთავი 2“-სთვის ალასანიას მხრიდან გამოცხადებული ღია სოლიდარობა განაპირობებს ასეთ შედეგს?

თუმცა, რა გაეწყობა... **როდესაც ადამიანს თავი „მესიად“ მიაჩნია, იქ ლოგიკაზე საუბარი, ალბათ, უადგილოა... ჩვენ ხომ, უკვე კარგა ხანია, შევეგუეთ ამ ქვეყანაში 1-პროცენტიანი „მესიების“ არსებობასაც...**

**იმ წელს თვითონ ალასანიას პარტია «დამიწდა» და, ბიძინა ივანიშვილი რომ არ შემოსულიყო პოლიტიკაში და ეს ხალიანი ბ-ალას-ტი არ აეკიდებინა, არჩევნებზე 1 პროცენტის აღებაც კი დიდ მიღწევად ჩაეთვლებოდათ «ალასებს»**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ დასაკარგი შვილი არ გვყავს! — კატეგორიულად განუცხადა ხალხმა დეფის და გულში ჩაიხუტა. — ჩვენ ზუმბა უკვე დავკარგეთ და შენს დაკარგვას აღარ დავუშვებთ, არა!**

# დეფი მიდის! ვის იმედად ვრჩებით?

**ხმა გავარდა, — დეფი საქართველოს ტოვებსო, და ქვეყანამ თითქოს ცხოვრების სიჩქარე 0.25 პროცენტით შეანელა. ჯერ ზუმბას წასვლა არ ჰქონდა მონელებული ერს, რომ ახლა მეორე დიდი ხელოვანი ტოვებს ბედკრულ სამშობლოს და ვინ იცის, საით მიიწევს პატრიოტული ხეთქებით დამძიმებული გული.**

რა ხდება ჩვენს თავს? რატომ გვტოვებენ ბუმბერაზი ადამიანები და რატომ გვეცლებიან?

რომელი ერთი ჩამოთვალო, ლამის არის გასკდეს გული: მიხეილი, ზურაბი, ერეკლე, დათა, სანდრო, დათო, ზუმბა და ახლა უკვე — დეფიც.

იქნებ ჩვენში ვეძებოთ „მარგალიტთა“ კარგვის მიზეზები? იქნებ ჩვენ ვერ გავაკეთეთ ის, რაც მათ წასვლას არ აიძულებდა? იქნებ სწორედაც რომ ჩვენ ვაბრკოლებთ ქვეყნის წინსვლას? იქნებ ვცდებოდით და ბოდიშიც გვაქვს მოსახდელი ცოცხალი საგანძურების წინაშე?

ჩვენი ფარული წყარო დეფის ქვეყნიდან წასვლას შემთხვევით შეესწრო და, როგორც თვითონ ამბობს, ემოციისგან ლამის გული გაუსკდა.

**წასვლის წინ გიულისთან მისულა და უთხოვია, მიშას ნაქონი რამე გამატანე, რათა უცხო ქვეყანაში ქართული სული ვიგრძნოო. ქალბატონ გიულის მისი შვილის ნაქონი „ნაიკის“ სასპორტო ფეხსაცმელი მიუცია, — აჰა, შვილო, და გამაგრდი, ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხულიო.**

ჩაუხუტებია დეფის „ნაიკი“ და რამდენიმე საათის განმავლობაში ჩუმად უტირია. გიულის გვირილის ჩაი მიუწოდებია, — აჰა, დალიე, შვილო, დაგამშვიდებსო. ახლა ჩვენ სიმშვიდე გვჭირდებაო. მოუწრუპავს დეფის ჩაი და მაღალმხატვრულად უთქვამს: „მე წავედიო“.

გზად **ნუგზარ წიკლაური** შეხვედრია, უკვე შუაღამე იყო, ცაზე მხოლოდ გაყინული მთვარე და ქარისგან აქა-იქ მიმოფანტული ღრუბლის ნაგლეჯები დანარნარობდა. დამუნჯებულ ნუგზარს ხმა ვერ ამოუღია მხოლოდ წაიღუღლუღა თურმე: **„ვის იმედად ტოვებ ქართულ ხელოვნებას, დეფი?!“**

მივიდა შინ განადგურებული, მთელი ღამის ნაქვითინარი და ლოგინს მიაწყდა, — დილას ადრე იყო წასასვლელი.

გათენდა, დეფიმ დასიებული თვალები გაახილა და იქვე მდგარი ყავის ფინჯნიდან ნადგამი ყავა მოწრუპა.

ყველა მეგობარს დამშვიდობების „ესემესი“ გაუგზავნა და გაემართა იქ, სადაც არც მან იცოდა...

თუმცა დიდი ხელოვანის წასვლას ასე იოლად დაუშვებს ნამდვილი პატრიოტი საზოგადოება? ის იყო აეროპორტს უახლოვდებოდა, როდესაც მოულოდნელად ხალხის ნაკადი გამოჩნდა. გააჩერეს ის ტაქსი, რომელშიც დეფი იმყოფებოდა ჩამოიყვანეს და წასვლის საშუალება არ მისცეს.

**— ჩვენ დასაკარგი შვილი არ გვყავს! — კატეგორიულად განუცხადა ხალხმა დეფის და გულში ჩაიხუტა. — ჩვენ ზუმბა უკვე დავკარგეთ და შენს დაკარგვას აღარ დავუშვებთ, არა!**

მეტიც!

— წამოდი, შვილო, ერი შენ გელოდება, შენს სიტყვას უსმენს, წამოდი და გახდი ჩვენი წინამძღოლიო, — უთხრა შავებში ჩაცმულმა დედაბერმა.

დეფი გრძნობს, რომ მისი გული გახეთქვას ლამობს, ერთიორად ათრთოლებულია და სიხარულისგან სიტყვებს თავს ვერ აბამს, ცდილობს ძალების მოკრებას, მაგრამ რაღაც უხილავი არ უშვებს.

გრძნობს, რომ ერის სისხლმა იყივლა, გრძნობს, რომ გაიმარჯვა ჭეშმარიტებამ, უნდა იღრიალოს და ამ დროს მთავრდება მისი სიზმარიც, დეფის ელვიძება ცივ ოთახში, ნადგამი ყავა ისევ ისე დგას, ტელევიზორზე კი მისი კატა შემომჯდარა და კნავის...

ეჰ... გათენდება და მართლა დატოვებს ბედკრულ ქვეყანას კიდევ ერთი დაუფასებელი ბუმბერაზი...




# მსოფლიო ლიდერები «რუსთავი 2»-ის მხარდასაჭერად თბილისამდე ფეხით მოდიან

**ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა მასობრივი გამოსვლებისთვის ემზადება. როგორც ჩვენი ფარული კორესპონდენტი იუწყება, აქციები „რუსთავი 2“-ის საკითხსა და საქართველოში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას უკავშირდება. ბარაკ ობამას დანა პირს არ უხსნის და განცხადება, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა, ვალიდოლებისა და კორვალოლების“ ფონზე დაიწერა, — ამბობს წყარო.**

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც ობამამ „რუსთავი 2“-ის შესახებ შეიტყო, შეუძლოდ შეიქნა და მის გარემოცვას პრეზიდენტის ნიშადურით მობრუნება სამჯერ მოუწია. წყაროს ინფორმაციით, ნიკა გვარამიასა და ობამას შორის სკაიპსაუბარი გაიმართა.

ალსანიშნავია, რომ „რუსთავი 2“-ის საკითხმა არა მხოლოდ ობამა, არამედ ევროპის დედალ-მამალი ლიდერებიც გვარიანად შეაშფოთა. როგორც ცნობილია, ინფორმაციის შეტყობის შემდეგ გერმანიის კანცლერ **მერკელს** რამდენიმესაათიანი ფაღარათი დაემართა. მისი პირადი ექიმის ცნობით, ნერვიულობის დროს ქალბატონი კანცლერი ასეთ მდგომარეობაში ვარდება.

**ევროპულ-ამერიკული პოლიტელიტა და ხელოვანთა წრე სპეციალურ ფონდს ქმნიან, რათა საქართველოში სიტყვის თავისუფლება დაიცვან. ჰოლივუდის კინოინდუსტრიის მოგებული თანხის 50 პროცენტი სწორედ „რუსთავი 2“-ის გადასარჩენად გამოიყოფა, ჰოლივუდის მსახიობები უარს ამბობენ ჰონორარების მიღებაზე და მას „რუსთავი 2“-ს ურიცხავენ.**



ამერიკის მოსახლეობამ შავი საათის დღე დააწესა. ეს ის პერიოდია, როდესაც მათ „რუსთავი 2“-ის წილების დაყადაღების შესახებ შეიტყვეს.

**ნატოს წევრი 28-ვე სახელმწიფოს ლიდერმა „რუსთავი 2“-ის სამკერდე ნიშნები წარწერით „რუსთავი 2“ ჩემია“ მოითხოვა, რომელიც უკვე ფოთის პორტშია და გაგზავნას ელოდება.**

ევროპა და ცივილიზებული მსოფლიო ფეხზე დგას, ყველა ერთსულოვნად თანხმდება, რომ ივანიშვილმა ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხა, სიტყვის თავისუფლება ასფიქსიით იტანჯება.

მსოფლიო ლიდერებმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და სიმბოლურად თბილისამდე ფეხით მსვლელობას აპირებენ, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენლობა აცხადებს, ბარაკ ობამა ამ ამბის გაგების შემდეგ კვლავ სუსტად გრძნობს თავს და ვერ ახერხებს ჩამოსვლას.

**ანგელა მერკელი, ფრანსუა ოლანდი, იენს სტოლტენბერგი, ჯეიმს აპატურაი და დალია გრიბაუსკაიტე** შავი ლენტით და ამაყი სახით მოაპობენ ევროპის ბილიკებს და ყველა ერთად თბილისის შემოსასვლელში, დიღმულას ხიდთან მოიყრის თავს.

**ივანიშვილი** შუშის სასახლეს ყიდის, **ღარიბაშვილი** ოთახში ჩაიკეტა და გარეთ არ გამოდის, **ხიდაშელი** კამუფლიაჟით ცდილობს მიმალვას, **უსუფაშვილი** ჩვეული სიმშვიდით ცდილობს შიშის დაფარვას, მაგრამ გვიანია! დადგა დრო, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ერთხელ და სამუდამოდ ეთქვას დიდი **არა.**

**ელიკო სილაძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასულ წელს ქალაქში მასობრივი მკვლელობის 107 შემთხვევა აღრიცხეს, რომელთა მსხვერპლნიც, შეფასებების თანახმად, თითოეულ შემთხვევაში სამი ან ოთხი ადამიანი იყო. CHICAGO TRIBUNE-ს მიხედვით, მიმდინარე წლის 25 ივლისის მდგომარეობით, ქალაქში 192 მასობრივი მკვლელობა მოხდა.**

# ჩიკაგო – მასობრივი მკვლელობების დედაქალაქი

**ჩიკაგოს ღარიბი რაიონების მცხოვრებთ სიკვდილის საფრთხე იმაზე მეტად ემუქრებათ, ვიდრე მსოფლიოს იმ ქვეყნების მკვიდრთ, რომლებსაც დანაშაულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ოთხი მამაკაცი და ორი ქალი შარშან, 5 აპრილს დაცხრილეს, ხუთი კვირის შემდეგ ცეცხლი გაუხსნეს 15 წლის ბიჭსა და ორ მამაკაცს, კიდევ ერთი 15 წლის ბიჭი და ორი მამაკაცი ივლისში დახოცეს, იგივე ბედი ეწია სამ მამაკაცს 21 აგვისტოს. სექტემბერში სამ მამაკაცსა და 73 წლის ქალს ესროლეს, ხოლო 12, 16 და 18 წლის ბიჭები დახოცეს, 19 ნოემბერს კი ტყვიამ ორი ქალი და ერთი მამაკაცი იმსხვერპლა.**




ვესტ გარფილდ პარკში, სადაც 18 ათასი ადამიანი ცხოვრობს, შარშან 21 მკვლელობა მოხდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ამ კრიტერიუმის მიხედვით, სახელმწიფოთა შორის მსოფლიო ლიდერი არის ჰონდურასი და იქ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 90-ია.

**ვესტ გარფილდ პარკს მკვლელობათა რაოდენობით მოსდევს ვესტ ინგლვუდი (73,3). ის საგრძნობლად უსწრებს ვენესუელას, რომელიც გაეროს სიაში მეორე ადგილზეა (53,7). ჩიკაგოს გეთჰემი (58) უსწრებს ბელიზს (44,7); ინგლვუდი (52,6) — სალვადორს (41,2); სამხრეთი ჩიკაგო კი (48) — გვატემალას (39,9). მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებელი არის 4,5 მკვლელობა 100 ათას ადამიანზე.**

ჩიკაგოში, ქალაქის 2,7 მილიონი მოსახლის ფონზე, 411 მკვლელობა არც ისე საშინლად გამოიყურება, მაგრამ ეს მხოლოდ ციფრების ამ შავბნელი თამაშია: ქალაქში ძალადობის დონის განსაზღვრა ერთ სულ მოსახლეზე დამნაშავეობის მთლიანი დონის გათვლით არაფერს ასახავს, თუკი ციფრები რაიონების მიხედვით არ იქნება შესწავლილი.

ვესტ გარფილდ პარკი ზუსტად ასეთი შემთხვევაა. ამ რაიონის მოსახლეობას საშუალო წლიური შემოსავლის სახით 10 ათას დოლარზე მეტი აქვს. ოჯახების 40%-ზე მეტი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ვესტ გარფილდ პარკი ერთ-ერთი პირველია ჩიკაგოს 77 კვარტალის „მძიმე პირობების ინდექსის“ სიაში. ეს ინდექსი გამოითვლება იმის გათვალისწინებით, თუ ვინ ცხოვრობს გადავსებულ სახლებში, როგორია მოზარდთა და მოზრდილთა შორის უმუშევრობის დონე და სხვ.

ვესტ გარფილდ პარკი და მისი შავკანიანი მცხოვრებნი, რომლებიც იქ მოსახლეობის 92%-ს შეადგენენ, მძიმე პირობებში ცხოვრობენ.

ვესტ გარფილდ პარკის გასული წლის მსხვერპლთაგან უმრავლესობა 20 წელს გადაცილებული ახალგაზრდაა. აი ტრაგიკული სიკვდილის მაგალითები: 11 წლის შამიეი ადამსს თავში ტყვია მაშინ მოხვდა, როდესაც თავისი მეგობრის საძინებელში იჯდა; 21 წლის შემბრი ბარფილდი შეცდომით მაშინ მოკლეს, როდესაც მეგობართან ერთად იჯდა საკუთარი სახლის ზღურბლზე.

**გასულ წელს ჩიკაგოში 2000-ზე მეტჯერ მოხდა სროლა, 2015 წლის მონაცემები კი უკვე აჭარბებს ამ მაჩვენებელს. ვესტ გარფილდ პარკში ქუჩის სროლებისგან გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემაძრწუნებელი აღმოჩნდა — 411 ადამიანი 100 ათას მოსახლეზე, მეორე ადგილზეა ვესტ ინგლვუდი 391,5 მკვლელობით.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და პოლიტიკოსებს ეს საკითხი საერთოდ არ აღელვებთ. როგორც ისინი ამბობენ, ეს მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა მხოლოდ და მხოლოდ მორიგი „ეპიდემიაა“. გასულ წელს ქალაქში მასობრივი მკვლელობის 107 შემთხვევა აღრიცხეს, რომელთა მსხვერპლნიც, შეფასებების თანახმად, თითოეულ შემთხვევაში სამი ან ოთხი ადამიანი იყო. Chicago Tribune-ს მიხედვით, მიმდინარე წლის 25 ივლისის მდგომარეობით, ქალაქში 192 მასობრივი მკვლელობა მოხდა.

შესაძლოა, მკითხველისთვის თვალის დევნებაც კი ძნელია, არამც თუ დეტალურად განხილვა, იმ მასობრივ მკვლელობებზე, რომლებიც ჩიკაგოს ქუჩებში ყოველწლიურად ხდება. ორიოდე კვირის წინათ ერთ ასაკოვან ქალბატონსა და მის ორსულ ქალიშვილს 11 თვის ბავშვთან ერთად გამვლელი მანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს, მხოლოდ ბავშვი გადარჩა.

„შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა“, — ამბობს პასტორი კორი ბრუკსი. მართალია, იგი გაკვირვებული იყო, რომ უშუალოდ მის რაიონთან ახლოს მდებარე ჩიკაგოს ზოგიერთ რაიონში ერთ სულ მოსახლეზე მკვლელობათა რაოდენობა აჭარბებს ანალოგიურ მაჩვენებელს სამხრეთამერიკულ ქვეყნებში, მაგრამ არცთუ ძალიან.

„ჩვენ განვაგრძობთ ადამიანებისთვის ამ პრობლემის მასშტაბურობისა და სერიოზულობის ახსნას, მაგრამ, როგორც ჩანს, არ გამოგვდის, ვაიძულოთ, რომ გაიგონონ ეს მოწოდება, — ამბობს ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი პასტორი, რესპუბლიკელი, რაც შავკანიანთა შორის იშვიათობაა, — ვფიქრობ, ის, რაც ახლა ხდება (და ეს სავსებით მოსალოდნელი რეაქციაა), დაკავშირებულია ადამიანების წარმოდგენებთან იმის შესახებ, რომ ამგვარი ცხოვრების წესი დამახასიათებელია ჩიკაგოს სამხრეთისთვის. ამის გამო ადამიანთა აღქმის უნარი მცირდება“.

სავარაუდოდ, არავის სჭირდება ახსნა, თუ რატომ ისვრიან ამდენს ჩიკაგოში. **პოლიციის მონაცემებით, ჩიკაგოში ყოველ 75 წუთში ერთხელ ხდება უკანონო იარაღის ამოღება. ბოლო ათი წლის განმავლობაში მისისიპის შტატმა ჩიკაგოში 4 000 ერთეული უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი გაგზავნა.** 2009-2013 წლებში პოლიციის მიერ ამოღებული იარაღის 19% ინდიანიდანაა იქ ჩატანილი, ინდიანაში კი ინტერნეტსა თუ გამოფენებზე იარაღის შესაძენად სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის. საეჭვო ადამიანები ყიდულობენ იარაღს და შტატის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ქუჩებში ყიდიან.

შესაძლოა, ქალაქს ცეცხლსასროლ იარაღზე მკაცრი კანონები ჰქონდეს (თუმცა, ნაკლებად მკაცრი, ვიდრე ის კანონებია, რომელთა გამოც იარაღის მანიაკები ჩივიან), მაგრამ კანონები ▶

**ვესტ გარფილდ პარკს მკვლელობათა რაოდენობით მოსდევს ვესტ ინგლვუდი (73,3). ის საგრძნობლად უსწრებს ვენესუელას, რომელიც გაეროს სიაში მეორე ადგილზეა (53,7). ჩიკაგოს გეთჰემი (58) უსწრებს ბელიზს (44,7); ინგლვუდი (52,6) — სალვადორს (41,2); სამხრეთი ჩიკაგო კი (48) — გვატემალას (39,9). მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებელი არის 4,5 მკვლელობა 100 ათას ადამიანზე**



**გასულ წელს ჩიკაგოში 2000-ზე მეტჯერ მოხდა სროლა, 2015 წლის მონაცემები კი უკვე აჭარბებს ამ მაჩვენებელს**

---

მოკლედ

## თურქეთი შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას ითხოვს

**ევროკომისარების დელეგაცია თურქეთში მიგრანტების პრობლემის განსახილველად ჩავიდა. მათ სურთ, რომ ევროკავშირმა და თურქეთმა ამ მიგრანტებთან დაკავშირებით ერთობლივი დოკუმენტი მოამზადონ.** ევროკავშირს ამ დოკუმენტის მიღება უახლოეს დღეებში სურდა, მაგრამ ანკარაში მომხდარი ტერაქტის გამო, მოლაპარაკებები გადაიდო. 600 ათასამდე მიგრანტი ევროპაში სწორედ თურქეთის გავლით მოხვდა. თურქეთი კი 2 მილიონამდე მიგრანტს იფარებს. მათი უმრავლესობა სირიის სამოქალაქო ომისგან ცდილობს თავის დაღწევას. შეთანხმების სანაცვლოდ მოსალოდნელია, რომ თურქეთი შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას მოითხოვს თავისი მოქალაქეებისთვის. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა. მისი თქმით, მსგავსი შეთანხმება მას შემდეგ შედგება, რაც თურქეთიდან შემცირდება მიგრანტების ნაკადი.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ისინი ხოცავენ ჩვილებს, ესვრიან დედებს, ბავშვებს... მენტალიტეტი ასეთია: „თუკი საკუთარი თავიც მეჯავრება, შენ არანაირი შანსი არ გაქვს, მომეწონო“.

თითქმის უძლურია უკანონო იარაღის შემოდინების შესაჩერებლად იმ შტატებიდან, რომლებშიც ანალოგიური კანონმდებლობა გაცილებით უფრო რბილია.

The Daily Beast-მა შეაგროვა მონაცემები ვესტ გარფილდ პარკისა და ვესტ ინგლვუდის შესახებ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე იმ კერძო ანონიმი პირის დახმარებით, რომელიც ჩიკაგოს დამნაშავეობების შესახებ ვებგვერდს კურირებს.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ რაიონების მიხედვით მასობრივი მკვლელობების მონაცემების შედარება შეუძლებელია იმ მაჩვენებლებთან, რომლებიც ნაციონალურ დონეზე უნდა ასახავდეს პრობლემას, რადგან ნაციონალურ დონეზე მონაცემები, უბრალოდ, არ არსებობს.

ყველაზე კარგი, რისი გაკეთებაც ფედერალებს შეუძლიათ, ეს არის ცეცხლის ქვეშ მოხვედრილი ადამიანების რაოდენობის შეფასება იმის საფუძველზე, თუ რამდენი ადამიანი აკითხავს ყოველწლიურად საავადმყოფოებს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული არასასიკვდილო ჭრილობებით. ეს ჭრილობები კი, თანაბარი ალბათობით, შეიძლება იყოს როგორც არშემდგარი თვითმკვლელობების, ასევე მკვლელობათა მცდელობებისა და უბედური შემთხვევების შედეგები.

მიმდინარე წელს სროლებისა და მკვლელობების რაოდენობის მატება არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ჩიკაგოს შავკანიანთა საქალაქო საბჭომ პოლიციის ინსპექტორი გარი მაკარტნი გამოიძახა.

ლორენცო დევისი, რომელიც ჩიკაგოს პოლიციის მეთაური იყო და რომელმაც განაცხადა, რომ მის განყოფილებაში მალავდნენ ინფორმაციას პოლიციელების მიერ იარაღის გამოყენების თაობაზე, ჩქარობს, მაკარტნისა და პოლიციას კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხოს თავს.

„იარაღი პრობლემაა, — ამბობს დევისი, — მაგრამ ასეთივე პრობლემაა შავკანიანი პოლიციელებისა და მაღალჩინოსნების არარსებობა დეპარტამენტში. პოლიციისა და პროკურატურის თვითკმაყოფილება, პერსონალის რაოდენობის შემცირება, — ეს ყველაფერი განაპირობებს იმ „ქუჩური კულტურის“ აყვავებას, რომელიც მკვლელებს თავისუფლად სეირნობის საშუალებას აძლევს.

როდესაც ვიყავი პოლიციის უფროსი, არსებობდა ბიჭების ჯგუფი, რომელმაც ხუთი თუ ექვსი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, — ამბობს დევისი, — თუკი ისინი ვინმეს კლავენ, კლავენ მოწმეებსაც“.

ჯედიდაია ბრაუნი არის პასტორი, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს ბანდის წევრებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ხშირად ასწორებენ ანგარიშებს ტყვიის საშუალებით.

„ჩვენ გვაქვს ცივილიზაცია და განათლება, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვაქვს ველური დასავლეთის მენტალიტეტიც“, — აღნიშნავს ბრაუნი.

მაგრამ მხოლოდ ბრაუნი არ ფიქრობს ასე. ტიო ჰარდიმანი Violence Interrupters-ის პრეზიდენტია და რეგულარულად ვესტ გარფილდ პარკში მუშაობს, რათა როგორმე აარიდოს მოზარდები მასობრივ ხოცვას.

ჰარდიმანი არ მუშაობს პოლიციელებთან, რომელთაც ვესტ გარფილდ პარკსა და სხვა შავკანიან კვარტლებში მტრებად აღიქვამენ. „ჩვენი სამუშაო ისაა, რომ აღვკვეთოთ შურისძიების აქტი და შევაჩეროთ ის“, — ამბობს იგი. ჰარდიმანის თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი 20-30 წლისაა, სხვები — თითქმის 60-ისანი არიან.

**„საკმარისია ახლო კონტაქტი პოლიციასთან და ისინი ქუჩის ნდობას დაკარგავენ. არ შეგვიძლია, მშვიდად ვადევნოთ თვალი, თუ როგორ ართმევენ სიცოცხლეს ადამიანებს ნაადრევად, მით უფრო, თუ საქმე გაქვს ბავშვებთან, — ამბობს ჩიკაგოს სამხრეთ ნაწილის პასტორი ბრუკსი, — ბავშვებთან, რომლებიც ერთმანეთს ხოცავენ“.**

ქუჩური კავშირები დავის გადაწყვეტისა და კიდევ უფრო მეტი სროლისა და მკვლელობის თავიდან აცილების გასაღებია — ვესტ გარფილდ პარკსა და სხვა ადგილებში დაუსრულებელი მუშაობა მიმდინარეობს. ეს ყველაფერი იმის გამოა, რომ შეიარაღებული ძალადობის ბუნება შეიცვალა 80-იანების დასასრულსა და 90-იანების დასაწყისში.

„თვით იმ დაუნდობელ წლებში, როდესაც ყოველწლიურად მკვლელობების რაოდენობა აჭარბებდა ათასს, იგრძნობოდა წესრიგი, — ამბობს ასკარი ალი, რომელიც ჩიკაგოს სისასტიკით სახელგანთქმულ რაიონ Austin-ში დაიბადა და გაიზარდა, — ბანდების იერარქიული სტრუქტურები იცავდნენ მათ მიერ დადგენილ პრინციპებსა და წესებს.

ახლა კი ქაოსი მეფობს.

ადრე, თუკი რამეს აკეთებდი, არ შეგრჩებოდა, თუკი იმ წლებში ახალ ამბებში ვნახავდით, რომ ვიღაცამ ორსული ქალი ან ბავშვი მოკლა, ბანდა მიაკითხავდა მას“.

უწოდებს რა საკუთარ თავს შავკანიან ნაციონალისტს, ალი უშუალოდ ქუჩასთან მუშაობს და თავს არიდებს ისეთ ჯგუფებთან კავშირს, როგორიცაა ისლამის ნაცია და სხვები, რომლებიც ძალადობასთან ბრძოლას რელიგიურ ან პოლიტიკურ შინაარსს ანიჭებენ.

**80-იანი და 90-იანი წლების „ბანდიტური კულტურა“ ახალგაზრდებს აიძულებდა, დიდწილად შეგნებული დამოკიდებულება ჰქონოდათ იმის მიმართ, რასაც აკეთებდნენ, — ამბობს ალი. — ახლა თუკი შენ მიდიხარ, რომ „მაკდონალდსში“ სროლა ატეხო და ბავშვს კლავ, ათიდან ცხრა ადამიანი გეტყვის, რომ ბარბაროსი ხარ და ცუდად არის შენი საქმე.**

შეუძლებელია, შეფასდეს ზემოქმედება, რომელსაც ესოდენ მასობრივი მკვლელობები და გადარჩენილთათვის მიყენებული ტრავმები ახდენს.

„თქვენ, შესაძლოა, დაითვალოთ და აღმოაჩინოთ, რომ მკვლელობა დიდი ბიზნესია და რომ მკვლელობა არის მრავალი დანახარჯის მამოძრავებელი ძალა, — ამბობს პასტორი ბრუკსი, — მაგრამ ის, რომ ამას ყურადღება არ ექცევა, ტრავმაა ოჯახებისთვის, პირველ რიგში — ბავშვებისთვის. ეს ბავშვები საომარი მდგომარეობის მსგავს პირობებში იზრდებიან“.

უწყვეტი ძალადობა ქმნის შიშისა და საკუთარი თავის მიმართ უპატივცემულობის ატმოსფეროს, რომელსაც ალიცა და ჰარდიმანიც ადარებენ საკუთარი თავისადმი სიძულვილს.

„ახალგაზრდებიდან ბევრი გეტყვით: „მე ის არ მომწონს იმიტომ, რომ სხვა კვარტალში ცხოვრობს“, — ხსნის ჰარდიმანი. — როდესაც ჰკითხავთ, რატომ, ის გიპასუხებთ „უბრალოდ არ მომწონს“.

ჰარდიმანის აზრით, ეს მხოლოდ ამძიმებს ქაოსს.

**„ისინი ხოცავენ ჩვილებს, ესვრიან დედებს, ბავშვებს... მენტალიტეტი ასეთია: „თუკი საკუთარი თავიც მეჯავრება, შენ არანაირი შანსი არ გაქვს, მომეწონო“.**

ასკარი ალი ამის შესახებ კიდევ უფრო პირდაპირ საუბრობს:

„ისინი არ აფასებენ სიცოცხლეს იმიტომ, რომ გრძნობენ, მათი სიცოცხლე განავალია“.

ჰარდიმანიც და ალიც სისტემატიური ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად მთელ რიგ მიდგომებს ასახელებენ: დასაქმების პროგრამები, საზოგადოებრივი ცენტრები, იმ ადამიანთა გამოსვლები, რომელთაც 13-14 წლის მოზარდების ენაზე შეუძლიათ საუბარი, მოზარდებისა, რომლებიც ყოველგვარი იმედის გარეშე ცხოვრობენ და ადვილად მიუწვდებათ ხელი იარაღზე, ნარკოტიკებსა და ქუჩურ დამნაშავეობაზე.

„ყველაფერი, რაც ამ ახალგაზრდების ნაწილს აქვს, საკუთარი თავის პატივისცემაა. მათ მეტი არაფერი აბადიათ, — ამბობს დევისი, — და, თუკი ვინმე მათ მიმართ უპატივცემულობას გამოიჩენს, ისინი იარაღით ასწორებენ მასთან ანგარიშს“.

**The Daily Beast**



ანგარიში:

# პენტაგონის ბიუჯეტიდან 8,5 ტრილიონი დოლარი დაიკარგა

**Daily Ticker-ის მონაცემებით, Reuters-ის გამოძიებამ აჩვენა, რომ 8,5 ტრილიონი დოლარი გადასახადების გადამხდელთა ფულიდან, რომელიც კონგრესმა პენტაგონს გამოუყო, 1996 წლიდან არსად არ არის გათვალისწინებული.**

რესპუბლიკელი პოლიტიკოსები ცდილობენ, სილატაკეში მცხოვრებ 47 მილიონ ამერიკელს სასურსათე ტალონები შეუმცირონ. ეს ყველაზე დიდი რაოდენობაა უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, ხოლო თავის დროზე აშშ-ის თავდაცვის რესპუბლიკელ მინისტრს — ჩაკ ჰეიგელს ეყო თავხედობა, დაეჩივლა, რომ 20 მილიარდი დოლარის ავტომატური სეკვესტრირება უზარმაზარი არაგამჭვირვალე თავდაცვითი ბიუჯეტიდან, რომლის საერთო მოცულობა 565,8 მილიარდი დოლარია, ძალიან მკვეთრი, ძალიან ღრმა და ძალიან მკაცრი ზომებია.

Reuters-ი იტყობინება, რომ 2012 წლის ბიუჯეტმა თავდაცვის სამინისტროსთვის 565,8 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც, სამხედრო თვალსაზრისით, მომდევნო ათი უძლიერესი სახელმწიფოს წლიური ბიუჯეტების ჯამზე მეტია, მათ შორის რუსეთისა და ჩინეთისაც.

Reuters-ისთვის მიცემულ ინტერვიუში თავდაცვის უწყების ფინანსური და საბუღალტრო სამსახურის თანამშრომელმა ლინდა ვუდფორდმა განაცხადა, რომ მან კარიერის ბოლო 15 წელი იმაზე დახარჯა, რომ ყოველწლიურად მცდარი ციფრებით შეევსო ბალანსი.

„მრავალჯერ იყო პრობლემები ციფრებში უზუსტობის გამო. ჩვენ მათ უმრავლესობაში არ გავრკვეულვართ“.

რეალურ სამყაროში ამას შეიძლება მასობრივი ფალსიფიცირება ეწოდოს.

ვუდფორდის აღიარებამ გამოააშკარავა ბოროტად გამოყენების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა. ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ ფინანსური და საბუღალტრო სამსახურის მხოლოდ ერთმა ოფისმა კოლუმბუსში, ოჰაიოს შტატში, სულ მცირე, 1,59 ტრილიონი დოლარი გააკეთა (სწორედ ტრილიონი!) სამხედრო-საჰაერო ძალების 2009 წლის ფინანსურ ანგარიშებში შეცდომით.

Yahoo Finance-მა გამოააშკარავა ზოგიერთი დამატებითი მონაცემიც, მათ შორის: თავდაცვის სამინისტრომ 500 მილიარდზე მეტი დავალიანება დააგროვა საგარეო მომწოდებლებთან იმ კონტრაქტებში, რომლებსაც შემოწმება არ გაუვლია. გაურკვეველია, ამ თანხის რა ნაწილია გადახდილი რეალური საქონლისა და მომსახურებისთვის.

ბოლო 10 წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა საქონლისა და მომსახურების შესყიდვის 3 ტრილიონზე მეტი ღირებულების კონტრაქტებს. ამ თანხიდან რა ნაწილი გადაუხადეს ზედმეტად დაქირავებულებს ან რა თანხა არ დახარჯულა და არც ხაზინაში გადარიცხულა, გამოცანად რჩება.

პენტაგონი იყენებს სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურას მცდარი ციფრების ან „მიწერების“ მიწოდებისთვის, რათა დაფაროს დაკარგული ან არარსებული ინფორმაცია საბუღალტრო აღრიცხვაში და ბალანსირებული ბიუჯეტი წარადგინოს. 2012 წელს პენტაგონი იტყობინებოდა 9,22 მილიარდი დოლარის შესახებ, რომელიც ამ ანგარიშებში უზუსტობების აღმოსაფხვრელად შეიტანა. ერთი წლით ადრე იმავე მაჩვენებელმა 7,41 მილიარდი დოლარი შეადგინა.

**globalresearch.ca**

# გვატემალაში ქალაქის მერი ცოცხლად დაწვეს

**გვატემალის ქალაქ კონსეფსიონში გაბრაზებულმა ბრბომ ქალაქის მერი ცოცხლად დაწვა.** ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც მერის პოლიტიკურ ოპონენტს ცეცხლსასროლი იარაღით დაესხნენ თავს. ბაცილიო იურაკან ლეჯას, რომელიც მესამე ვადით გახდა ქალაქ კონსეფსიონის მერი, ბრალს სდებდნენ მის ოპონენტზე — ლორენცო სეკვეცზე თავდასხმის ორგანიზებაში. თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა სეკვეცის 17 წლის ქალიშვილი და 16 წლის ძმისშვილი. ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ქალაქის მასშტაბით, ბრბო ქალაქის მერის ნათესავების სახლებს დაესხა თავს. მათ დაახლოებით 9 სახლი დაწვეს. როდესაც ბრბო მერის სახლს მიადგა, მათ ის გარეთ გამოიყვანეს, სცემეს და ცოცხლად დაწვეს. გვატემალის პოლიცია ადგილზე დროულად ვერ მივიდა.



მსოფლიო



# «ისლამურმა სახელმწიფომ» რუსეთსა და აშშ-ს ჯიჰადი გამოუცხადა

**„ისლამურმა სახელმწიფომ“ ყველა მუსლიმს რუსეთისა და აშშ-ის წინააღმდეგ ჯიჰადში ჩართვისკენ მოუწოდა.** ტერორისტების თქმით, ორივე სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში „ჯვაროსნულ ომს“ აწარმოებს. „მუსლიმო ახალგაზრდობავ, ყველგან გააჩაღეთ ჯიჰადი რუსეთისა და ამერიკის წინააღმდეგ, მუსლიმების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის გამო“, — განაცხადა ტერორისტების სპიკერმა აბუ მუჰამედ ალ-ადნანიმ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალავიტებს აერთიანებს წარმოდგენა „მუდმივი სამების“ — ალის, მუჰამედისა და სალმანე ალ-ფარსის შესახებ. ამ სამიდან თითოეული განასახიერებს გარკვეულ მცნებას ალავიზმის სისტემაში. ალავიზმში არის ელემენტები, რომლებიც ქრისტიანობიდან არის ნასესხები: ისინი ზეიმობენ როგორც აღდგომას, ასევე შობას, ღვთისმსახურების დროს კითხულობენ სახარებას და პატივს მიაგებენ არა მხოლოდ იესოს, არამედ მოციქულებსაც.**

# სუნიტები, ალავიტები და სხვანი: სირიის ომის რელიგიური რუკა

**მეხუთე წელია, ახალი ამბების გვერდებიდან არ ქრება სირიაში მიმდინარე კონფლიქტის თემა. სირიას ძნელად თუ დავარქმევთ პოლიეთნიკურ ქვეყანას — მისი მოსახლეობის 90%-ს არაბები შეადგენენ და მხოლოდ 10%-ს — ქურთები და სხვა უმცირესობები, მაგრამ ეს არ ეხება მის კონფესიურ შემადგენლობას: შეიძლება გამოიყოს, სულ მცირე, ხუთი მსხვილი თემი, ხოლო ეთნიკური ფაქტორის გათვალისწინებით — ექვსი.**






ალი — შიიზმის საკვანძო ფიგურა

## საბაზო განხეთქილება

ისლამური სამყარო, ტრადიციულად, სუნიტებად და შიიტებად იყოფა. ამ ორ მიმდინარეობას შორის განსხვავება რეგულარულად განიხილება ინტერნეტში და განსაკუთრებით აქტიურად — ახლო აღმოსავლეთში ამჟამინდელ კონფლიქტებთან დაკავშირებით. ამ კონფლიქტებს ზოგიერთი ექსპერტი შიდაისლამურ დაპირისპირებებად განიხილავს.

თავდაპირველად განხეთქილება მოხდა პოლიტიკური მიზეზების თაობაზე — გაყოფა მოხდა იმ საკითხზე, თუ ვის აქვს უფლება, მემკვიდრეობად მიიღოს ტიტული ხალიფა: **შიიტები მიიჩნევდნენ, რომ ტიტული მემკვიდრეობით უნდა გადადიოდეს „მართალი ხალიფებიდან“ ერთ-ერთის — ალის შთამომავლობაში. სუნიტები, თავის მხრივ, მიიჩნევენ, რომ ხალიფას ტიტული ისლამური უმათემის თანხმობით უნდა გადადიოდეს.**

მაგრამ, რაც დრო გადის, რელიგიურ საკითხებში განხეთქილება მატულობს. არაბების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებდა და განაგებდა ისლამამდელი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ფენა, რომლის ადეპტებიც ცდილობდნენ, ისლამში რელიგიურ საკითხთა გარკვეული ხედვა შეეტანათ. დაიწყო განვითარება სექტანტობამ, განსაკუთრებით შიიტთა შორის, რომლებიც ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე სუნიტები, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მცირერიცხოვნობის გამო. შიიზმის წარმომადგენელთა იზოლირებულ ჯგუფებში ჩნდებოდა ახალი სწავლებები, რომლებიც დროთა განმავლობაში იმდენად დაშორდა პირველყოფილს, რომ ისლამის დამოუკიდებელ მიმდინარეობად გადაიქცა. ცალკეული რელიგიური სექტების ზრდის შედეგად შიიზმის შიგნით სხვადასხვა სახის ჯგუფი წარმოიშვა, მრავალი მათგანი სირიაში მცხოვრები უმცირესობების სახითაა წარმოდგენილი: **ალავიტები, შიიტი-ისმაილიტები, დრუზები და სხვ.**

## ალავიტები

ალავიტები სირიულ უმცირესობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მოსახლეობის ამ ჯგუფს განეკუთვნება ქვეყნის პრეზიდენტი ბაშარ ასადიც.

სირიაში ამ რელიგიური ჯგუფის რიცხოვნების შესახებ მონაცემები მერყეობს 12%-დან 18%-მდე, რაც გასაკვირი არცაა ისეთი პოლიკონფესიური ქვეყნის პირობებში, რომელშიც მრავალი თემის წარმომადგენლები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. არცთუ ნაკლებმნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრადიციული „ტაკიიას“ პრინციპი, რომლის თანახმადაც ალავიტს შეუძლია, შეასრულოს სხვა რელიგიის რიტუალები და გულში შეინახოს რწმენა. ამგვარი მიდგომა სირიაში ოსმალების ბატონობისას ჩამოყალიბდა. მაშინ ამ კულტის წარმომადგენლები იდევნებოდნენ. იმ პირობებში, როდესაც არ შეიძლება თემის ზუსტი რიცხოვნების დადგენა, შეიძლება მისი განსახლების საზღვრების მონიშვნა — ეს არის ქვეყნის სანაპირო რაიონები, პროვინციები: ტარტუსი და ლატაკია, რომლებსაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ალავიტი შეიხები მართავდნენ.

რელიგიური სწავლებების საზღვრები ალავიტების შემთხვევაში ბუნდოვანია. ეს საკმაოდ დახურული ჯგუფია, თვით თემის შიგნით კი არსებობს სხვადასხვა მიმდინარეობები, რომელთა იდეებიც არაა კოდიფიცირებული. მაგალითად, ალავიტები იყოფიან სინათლისა და სიბნელის თაყვანისმცემლებად, ერთნი შიიზმის საკვანძო ფიგურას ალის მზესთან აიგივებს, მეორენი — მთვარესთან. მათ რელიგიურ სისტემაში არის უამრავი წვრილმანი ნიუანსი, რომლებიც გარეშე ადამიანისთვის ამოუხსნელად დარჩება საკითხის ღრმად შესწავლის შემთხვევაშიც კი.

ცნობილია, რომ **ალავიტებს აერთიანებს წარმოდგენა „მუდმივი სამების“ — ალის, მუჰამედისა და სალმანე ალ-ფარსის შესახებ. ამ სამიდან თითოეული განასახიერებს გარკვეულ მცნებას ალავიზმის სისტემაში. ალავიზმში არის ელემენტები, რომლებიც ქრისტიანობიდან არის ნასესხები: ისინი ზეიმობენ როგორც აღდგომას, ასევე შობას, ღვთისმსახურების დროს კითხულობენ სახარებას და პატივს მიაგებენ არა მხოლოდ იესოს, არამედ მოციქულებსაც.**

ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ალავიზმი, შიიტური ისლამის შიგნით არსებული მიმდინარეობა კი არა, ცალკე რელიგიაა, რადგან სწავლების ზოგიერთი ასპექტი ძალზე განსხვავდება იმისგან, რასაც ტრადიციულ ისლამად მივიჩნევთ. ამ მიზეზით ალავიტებს დიდი ხნის მანძილზე არ აღიარებდნენ საკუთარი მიმდინარეობის წევრად თვით შიიზმის სამშობლო ირანშიც კი. იქ ალავიტები მუსლიმანებად და შიიტებად მხოლოდ 1973 წელს აღიარეს, ისიც პოლიტიკური მიზეზების გამო — ურთიერთობების დასარეგულირებლად იმ ახალ რეჟიმთან, რომლის ლიდერიც ალავიტი ხაფეზ ასადი გახდა.

რაც შეეხება სხვა კონფესიებთან ურთიერთობას, რადიკალებმა ამჟამინდელი რელიგიური ფუნდამენტალისტი-სალაფიტების (ვაჰაბიტების) სასულიერო ავტორიტეტის — შეიხულ-ისლამიბნ ტაიმიის სახით ალავიტებთან (ნუსაირიტებთან) საკუთარი დამოკიდებულება მკაფიოდ განსაზღვრეს ჯერ კიდევ XIII საუკუნეში: „ეს ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ნუსაირიტებს უწოდებენ... თავიანთი ურწმუნოებით უარესები არიან, ვიდრე ქრისტიანები და იუდეველები! უფრო მეტიც, უარესნი, ვიდრე მრავალღმერთიანნი! მუჰამედის (მშვიდობა მას და ალაჰის წყალობა) თემისათვის მათგან უფრო მეტი ზიანია, ვიდრე მუსლიმანებთან მეომარ ურწმუნოთაგან“.

რადიკალები ალავიტების მიმართ ანალოგიურ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ დღემდე. ამ თემის ისლამისადმი კუთვნილების უარყოფის თეზისი სირიაში კონფლიქტის მთელი მიმდინარეობის მანძილზე გამოიყენება. ისლამისტებმა მუსლიმან სუნიტებს აუხსნეს, რომ პრეზიდენტ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არის ჯიჰადი არამორწმუნე ალავიტებისა და არამუსლიმანი მმართველის წინააღმდეგ.

**თუმცა რელიგიური წინააღმდეგობები სუნიტებსა და ალავიტებს ხელს არ უშლიდა, მშვიდობიანად ეცხოვრათ ერთ სახელმწიფოში. მკაფიო დისბალანსი პოლიტიკურ ელიტურ წრეებში ალავიტების გადამეტებული არაპროპორციულობით წარმოდგენის მხრივ არ არსებობდა.** ერთგვარი პარიტეტია თავად ბაშარ ასადის ოჯახშიც: მისი მეუღლე ასმა ასადი მუსლიმანი სუნიტია. მთავრობის დიდ ნაწილსაც სუნიტები შეადგენენ. ასადს ხელს არაფერი უშლის, მონაწილეობა მიიღოს იდ ალადხას (ყურბან-ბაირამი) ზეიმშიც მუსლიმან სუნიტებთან ერთად და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულშიც ქრისტიანებთან ერთად, თან მრავალკონფესიური ქვეყნის ლიდერად დარჩეს.

**უდავოა, რომ სირიის კონფლიქტში ირანისა და მისი სატელიტი დაჯგუფების მონაწილეობის ჭეშმარიტი მიზეზი რელიგიურ საზღვრებში არ თავსდება. საუბარია ირანსა და საუდის არაბეთს შორის ბრძოლაზე, საუდის არაბეთი კი სირიაში ისლამისტებს უჭერს მხარს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში გავლენის გამო**

## 12-იმამიანი შიიზმი

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ისლამურ სამყაროში შიიტები უმცირესობას წარმოადგენენ, შიიზმში უამრავი სექტა და განშტოება არსებობს, მაგრამ შიიტებს შორისაც არსებობს უმრავლესობა და მას 12-იმამიანი შიიტები წარმოადგენენ. მათ ეს სახელწოდება იმის გამო მიიღეს, რომ სულიერი ავტორიტეტების სახით აღიარებენ ალი იბნ აბუ თალიბის შთამომავალ 12 იმამს და მიიჩნევენ, რომ იმამთაგან უკანასკნელი ბავშვობაში გაქრა. მის დაბრუნებას სახელით მაჰდი, ისინი აქამდე ელიან. 12-იმამიანი შიიტები ირანის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ასევე, ცხოვრობენ ერაყში, აზერბაიჯანში, ლიბანსა და ბაჰრეინში, არიან სირიაშიც, თუმცა მხოლოდ 750 ათასი ადამიანი, ანუ მოსახლეობის 3%.

12-იმამიანი შიიტები ძირითადად ცხოვრობენ დამასკოს გარეუბნებსა და მრავალკონფესიურ ლიბანთან საზღვრისპირა რაიონები. იქვე, დამასკოსან ახლოს, განლაგებულია სირიის მთავარი შიიტური სიწმინდეები — მაგალითად, საიდ ზეინაბის მეჩეთი, რომელიც, როგორც ითვლება, ზეინაბის (წინასწარმეტყველი მუჰამედის შვილიშვილის) საფლავზეა აგებული. ეს ძალზე სათაყვანებელი სიწმინდეა შიიტებისთვის და ბოლო ხანს მასობრივი მოლოცვის ადგილად იქცა. გარდა ამისა, მეჩეთის სუნიტი ჯიჰადისტებისაგან დაცვა გახდა ფორმალური მიზეზი შიიტური „ჰეზბოლასა“ და ირანული ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის სირიის კონფლიქტში ჩართვისა და ბაშარ ასადის მხარეს ბრძოლისთვის.

**უდავოა, რომ სირიის კონფლიქტში ირანისა და მისი სატელიტი დაჯგუფების მონაწილეობის ჭეშმარიტი მიზეზი რელიგიურ საზღვრებში არ ჯდება. საუბარია ირანსა და საუდის არაბეთს შორის ბრძოლაზე, საუდის არაბეთი კი სირიაში ისლამისტებს უჭერს მხარს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში გავლენის გამო.** სირია დაპირისპირების საკვანძო წერტილს წარმოადგენს. ირანს არ შეუძლია, მის მიმართ მეგობრუ- ▶

ალავიტები



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სირიაში ქრისტიანობის მიმდევართა საერთო რაოდენობა დაახლოებით 1,8 მილიონი ადამიანი, ანუ მოსახლეობის 12%-ია. ეს კი აღემატება 12-იმამელი შიიტებისა და ისმაილიტი შიიტების საერთო რაოდენობას. ქრისტიანების ძირითადი საცხოვრებელია მსხვილი ქალაქები: დამასკო, ჰასეკი, დეირ აზ-ზორი, სუვაიდა, ჰამა, ტარტუსი, ჰომსი.

◀ ლად განწყობილი ბაშარ ასადის რეჟიმი, უბრალოდ, მიატოვოს ამ კონფლიქტში, საუდის არაბეთს კი სირიასთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებები აქვს.

საუდის სამეფოს სათავეებში მიიჩნევენ, რომ, ძირითადად, სუნიტური მემკვიდრეობის ქვეყანას არ შეიძლება სხვა კონფესიის წარმომადგენელი მართავდეს, მით უმეტეს, რომ ყურის მონარქიებში გაბატონებული კონფესია არის ეგრეთ წოდებული სალაფია, ანუ ის, რასაც ვაჰაბიზმში მოვიაზრებთ.

სუნიტური ისლამის ამ განშტოების წარმომადგენლები არიან რელიგიური ფუნდამენტალისტები, რომელთაგან ბევრი საერთოდაც არ მიიჩნევს მუსლიმანებად 12-იმამიან შიიტებსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ალავიტებზე. სალაფიტები შიიტებს რწმენისგან განდგომილებს უწოდებენ და ისინი მათ წარმოდგენებში გათანაბრებულნი არიან მრავალღმერთიანებთან, ანუ უდავოდ იმსახურებენ სიკვდილს. ეს ყველაფერი ემატება იმას, რომ უნდათ, რაც შეიძლება მეტად შემცირდეს ირანის გავლენის სფერო, ირანისა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში რეგიონში გავლენა გაიმყარა ერაყის ხარჯზე. ამ ქვეყნის ელიტა ამერიკული ოკუპაციის პერიოდში განხორციელებული გარდასახვის შემდეგ უპირატესად შიიტებისგან შედგება.

12-იმამიანი შიიზმის მიმდევრები, ისევე, როგორც სხვა ყველა უმცირესობა, უყოყმანოდ უჭერენ მხარს ბაშარ ასადს — ამჟამინდელი დაპირისპირების შედეგზე დამოკიდებულია არა მხოლოდ მათი კეთილდღეობა, არამედ ფიზიკური გადარჩენაც.

## შიიტი-ისმაილიტები

12-იმამიანი შიიზმის მიმდევარი შიიტებისგან ეს ჯგუფი იმით განსხვავდება, რომ აღიარებს არა 12 იმამს, არამედ მხოლოდ შვიდს. სირიაში მათი საცხოვრებელი ადგილი არის ქალაქ სალამიას ოლქები, ჰამადან სამხრეთით. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 200 ათასი ადამიანია, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 1%-ს შეადგენს.

## დრუზები

სირიაში ფრანგული მანდატის პერიოდში დრუზებს საკუთარი სახელმწიფოც კი ჰქონდათ. ისლამის სხვა შიიტურ განშტოებებს შორის დრუზები განცალკევებით დგანან. ეს ისეთივე მისტიკური კულტია, როგორიც ალავიზმი, თავისი პრაქტიკითა და ნიუანსებით. დრუზების მთავარ განსაკუთრებულობად შეიძლება ჩაითვალოს სისხლის პრინციპი: **უშუალოდ დრუზად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვისი მშობლებიც დრუზები იყვნენ. არ არსებობს დრუზების რელიგიაზე გადასვლის არანაირი რიტუალი. ისინი სირიის მოსახლეობის დაახლოებით 3%-ს შეადგენენ და დასახლებული არიან ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჯაბალ ად-დრუზის რაიონში.**

ამჟამინდელი ხელისუფლებისა და დრუზების ურთიერთობაში ყველაფერი ასე მარტივად არაა, ისტორიულად ხომ დრუზებსა და ალავიტებს შორის მუდმივად დაუნდობელი ბრძოლა იყო. ამ დაპირისპირებას თავდაპირველად ოსმალური სპეცსამსახურები აღვივებდნენ, შემდეგ კი — ფრანგები. შედეგად დრუზები მანევრირებენ ასადის მხარდაჭერასა და ხაზგასმულ ნეიტრალიტეტს შორის.

## ქრისტიანები

სირიის ქრისტიანულ თემში წარმოადგენილია ყველა შესაძლო განშტოება: არის ანტიოქიის მართლმადიდებლური ეკლესიის თემიც (სირიის ქრისტიანთა დაახლოებით ნახევარი), კათოლიკურიც (18%), სომხური აპოსტოლური ეკლესიისაც და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისაც. **სირიაში ქრისტიანობის მიმდევართა საერთო რაოდენობა დაახლოებით 1,8 მილიონი ადამიანი, ანუ მოსახლეობის 12%-ია. ეს კი აღემატება 12-იმამელი შიიტებისა და ისმაილიტი შიიტების საერთო რაოდენობას. ქრისტიანების ძირითადი საცხოვრებელია მსხვილი ქალაქები: დამასკო, ჰასეკი, დეირ აზ-ზორი, სუვაიდა, ჰამა, ტარტუსი, ჰომსი.**

კონფლიქტის დასაწყისიდანვე ქრისტიანები ძალიან დაზარალდნენ. მათი საცხოვრებელი ძირითადი ცენტრები ომის შედეგად განადგურდა, პროვინცია დეირ აზ-ზორი კი „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლქვეშ მოექცა. ისლამისტები მიტაცებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს აიძულებენ, იხადონ სპეციალური გადასახადი — ჯიზია, ხშირ შემთხვევაში კი, უბრალოდ, ხოცავენ მათ. ქრისტიანების უმეტესობა მხარს უჭერს ასადის კანონიერ ხელისუფლებას, ქვეყანაში ამ თემის გადარჩენისთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს.



ჩვეულებრივი სცენა სირიელთათვის — ქრისტიანი მღვდელი და დრუზების იმამი

**ახლა ასადის არმია და ქურთების მთავარი დამრტყმელი ძალა — სახალხო თავდაცვის რაზმები ერთობლივად მოქმედებენ «ისლამური სახელმწიფოს» წინააღმდეგ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქ ჰასაკას რაიონში**

## საქართველო და სირია. ასურელი მამების შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში

ქრისტიანობა, I საუკუნეში აღმოცენების შემდეგ, გავრცელდა რომის იმპერიასა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში — სირიასა და ეთიოპიაში, მოგვიანებით კი — მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში.

სირიული ცივილიზაციის ისტორია ჩვ.წ. აღ-მდე 4 ათასი წლიდან იწყება. **დამასკო** — სირიის დედაქალაქი — ჩვ.წ.აღ-მდე XVI საუკუნის ისტორიულ წყაროებშია მოხსენიებული. ბიბლიის მიხედვით, სწორედ დამასკოში მიიღო **მოციქულმა პავლემ** ქრისტიანობა, შემდეგ კი ცხოვრობდა ანტიოქიაში (ძველი სირიის ტერიტორია, რომელიც ახლა თურქეთის საზღვრებშია), სადაც ქრისტეს მოწაფეებს პირველად უწოდეს ქრისტიანები.

ასურეთი კი იყო სახელმწიფო შუამდინარეთში, რომელმაც 2 ათასი წელი იარსება და კაცობრიობის ისტორიაში პირველ იმპერიად ითვლება. ასურეთის იმპერია მოიცავდა მესოპოტამიის, პალესტინის, კვიპროსის, სირიისა და თანამედროვე თურქეთის ტერიტორიებს, აგრეთვე, ეგვიპტეს.

საქართველოში ასურელთა ცხოვრების პირველი კვალი **ლეონტი მროველის** „ქართლის ცხოვრებაშია“ აღწერილი. VI საუკუნის შუა წლებში საქართველოში ასურელ მამათა შემოსვლა ისტორიული ფაქტია და დასტურდება როგორც ისტორიულ-ლიტერატურული წყაროებით, აგრეთვე, მატერიალურ-კულტურული ძეგლებით. **ასურელ, ანუ სირიელ მამათა ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ეპოქალური მნიშვნელობისაა. აღმოსავლეთ საქართველოში მათ ჩაუყარეს საფუძველი ქრისტიანული ცხოვრების ახალ წესს — მონაზვნობას.**

**სირია, საიდანაც, მოვიდა 13 ასურელი მამა საქართველოში, ქრისტიანობის უძველესი კერა იყო. იქ ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია, II საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს.**

აღსანიშნავია, რომ ასურელი მამების შემოსვლამდე ბევრი ქართველი მონაზონი მოღვაწეობდა პალესტინასა და სირიაში, ბევრი დარჩა იერუსალიმის მონასტრებში.

ასურელი მამების ჩამოსვლის მიზანი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება იყო ჯერ კიდევ შემორჩენილ წარმართობასთან ბრძოლაში. **იოანე ზედაზნელმა** თავისი მოწაფეები ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა სამისიონერო მოღვაწეობისთვის, ხოლო ორი ეპისკოპოსად ეკურთხა: **ისე** — წილკნის კათედრაზე, ხოლო **აბიბოსი** — ნეკრესის საეპისკოპოსოს ტახტზე.

**იოანე ზედაზნელმა** VI საუკუნის შუა წლებში მცხეთის მახლობლად, ზედაზნის მთაზე დააარსა პირველი მონასტერი საქართველოში. **დავით გარეჯელმა** გარეჯაში დააარსა მონასტერი, რომელიც მის სიცოცხლეშივე იყო ხალხმრავალი, მისმა მოწაფემ **ლუკიანემ** იქვე დააარსა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, ხოლო მეორე მოწაფემ — **დოდომ** — დოდარქის მონასტერი. **შიო მღვიმელის** დაარსებულია შიომღვიმის მონასტერი. **იოსებ ალავერდელმა** დააარსა ალავერდის მონასტერი, რომლის ადგილასაც დღეს დგას XI საუკუნის ალავერდის დიდებული ტაძარი; **ზენონ იყალთოელმა** — იყალთოს მონასტერი, რომლის ადგილზეც დღეს დგას ფერისცვალების ეკლესია. **ანტონ მარტომყოფელმა** დააარსა მარტყოფის მონასტერი სოფელ ნორიოს ახლოს. **სტეფანე ხირსელის** (ქიზიყელის) დაარსებულია ხირსის მონასტერი, რომლის ადგილას დღეს დგას გუმბათოვანი ტაძარი, **თათა სტეფანწმინდელმა** — სტეფანწმინდის მონასტერი (კასპის მახლობლად), **ისიდორე (ეზდრიოს) სამთავნელმა** — სამთავისის მონასტერი, რომლის ადგილზეც დღეს დგას გუმბათოვანი ტაძარი, **მიქაელ ულუმბოელმა** — ულუმბოს მონასტერი (სოფელ ალის ახლოს) **პიროს ბრეთელმა** — ბრეთის მონასტერი, რომლის ადგილას დღეს დგას წმინდა გიორგის ეკლესია.

## ქურთი სუნიტები

სირიის შესახებ ახალი ამბების სათაურებში ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ჩნდებიან ქურთები, უპირველეს ყოვლისა, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის გამო. ქურთები ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში ცხოვრობენ, იქ, სადაც სირიის შემადგენლობაში საკუთარი ავტონომიის შექმნას აპირებენ.

მათ თვითგანსაზღვრებაში რელიგიური კუთვნილება მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, თავს ქურთებად მიიჩნევენ და მხოლოდ ამის შემდეგ — მუსლიმანებად, მით უფრო, რომ ქურთებს შორის ფართოდაა გავრცელებული მემარცხენე შეხედულებები, მაგალითად, პოპულარულია ძალზე სპეციფიკური „ქურთული“ კომუნიზმი.

ქურთებისა და ასადის ურთიერთდამოკიდებულებაში ომის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდი იყო — ძირითადად, ისინი ერთად გამოდიოდნენ ქვეყნის ჩრდილოეთით განსაკუთრებულად საშიში დაჯგუფებების წინააღმდეგ, მაგრამ ადგილი ჰქონდა კონფლიქტებსაც. **ახლა ასადის არმია და ქურთების მთავარი დამრტყმელი ძალა — სახალხო თავდაცვის რაზმები და ასადის არმია ერთობლივად მოქმედებენ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქ ჰასაკას რაიონში.**

## სუნიტები

მუსლიმანი სუნიტები წარმოადგენენ სირიაში ყველაზე მრავალრიცხოვან თემს. სხვადასხვა გამოთვლის თანახმად, ისინი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 70%-ს შეადგენენ. მათი საცხოვრებელი ტერიტორია პრაქტიკულად მთელ სირიას მოიცავს, გარდა იმ რაიონებისა, რომლებიც ისტორიულად დასახლებულია ალავიტებით, მაგალითად, პროვინცია ლატაკია.

როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთი ექსპერტი სირიაში ომს სუნიტურ-შიიტურ ლოკალურ კონფლიქტად განიხილავს, მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ რომელ შიიტებსა და რომელ სუნიტებს შორის არის კონფლიქტი.

ამ ომში ასადის ძირითადი მოწინააღმდეგეები უბრალო მუსლიმანი სუნიტები კი არა, ფუნდამენტალისტი რადიკალები არიან და ისინი სირიაში შარიათის დამყარებაზე ოცნებობენ. ისინიც კი, ვინც სირიაში „დემოკრატიისთვის ბრძოლაზე“ საუბრობს, სინამდვილეში იბრძვის ან შარიათისთვის, ან, უკეთეს შემთხვევაში, თავისი თემის დომინირებისთვის. შეუძლიათ თუ არა ფუნდამენტალისტებს ყველა სუნიტი მუსლიმანის სახელით ლაპარაკი, სუნიტებისა, რომელთაგან მრავალს სულაც არ სურს შუა საუკუნეებში დაბრუნება?

ამჟამინდელი ახლო აღმოსავლეთის რეალობა ისეთია: **რადიკალური მქადაგებლებისთვის ადვილია, აუხსნან ახალგაზრდებს, რომ მათი ყველა პრობლემის ფესვი არის ერთი „ურწმუნო“, რომელიც მართავს სირიას და, თუკი მას „მართლმორწმუნით“ ჩაანაცვლებენ ან სულაც ხალიფატს დაამყარებენ, ცხოვრება დალაგდება და ყველაზე მწვავე პრობლემებიც აღმოიფხვრება.**

ისლამისტების იდეები ნოყიერ ნიადაგს პოულობს სწორედ იმ საზოგადოებებში, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს განიცდიან. ეს კი ახლო აღმოსავლეთში ყოველ ნაბიჯზეა. ზოგან ხელისუფლება უმკლავდება ისლამისტურ საფრთხეს, ზოგან კი რადიკალებს გულუხვად ეხმარებიან საზღვარგარეთიდან და ცდილობენ ლეგიტიმური რეჟიმის დამხობას. ის სირიელი მუსლიმანი სუნიტები, რომლებიც ჯერ არ შთაუნთქავს რადიკალურ ისლამისტურ იდეებს, ან ასადს უჭერენ მხარს, ან, უბრალოდ, მიდიან ქვეყნიდან, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის სანერგედ იქცა.

თუკი ამჟამინდელი ხელისუფლება მოახერხებს, ნაწილებად დაგლეჯილი ქვეყნის კვლავ გაერთიანებას, იგი რადიკალი სუნიტების პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, რომელიც დენთის კასრად იქცევა და ყოველწამს მზად იქნება ასაფეთქებლად.

cont.ws



13 ასურელი მამა

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ მე-18 საუკუნეში ქართველებს საზარბაზნე ხორცად ირანი გვიყენებდა აჯანყებული ავღანელების წინააღმდეგ, განა დღეს აშშ იმავეს არ გვიკეთებს და ისიც ავღანეთში? იქ ქართველი ვაჟკაცები მსოფლიოს ამერიკულად გლობალიზების ვერაგულ მიზნებს ეწირებიან და არა საქართველოს დაცვა-გადარჩენას, ასე უსირცხვილოდ რომ ცრუობენ ირაკლი ალასანია, ალექსი პეტრიაშვილი, დავით ბაქრაძე, სააკაშვილი და სხვები.**

# გეორგიევსკის ახალი ტრაქტატი რუსეთთან — საქართველოს გადასარჩენად და გასამთლიანებლად

**წერილის სათაური მავანთა აფორიაქება-აკრიახებას გამოიწვევს; კრემლის აგენტობას, მეხუთე კოლონის წევრობას დამაბრალებენ. აგენტი მართლაც ვარ, მაგრამ არა კრემლის, რომელმაც ჩემი არსებობა კი არ იცის, არამედ საქართველოსი, რომელსაც მეტყველება არ შეუძლია და იტანჯება; მის გასაჭირს, მის სათქმელს მე ვახმიანებ და განსასჯელად და დასკვნის გამოსატანად საქართველოს მოსახლეობის წინაშე გამომაქვს. დიახ, ვიწვევ ცეცხლს იმ ადამიანებისაგან, რომლებიც აშშ-ის გრანტიჭამიებად იქცნენ და სამშობლოს ინტერესები, ეროვნულობა, ღირსება, სუვერენიტეტი თუ მართლმადიდებლური სულიერება დოლარებზე გადაცვალეს და მოქმედებენ პრინციპით: სჯობს დოლარების მოხვეჭა ყოველგვარ მოსახვეჭელსა. ისტორია განსჯის, ჩვენ შორის ვინ არის მართალი და ვინ — ცდება.**



ბოლო 25 წლის განმავლობაში, მსოფლიოში დატრიალებული ქარტეხილების შედეგად, საქართველოს შიგნით თუ მის გარშემო მოვლენები ისე განვითარდა, რომ **ქვეყნის გადასარჩენად, პერსპექტივაში ტერიტორიული გამთლიანებისთვის, მართლმადიდებლური სულიერების შენარჩუნება-განმტკიცებისთვის ლოგიკურ აუცილებლად იქცა რუსეთთან გეორგიევსკის ახალი ტრაქტატის ახალი შინაარსით გაფორმება, როგორც ჩარჩო ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ; ამასთანავე, გათვალისწინებული იქნება საქართველოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემა.**

გეორგიევსკის ახალმა ტრაქტატმა რუსეთთან ის ხელშეკრულება უნდა მოგვაგონოს, რომელიც საბჭოთა კავშირთან ომის დამთავრებიდან ოთხი წლის შემდეგ, 1948 წელს, ფინეთის გეოპოლიტიკურად მოაზროვნე პრეზიდენტმა **იუჰო კუსტი პაასიკივიმ** გააფორმა სამხედრო ბლოკებში გაერთიანებაზე უარის თქმით. ამით ფინეთმა რუსეთის ნდობა და პატივისცემა მოიპოვა, რაც დღესაც გრძელდება.

**მე, 85 წელს გადაცილებული ისტორიკოს-პოლიტოლოგი, დაჟინებით ვითხოვ, რაც შეიძლება მალე აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და მეგობრობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებაც გავაფორმოთ.** ეს არის არა ჩემი სუბიექტური ახირება, არამედ ობიექტურად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონზომიერება, დაჟინებული მოთხოვნა საქართველოსი, რომელიც იტანჯება უღირსი და მოღალატე ხელისუფალთა გეოპოლიტიკური სიბრმავის გამო.

**თუ ერეკლე მეფის პერიოდში თურქეთი და ირანი გადაყლაპვით გვემუქრებოდა, დღეს ანალოგიური საფრთხე აშშ-დასავლეთიდან მოდის. აშშ-ს არაფრად უღირს, არ აინტერესებს ჩვენი კულტურა, ეროვნულობა და ტრადიციები. ამას მისი ხელმძღვანელები თავხედურად და დაუფარავად გვეუბნებიან. აშშ თავისი ცხოვრების წესს, თავის ენას, მართლმადიდებლობისთვის ყოვლად მიუღებელ პედერასტულ ტრაკოკრატიას თავზე დაჟინებით გვახვევს.** ბოდიში, მაგრამ სოდომიას, გარყვნილება-აღვირახსნილობას, რომლითაც დღეს აშშ გვემუქრება, სხვა სახელს ვერ დავარქმევ. ერთნაირსქესიანთა ქორწინების უფლებას მსოფლიოში დავაკანონებთო, — უსირცხვილოდ ამბობენ აშშ-ის მმართველი წრეები.

**თუ მე-18 საუკუნეში ქართველებს საზარბაზნე ხორცად ირანი გვიყენებდა აჯანყებული ავღანელების წინააღმდეგ, განა დღეს აშშ იმავეს არ გვიკეთებს და ისიც ავღანეთში? იქ ქართველი ვაჟკაცები მსოფლიოს ამერიკულად გლობალიზების ვერაგულ მიზნებს ეწირებიან და არა საქართველოს დაცვა-გადარჩენას, ასე უსირცხვილოდ რომ ცრუობენ ირაკლი ალასანია, ალექსი პეტრიაშვილი, დავით ბაქრაძე, სააკაშვილი და სხვები.** ცინიზმია, სასაცილოა, თანაც სატირალი იმის მტკიცება, რომ თითქოს ქართველები ავღანეთში სამშობლოს ვიცავთ.

**აშშ-დასავლეთის უხეში და თავხედური ზეწოლის შედეგად ბედშავი საქართველო დოლარებზე გაყიდულმა უღირსმა და მოღალატე შვილებმა ისეთ კრიტიკულ მიჯნამდე მიიყვანეს, რომ კვლავ საფრთხის წინაშე დადგა ენის, მამულის, სარწმუნოების შენარჩუნება. სწორედ ამიტომ ერთადერთი ხსნა არის გეორგიევსკის ახალი ტრაქტატის გაფორმება დიდ მეზობელ რუსეთთან. საქართველოს გადარჩენა-გამთლიანების გასაღები მხოლოდ მოსკოვშია; მივწვდეთ ამ გასაღებს, რაც შეიძლება, მალე**

**გეორგიევსკის 1873 წლის ტრაქტატის საფუძველზე რუსეთთან დაკავშირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ, როგორც ერის მამად აღიარებული ილია მართალი ამბობდა, ჩვენ სამი რამ შევინარჩუნეთ — ენა, მამული, სარწმუნოება, ე.ი., გამუსლიმანებას გადავურჩით.**

დღეს კი, აშშ-დასავლეთის უხეში და თავხედური ზეწოლის შედეგად, ბედშავი საქართველო დოლარებზე გაყიდულმა უღირსმა და მოღალატე შვილებმა, ისეთ კრიტიკულ მიჯნამდე მიიყვანეს, რომ კვლავ საფრთხის წინაშე დადგა ენის, მამულის, სარწმუნოების შენარჩუნება. სწორედ ამიტომ ერთადერთი ხსნა არის გეორგიევსკის ახალი ტრაქტატის გაფორმება დიდ მეზობელ რუსეთთან. **საქართველოს გადარჩენა-გამთლიანების გასაღები მხოლოდ მოსკოვშია; მივწვდეთ ამ გასაღებს, რაც შეიძლება, მალე.**

დალუპვის პირას მიყვანილი საქართველო ჭეშმარიტ მამულიშვილთა ერთ მუჭად შეკვრას, ეროვნულ-პატრიოტული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების ფართო კოალიციად გაერთიანებას ითხოვს. ასეთი კოალიციის საგარეო-პოლიტიკური მოქმედების მთავარი დევიზი უნდა იყოს: არა — ნატოს! კი — სამხედრო ნეიტრალიტეტის ფინურ ვარიანტს!

რუსეთს არაერთხელ აქვს გაცხადებული, რომ იქნება საქართველოს ასეთი ნეიტრალიტეტის გარანტი.

დიახ, დღეს რუსეთი ნამდვილად არის ოკუპანტი, მაგრამ **რუსეთს საქართველოს ოკუპაციისკენ ქართველი ხალხის, მისი ვაილიდერების ბედოვლათობამ უბიძგა;** აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ჩვენ ჯერ კიდევ 1988-89 წლების შესაყარზე დავკარგეთ. **1989 წლის 9 აპრილის მიტინგის ლოზუნგებით — „რუსო, წაეთრიე“, „ოკუპანტო“ და მისთანებით — საძირკველი ჩავუყარეთ ანტირუსულ ცივ ომს, ზიზღსა და სიძულვილს რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ; გამოვავლინეთ უკიდურესი უმადურობა, ხაზი გადავუსვით ისტორიულ მემკვიდრეობა-მეხსიერებას და ეს მაშინ, როცა სსრ კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ დასავლეთის მიერ მოსყიდულ მოღალატეებს, გორბაჩოვის თავკაცობით, დანგრევის პირას ჰყავდათ მიყვანილი.**

9 აპრილის მიტინგმა, სსრ კავშირი კი არა, საქართველო დაშალა. **აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხები 9 აპრილს ქართველებს გვერდით რომ არ დაგვიდგნენ, ამან რატომ არ დაგვაფიქრა?**

9 აპრილის მკვეთრად გამოხატულმა ანტირუსულმა ლოზუნგებმა ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა რუსი საზოგადოების ცნობიერებაზე, ამ საქციელით ცივი ომის დაყოვნებული მოქმედების ნაღმი ჩავდეთ ჩვენს ურთიერთობაში. სამწუხაროდ, ბედოვლათი ხელისუფლებების ძალისხმევით ეს ნაღმი დღესაც მოქმედებს. აშშ-ის მიერ მოსყიდული ხელისუფალნი კი განაღმვაზე არც ფიქრობენ. **შემთხვევითი როდი იყო, 9 აპრილის მიტინგიდან რამდენიმე თვის შემდეგ მწერალთა ბოლო საკავშირო ყრილობაზე რუსმა მწერლებმა ქართველები ავადმყოფ ერად რომ მოიხსენიეს.** ძალზე მტკივნეული იყო ქართველებისათვის ამის მოსმენა, მაგრამ... გავიდა კიდევ ორი წელი და ჩეჩნების წაქეზება დავიწყეთ რუსების წინააღმდეგ — რუსეთს გამოეყავით და კავკასიური სახლი ავაგოთო. განა ამას რუსეთი გვაპატიებდა? რუსეთთან თავიდანვე კარგი ურთიერთობა რომ შეგვენარჩუნებია, ფილოსოფიურად რომ გვეაზროვნა, ჰეგელის დიალექტიკის საფუძველზე მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერება სახელმძღვანელოდ გაგვეხადა, რუსეთი ჩვენი მოკავშირე-დამხმარის როლში ჩაგვეყენებინა, სეპარატისტები ველარ გაიხარებდნენ და აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონები საქართველოს შემადგენლობაში დარჩებოდა.

იმის ნაცვლად, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობის აღდგენაზე გვეზრუნა, დაგვეძლია აფხაზებთან და ოსებთან გაუცხოების დამღუპველი სენი, დაგვემყარებინა მათთან საქმიანი კონტაქტი, მოხდა პირიქით — ჩვენს ხელისუფალთ მხარი ეცვალათ: დაიწყეს ქაჩვა აშშ-ნატოსაკენ და ამით რუსეთის ოკუპანტური მადა კიდევ უფრო გააძლიერეს.

ჩვენ, ქართველებმა, ბოლო 25 წლის განმავლობაში ვერაფერი ვისწავლეთ, დასკვნები ვერა და ვერ გამოვიტანეთ და „ნატო მინდა“-ს გაუთავებელი ქაქანით რუსეთსაც გაუთავებლად ვალიზიანებთ; ხოლო რა შედეგები მოაქვს ასეთ გაღიზიანებას, ყველასთვის ცხადია. **რუსეთი თავის უშუალო სამეზობლოში ნატოს პარპაშს რომ არ დაუშვებს, ეს რეალობა საქართველოს ხელისუფლებამ ვერა და ვერ შეიგნო; ვერც შეიგნებს, რადგან ამერიკული დოლარების ზემოქმედებით, გეოპოლიტიკური სიბრმავის სენით ისე მძიმედაა დასნეულებული, რომ ვაინაციონალ ოპოზიციასთან ერთად, საქართველო, სამხრეთ კავკასიაში კი არა, ბისკაის ყურეში ჰგონია — ესპანეთ-საფრანგეთის სამეზობლოში.**

დოლარებით მოსყიდულმა აშშ-ის **„ძაღლისშვილმა“ სააკაშვილმა** 2008 წლის აგვისტოს ცხინვალში წამოწყებული ომით დამწვარზე მდუღარე დაასხა და რუსეთს ოკუპანტობისკენ უბიძგა. ცხინვალში გაეროს ეგიდით მდგარი რუსი მშვიდობისმყოფელები რომ დახოცა, მათი დედები რომ აატირა, ამას რუსეთი გვაპატიებდა? **აშშ-მა 2008 წლის თებერვალში სერბეთისთვის წაგლეჯილი კოსოვო დამოუკიდებლად გამოაცხადა და იქ, ევროპაში, უდიდესი სამხედრო ბაზა მოაწყო 7200 სამხედრო მოსამსახურით, ამის საპასუხოდ რუსეთმა იმავე წლის სექტემბერში ერთბაშად ორი რეგიონის — აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა ცნო, იქ თავისი სამხედროები შეიყვანა და კვლავ ოკუპანტად მოგვევლინა.** ვინ უბიძგა ასეთი ნაბიჯისკენ? რა თქმა უნდა, აშშ-ის დახმარების იმედით გაბრიყვებულმა, გეოპოლიტიკურად დაბრმავებულმა სააკაშვილმა.

**დასკვნა: რუსეთის ოკუპანტური ამბიციების გაღვივება-გაძ-** ▶

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ ერეკლე მეფის პერიოდში თურქეთი და ირანი გვემუქრებოდა გადაყლაპვით, დღეს ანალოგიური საფრთხე აშშ-დასავლეთიდან მოდის. აშშ-ს არაფრად უღირს, არ აინტერესებს ჩვენი კულტურა, ეროვნულობა და ტრადიციები. ამას მისი ხელმძღვანელები თავხედურად და დაუფარავად გვეუბნებიან. აშშ თავისი ცხოვრების წესს, თავის ენას, მართლმადიდებლობისთვის ყოვლად მიუღებელ პედერასტულ ტრაკოკრატიას დაჟინებით გვახვევს თავს.

**◀ლიერებაში დიდი წვლილი ჩვენ შევიტანეთ, უფრო ზუსტად, შეგვატანინა თავისი საქმეების ყოველთვის სხვისი ხელით აღსრულების დიდოსტატმა ამერიკამ.**

აგვისტოს ომის შემდეგ ანტირუსულ ისტერიკას სულ უფრო ვაღრმავებთ, „ნატო მინდა“-ს ქაქანს ბოლო არ უჩანს. ვერაფრით გავიგეთ, რომ აშშ-დასავლეთი აბუჩად გვიგდებს, დაგვცინის, რაღაც რეზოლუციებით გვკვებავს.

დღეს ვაშინგტონი, სტრასბურგი, ბრიუსელი თუ ვენეციის კომისია ბედშავ საქართველოს ისე აბურთავებენ ხელიდან ხელში, როგორც დიასახლისი მჭადის ცომს კეცზე დაკვრის წინ.

ბოლო ხანს თვით რუსეთის პრეზიდენტმა გამოხატა საქართველოს ხელისუფლებასთან დალაპარაკების მზადყოფნა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ისე მყარადაა მოქცეული აშშ-დასავლეთის კლანჭებში, რომ ხმის ამოღებას ვერ ბედავს:

*** თავის დროზე რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების დადება აშშ-ის იმჟამინდელმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა ჩაგვიშალა;**

* სომხეთში ვიზიტისას ბიძინა ივანიშვილმა რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მზადყოფნა გამოხატა, მაგრამ საქართველოსთვის ეს უაღრესად სასარგებლო საქმე აშშ-მა დაბლოკა, რადგან მის ინტერესებს ეწინააღმდეგება;

*** წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ბიძინა ივანიშვილი გორელებს დაჰპირდა, სტალინის ძეგლს თავის ადგილზე დავაბრუნებთო, მაგრამ აშკარა ტყუილი გამოუვიდა, რადგან ისევ აშშ-დასავლეთმა დაუშალა;**

* ბიძინა ივანიშვილმა სიმართლე თქვა, ომი ცხინვალში ქართულმა მხარემ წამოიწყო, მაგრამ ეს ჭეშმარიტება აშშ-ის ელჩმა დაუბლოკა და ბატონი ბიძინაც დადუმდა.

რომელი ერთი ჩამოვთვალო? წყეული კოაბიტაციაც ხომ აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა მოგვახვია თავს? თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელიც ხომ მისი ინიციატივით დაინიშნა?

**დასკვნა: საქართველო არ არის სუვერენული ქვეყანა; მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას აშშ-დასავლეთი განსაზღვრავს.** ნაცვლად იმისა, რომ გონივრული ნაბიჯებით შევაჩეროთ საოკუპაციო პროცესები, რომელსაც რუსეთი განაგრძობს, დავიწყოთ მისგან შემოთავაზებული მაღალი დონის შეხვედრები, ამჟამინდელი ხელისუფლება რუსეთის გაღიზიანებას კვლავაც განაგრძობს. უკვე 25 წელია, აშშ-დასავლეთისაკენ ავიღეთ გეზი და მათ ინტერესებს მონურად ვემსახურებით, კოლონიად გვაქციეს. სანაცვლოდ რა მივიღეთ? სახალხო მეურნეობის ნგრევა, ფაბრიკა-ქარხნების ჯართად ქცევა, ათიათასობით ჩვენი შვილების მსხვერპლად შეწირვა, ტრაგედიებისა და კატასტროფების სერია, რომელთა აღწერას მრავალი ტომი დასჭირდება. უბედურება არის ის, რომ ვერა და ვერ დავადექით ტაძრისკენ მიმავალ გზას და დაჟინებით მივილტვით უფსკრულისკენ.

**25-წლიანმა პოლიტიკურმა პრაქტიკამ, ტრაგედიებმა ჭკუა ველარ უნდა გვასწავლოს? ველარ უნდა გავიგოთ, რომ რუსეთი თავის საზღვრებთან მისდამი მტრულად განწყობილ ნატოს რომ არ დაუშვებს? თუ ეს ჭეშმარიტება სომხეთმა და აზერბაიჯანმა შეიმეცნეს, ჩვენ რამ დაგვაბრმავა?**

ხალხო და ხელისუფალნო! თქვენი თვალების ასახელად, სააზროვნოდ და დასაფიქრებლად, შემდეგ — დასკვნის გამოსატანად, გთავაზობთ, წაიკითხოთ მასალა, რომელიც პოპულარულმა გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტი“-მ კოლაჟის სახით ამა წლის მე-12 ნომერში გამოაქვეყნა.




ეს კოლაჟი გაზეთის მთავარ მხატვარს — **ანდრეი დოროფეევს** ეკუთვნის, ხოლო გაავრცელა სააგენტო „როიტერმა“. კაცმა რომ თქვას, კოლაჟს კომენტარიც კი არ სჭირდება — ყველაფერი ნათელი და გასაგებია. **„მტერი კარიბჭესთან?“** და ქვევით: **„რატომ არ შეიძლება დავუშვათ ნატო ჩვენს საზღვრებთან“.** გაზეთის მე-6 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ; იმედია, ჩემი ოპონენტები გაეცნობიან.

**მე, 85 წელს გადაცილებული ისტორიკოს-პოლიტოლოგი, დაჟინებით ვითხოვ, რაც შეიძლება მალე აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და მეგობრობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებაც გავაფორმოთ. ეს არის არა ჩემი სუბიექტური ახირება, არამედ ობიექტურად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონზომიერება, დაჟინებული მოთხოვნა საქართველოსი, რომელიც იტანჯება უღირს და მოღალატე ხელისუფალთა გეოპოლიტიკური სიბრმავის გამო**

შეიძლება, მავანმა ბრალი დამდოს — ეს ქუთაისელი პოლიტოლოგი სსრ კავშირის აღდგენას გვიკიჟინებსო; არა, ბატონებო, იმ ფორმითა და შინაარსით სსრ კავშირს არავინ აღადგენს, რადგან რუსეთში დღეს სულ სხვა მოსაზრებაა გაბატონებული, რომელიც ორი წლის წინათ ცნობილმა პოლიტოლოგ-სოციოლოგმა პროფესორმა **ალექსანდრე სევასტიანოვმა** საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიაზე წარმოთქვა. ციტატას თარგმნის გარეშე მოვიყვან: **„Ни Советский Союз, ни его ядро-Советская Россия не были ни государством русских, ни государством для русских. А если уж говорить правду до конца, был антирусским государством, в котором русским отводилась лишь роль природного ресурса, строительного материала... пушечного мяса, бесправного донора — источника средств для процветания центральной власти и многих иных народов страны...“ („Литературная газета“, 12, 2013 г., стр. 3).**

მიმაჩნია, რომ რუსი პროფესორის მსჯელობაში არის ჭეშმარიტების მარცვლები; ამაში ანალიტიკურად მოაზროვნე 60-70 წელს გადაშორებული ჩემი კოლეგები ნამდვილად დამეთანხმებიან. ბუნებრივია, ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირში არ უცხოვრია, რუსი პროფესორის ნათქვამის სიმართლე დაუჯერებელი იქნება.

**დღევანდელ სასკოლო სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით — ისტორიის, მიზანმიმართულად ეწევიან საბჭოთა პერიოდის საქართველოს ცხოვრების ფალსიფიცირებას ან კიდევ ამჯობინებენ, არაფერი თქვან და აშშ-დასავლეთის რეცეპტებით მიზანმიმართულად ურეცხავენ ტვინს ახალგაზრდობას.**

ისევ მთავარ საკითხს დავუბრუნდები, პატივცემულო მკითხველო: დღეს საქართველო ტრაგიკულ მდგომარეობაშია; ყოველი დღე და საათი ჩვენს საზიანოდ მუშაობს. მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გათვლებით გამომაქვს **დასკვნა: თუ კვლავ განვაგრძობთ აშშ-დასავლეთის მონობას, საქართველო, როგორც ქართველი ერის სახელმწიფო, საპნის ბუშტივით გაქრება:** ხალხნო და ხელისუფალნო! შეწყვიტეთ აშშ-დასავლეთის ლაქუცი; უარი თქვით ქვეყანაში ნატოს სანვრთნელი სტრუქტურების განლაგებაზე; ნუ აღიზიანებთ რუსეთს ევროკავშირთან მიტმასნებით; ჯერ ამ კავშირის წევრი არ ხართ და მისი დროშებით კაბინეტ-ოფისები გადაალურჯეთ, ბარემ ტუალეტშიც გამოფინეთ. შეჩერდით! წინააღმდეგ შემთხვევაში, იცოდეთ, რუსეთი რეაგირების გარეშე არაფერს ტოვებს და სავალალო შედეგებს მოვიმკით.

**საქართველოს მიმართ რუსეთის მკვეთრი გაღიზიანების მიზეზი იყო და დღემდე რჩება ისტორიული მემკვიდრეობა-მეხსიერების სრული უარყოფა და არნახული უმადურობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და მის მიერ გაბრიყვებული ხალხის დიდი ნაწილი რუსეთის მისამართით ავლენს. ცხადია, რუსეთი უმადურობას არ გვაპატიებს და ამის გამო გვსჯის კიდეც.**

ოპონენტებს შევახსენებ, რომ ერეკლე მეფის ძალისხმევის შედეგად გეორგიევსკის ტრაქტატში შეტანილ იქნა მუხლი, რომელიც თხოვდა რუსეთს, დახმარებოდა ქართველ ხალხს მტრების მიერ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებაში. **ტრაქტატის სხვა მუხლებისგან განსხვავებით, მეფის რუსეთმა ეს თხოვნა წარმატებით შეასრულა. რა თქმა უნდა, არა ქართველთა სიყვარულის გამო, არამედ თავისი იმპერიული მიზნისთვის — სამხრეთ კავკასიაში მტკიცედ დამკვიდრებისთვის, მაგრამ ერეკლე მეფის სანუკვარი ოცნებაც ხომ ალასრულა?** მე-19 საუკუნის პირველი წლებიდან, ვიდრე 1878 წლამდე, სხვადასხვა დროს, რუსეთმა მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ ოთხი ძნელი ომი გამართა და ყოველთვის გაიმარჯვა. ამ ომებში მამაცურად იბრძოდნენ ქართველი მეომრებიც — ოფიცრები და გენერლები. **რუსი და ქართველი მეომრების ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს დაუბრუნდა ოსმალ-თურქთა მიერ მიტაცებული შავიზღვისპირეთი, თურქულ საფაშოდ ქცეული ახალციხე-ახალქალაქის მხარე და აჭარა ბათუმითურთ.** ამ ომებმა, ქართველებთან ერთად, ათი ათასობით რუსი მეომრის, ოფიცრისა და გენერლის სიცოცხლე შეიწირა. აჭარა-ბათუმის დაბრუნებას, რომელიც სამი საუკუნე თურქეთის მფლობელობაში იყო, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ქართველი საზოგადოება დიდი პათოსითა და შემართებით შეეგება. აჭარაში გაავრცელეს **იაკობ გოგებაშვილის** ახალგამოცემული „დედა ენა“, რაშიც ქართველებს რუსული ადმინისტრაცია დაეხმარა. რუსეთის არმიაში გამოიჭედა ქართველ ოფიცერთა და გენერალთა მთელი პლეადა, რომელიც შემდეგში წინამძღოლობდა არა მხოლოდ ქართველ, არამედ რუს მეომრებსაც იმპერიის უკიდეგანო სივრცეში.

ჩვენ, ქართველებმა, კი რა გავაკეთეთ? — ყველაფერი დავიწყებას მივეცით, უმადურობის კლასიკური მაგალითი ვუჩვენეთ; **რუსი ხალხის სისხლით დაბრუნებულ აჭარაში დღეს თურქებს ვათარეშებთ; თავდავიწყებით ვეტრფით პედერასტულ აშშ-ნატოს; რუსეთი ყველაფერ ამას კარგად ხედავს და, ბუნებრივია, ჩვენ მიმართ ოკუპანტური მადა უძლიერდება. ჩვენ კი, რასაც ვთესავთ, იმასვე ვიმკით. ბოლო 25 წლის განმავლობაში საშინლად დავამახინჯეთ ისტორია და განსაკუთრებით — საქართველოს ისტორია; ვეწევით ახალგაზრდა თაობის ტვინების გამორეცხვას.**

დღეს საქართველოს ჟამი ხსნისა დაუდგა. ბატონო ოპონენტებო, აშშ-ის გრანტიჭამიებო, ამჯერად ქარიბდა აშშ-დასავლეთია, რომელიც გვემუქრება სრული ჩაყლაპვით, რუსეთი კი სცილაა; სხვა არჩევანი არ გვაქვს და ისევ რუსეთს უნდა მივენდოთ; ამით, როგორც ზემოთ ილია მართალი დავიმოწმე, ენას, მამულს, სარწმუნოებას გადავარჩენთ და პერსპექტივაში ქვეყანასაც გავამთლიანებთ.

კარგა ხნის წინათ საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა ქართული წარმოშობის უმაღლესი რანგის ამერიკელმა გენერალმა **ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა** გვითხრა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთთან კარგი ურთიერთობით დაიბრუნებთო. მეც ასე ვფიქრობ, თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე გართულდა. **რუსეთის ნდობის მოპოვება და მასთან სტაბილურად კარგი ურთიერთობის დამყარება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ კონსტიტუციურად დავაკანონებთ უარს წყეულ ნატოსა და ევროკავშირზე, მოვაშორებთ ოფისებსა თუ კაბინეტებს ევროკავშირის ლურჯ დროშებს; წინასწარი პირობების წაყენების გარეშე, ჩვენი ინიციატივით აღვადგენთ დიპლომატიურ ურთიერთობას და მყარად შევბრუნდებით რუსეთისკენ.** ბევრჯერ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ: **უნდა ვიმოქმედოთ ისე, როგორც ფინეთის დიდად გამოცდილი, გეოპოლიტიკურად მოაზროვნე პრეზიდენტი პაასიკივი.** ფინეთს უნდა მიბაძოს საქართველომ და ჩვენი ქვეყნის სამხედრო ნეიტრალიტეტის გარანტი რუსეთი იქნება.

მაგრამ „ქოც-ნაცური“ პარლამენტი და ხელისუფლება, რომლებიც აშშ-დასავლეთის კლანჭებში არიან მოქცეულნი, ვერ იტყვიან უარს წყეულ ნატოზე, ვერც ევროკავშირზე, ვერც ლესბოსურ-პედერასტულ ფასეულობებზე, რომლებსაც დაჟინებით გვახვევენ თავს.

იმედი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უნდა დავამყაროთ, ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ პატრიოტული ძალები, რომლებიც გადაჭრით იტყვიან უარს ნატოში გაერთიანებაზე და ამ უარს კონსტიტუციურად დააკანონებენ. უნდა გამოჩნდეს ქართველი პაასიკივიც — იგი ჰაერივით სჭირდება საქართველოს; სულერთია, ქალი იქნება თუ მამაკაცი. უნდა ვიცოდეთ, რომ საგარეო-პოლიტიკური კურსის რადიკალური შეცვლა და რუსეთისკენ ორიენტაცია არ იქნება უმტკივნეულო პროცესი. აშშ-ს ნაყიდი აქვს საქართველო მილიარდობით დოლარის საფასურად და მას იოლად როდი დათმობს. **საქართველოს მოუწევს აშშ-ისაგან თავის გამოსყიდვა. ეს უნდა მოხდეს სააკაშვილისა და მისი ვაინაციონალების ხარჯზე, რომლებსაც მილიარდები აქვთ მითვისებული. არც ის იქნება გამორიცხული, რომ თვით ბიძინა ივანიშვილმაც გაიღოს 4-5 მილიარდი, თუ სურს, საქართველოს უახლოეს ისტორიაში ეროვნულ მოღვაწედ შევიდეს.**

აქედანვე ვემზადოთ ძალების გასაერთიანებლად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გასამარჯვებლად და ქართველი ხალხის თვითგვემის საშინელი პროცესის დასასრულებლად.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეთრ სახლში ფიქრობდნენ მსოფლიოს ომის შემდგომ რუკაზე, რუსეთის მძლავრ არმიაზე, რომელმაც გაანადგურა „ათასწლიანი“ რაიხი, და იმედს ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ამყარებდნენ. ბომბები უნდა აფეთქებულიყო. რადაც უნდა დამჯდარიყო.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-37 (315-319)

სპეციალური ქვედანაყოფი 509 მუშაობდა და ცხოვრობდა მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში. თითოეულმა ჩვენგანმა კონტრდაზვერვის ფილტრში გაიარა და ყველას ცხოვრება დისტილირებული წყალივით სუფთა იყო. ითვლებოდა, რომ ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდიოდა, თუ რისთვის გვამზადებდნენ. გენერალმა გროვსმა — ბებერმა „ჯი-ჯიმ“ — მკაცრი დასჯა იცოდა და ვაი მათ, ვინც „უშიშროების წესებს“ დაარღვევდა.

სმითი შტაბის ახლომახლო დაყიალობდა და ცდილობდა, იშვიათად მოგვხვედროდა თვალში და, მაშასადამე — ენაზეც.

ორი წის წინათ ამ დღეებისადმი მიძღვნილი ჰოლივუდის ფილმი ვნახე. ჩვენ მართლაც გვქონდა იმ დღეებში ასეთი ნევრასთენიული სახეები, როგორც მსახიობებს, რომლებიც „ენოლა გეის“ პილოტების როლებს თამაშობდნენ, თუმცა იმიტომ არა, რომ მომავლის შიში გვქონდა. როგორც მახსოვს, სინდისი არც მე მაწუხებდა და არც დანარჩენებს. ყველაზე უფრო ნაკლებად ჰიროსიმაზე ვფიქრობდით. ჰოლივუდელი რეჟისორებისათვის ეს ცნობილი იყო. არ მესმის, რაში დასჭირდათ ჩვენი გამოყვანა მოვალეობის მსხვერპლად.

მაშინ ჩვენ მსხვერპლნი არ ვიყავით. ვმუშაობდით. ხოლო, რაც შეეხება იდეებს, მათზე შეიძლება კოუპლენდის სიტყვებით ვთქვათ: **„არმიის ყველაზე მძლავრი იარაღი მისი იდეალებია, მაგრამ ამ სახის იარაღი, როგორც ყველა სხვა, ერის მიერ უნდა იყოს გამოჭედილი“.**

ჩვენ ჯერ კიდევ გვქონდა იდეალები.

იმ ხანებში ჩვენ ჯერ კიდევ გულუბრყვილონი ვიყავით, გვიყვარდა ჩვენი წარსული — წყნარი და სასიამოვნო; უსიამოვნო მოგონებები როგორღაც ამოვარდა მეხსიერებიდან. გვიყვარდა ჩვენი ცოლები, შვილები და დედები. სენტიმენტალურმა **პოლ ტიბეტსმა თავის ბომბდამშენს დედის სახელი — „ენოლა გეი“ — უწოდა. ჩარლზ რეინის ბიჭების ფანტაზია სამხედრო თემისაკენ იყო მიმართული და მათ თავიანთ მანქანას, დაბომბვის ასის — პოდპოლკოვნიკ ბოკის ხსოვნის აღსანიშნავად, მეტსახელი „ბოკის ეკიპაჟი“ შეარქვეს. მათ ჯიბრზე ჩვენს „B-29“-ს „სთრეით ფლეში“ — „სწორი ისარი“ („სთრეით ფლეში“ პოკერში შეესაბამება „კოზირს“) ვუწოდე.**

სინდისი?

არა, სინდისი არ გვაწუხებდა.

საკვირველია, მაგრამ პირველად იგი ფიზიკოსებს გაახსენდათ. მათ, ვინც შექმნეს ატომური დანადგარი.

მე წავიკითხე **ლეო სცილარდის** მოგონებებში: **„ჩვენ შეძრწუნებულები ვფიქრობდით, თუ კიდევ რა საშიშ გეგმებს აწყობს ამერიკის მთავრობა, გეგმებს, რომლებიც სხვა ქვეყნების წინააღმდეგ არის მიმართული“.** სცილარდი, ეს კაბინეტის თხუნელა, უვარგისი პოლიტიკოსი იყო. მაგრამ მაინც ის მიხვდა ყველაზე პირველი. როგორც უნდა ცუდად გარკვეულიყო პოლიტიკურ წვრილმანებში, მას შეგნებული ჰქონდა, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა. აგიტატორი გახდა. სადაც კი შეეძლო, ყველგან მომხრეებს იძენდა. ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ ჩიკაგოს უნივერსიტეტში შეიქმნა კომისია, რომელშიც მსოფლიო სახელის მქონე მკვლევარები შედიოდნენ. მისი თავმჯდომარე იყო ნობელის პრემიის ლაურეატი **ჯეიმს ფრენკი.**

კომისიამ თეთრ სახლს მოხსენება წარუდგინა.

**„მიგვაჩნია, რომ... ვალდებულნი ვართ, გირჩიოთ, არ გამოიყენოთ ნაადრევად ატომური ბომბი იაპონიაზე თავდასასხმელად. თუ ამერიკის შეერთებული შტატები პირველი დაატეხს თავს კაცობრიობას განადგურების ამ ბრმა იარაღს, ისინი... დააჩქარებს გამალებულ შეიარაღებას“.**

მეცნიერები, რომლებმაც ნობელის პრემიის ლაურეატ ჯეიმს ფრენკის მოხსენებას მოაწერეს ხელი, ისე ცნობილი იყვნენ, რომ სამხედროებმა ვერ გაბედეს, მათი დასკვნები მიეჩქმალათ. კოლოსალური სკანდალი მწიფდებოდა. გროვსისა და პოლკოვნიკ პაშის მიერ მიღებული წინასწარი ზომების მიუხედავად, მოხსენების იდეათა ექომ ბევრის ყურამდე მიაღწია.

სწორედ მაშინ მოავლინეს ქვეგანაყოფ 509-ში კონგრესმენი სმითი.

ფილმში ყველაფერია: მოტორების ხმაური, იდიოტიზმამდე დაძაბული სახეები, წარმატება და უიღბლობა. მასში მხოლოდ ერთი რამ არ არის — კონგრესმენი სმითი, უსუსური ადამიანი ჯაშუშის შემპარავი მანერებით.

ერთხელ ჯომ უთხრა ჯგუფის მეთაურს:

— სანამ ის აქაა, წარმატების იმედი ნუ გექნებათ, სერ.

მეთაურმა მხრები აიჩეჩა.

— არ შემიძლია მისი გაგდება.

არ თქვა რატომ; ისედაც ნათელი იყო.

კონგრესს უკვე მაშინ აღარ სჯეროდა ჩვენი.

ჩვენ გვწამდა კონგრესისა.

იმდენად გვწამდა, რამდენადაც „რწმენა“ მიესადაგება სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მანქანის გრძნობებს. ძალიან დიდხანს გვასწავლიდნენ კვლას და ჩვენივე მსგავსთა განადგურების წყურვილმა გამოდევნა ყველა სხვა სურვილი.

და მაინც, პოლიტიკოსებს ეჭვი ეპარებოდათ მექანიზმის საიმედოობაში. მანქანის გამოცვლა ძალიან ძვირი სიამოვნებაა. **ჩვენი სწავლება გადასახადის გადამხდელებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ. ამას გარდა, ახალი ეკიპაჟების მომზადებას დრო სჭირდებოდა, შეიძლება, ნახევარი წელიც. ამ დროისთვის კი ციმბირის დათვს კვანტუნის არმიისთვის ხერხემალი ექნებოდა გადამტვრეული და ატომური ბომბები გამოუყენებელი დაგვრჩებოდა.**

**ატომური ბომბები განსაზღვრავდნენ ჩვენს საგარეო პოლიტიკას.**

წლების მანძილზე, მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე.

**თეთრ სახლში ფიქრობდნენ მსოფლიოს ომის შემდგომ რუკაზე, რუსეთის მძლავრ არმიაზე, რომელმაც გაანადგურა „ათასწლიანი“ რაიხი, და იმედს ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ამყარებდნენ.**

**ბომბები უნდა აფეთქებულიყო.**

**რადაც უნდა დამჯდარიყო.**

სმითი კონგრესის უბრალო ემისარი არ იყო. იგი საიდუმლოობაზე, ავიაჯგუფის ოფიცერთა „კარგ ქცევაზე“ იყო პასუხისმგებელი.

სმითი ჩვენთან ერთად ტინიანზე გადმობარგდა. ბიჭები რომ არ გაეღიზიანებინა, ხაკისფერი სამხედრო ფორმა სამოქალაქო თეთრი კოსტიუმით შეცვალა. ადვილი შესაძლებელია, ასე სიცხეების გამო მოიქცა — მარიანის კუნძულებზე ივლისში სამხედრო კოსტიუმის ტარება არაჰიგიენური იყო, სმითი კი თავის ჯანმრთელობას ძალიან უფრთხილდებოდა.

როდესაც მას უთხრეს, ადგილობრივი ბრინჯი ფალარათს იწვევსო, იგი მაშინვე კონსერვებზე გადავიდა.

ჩვენ ვჭამდით ბრინჯს და არაფერი გვაწუხებდა. ჯომ, უბრალოდ, გააცურა სმითი.

საღამოობით ჯო მხურვალედ ლოცულობდა, პალმის ხიდან მწიფე ქოქოსი ჩამოვარდნილიყო და სმითისთვის თავი გაეჭეჭყა. ქოქოსები ცვიოდა, მაგრამ „მიზანში“ არ ხვდებოდა.

ჩვენ ვისვენებდით და ზანტად ვემალებოდით რეპორტიორებს, რომლებმაც ისეთი რაოდენობით მოიყარეს თავი, როგორიც მიკრონეზიას არ ახსოვდა მაგელანის მიერ მისი აღმოჩენის დღიდან.

„ენოლა გეი“ კუნძულს ყოველდღიურად დასტრიალებდა თავზე. ჩვენთან ერთად დაფრინავდა ლოს-ალამოსელი ფიზიკოსი ალვარეცი. იგი ამოწმებდა თავის ხელსაწყოებს, რომლებიც „გალეულთან“ ერთად უნდა ჩამოგვეყარა.

„გალეული“ ჯერ არ ჩამოეტანათ ტინიანზე. 16 ივლისს სან-ფრანცისკოში იგი დატვირთეს ფლოტის ყველაზე სწრაფ კრეისერ „ინდიანაპოლისზე“ და დასასვენებლად მიმავალი მილიონერივით კომფორტაბელურად გაამგზავრეს ოკეანის გაღმა. „გალეულს“ თავისი კაიუტა და მსახურები ჰყავდა.

საღამოობით მოწყენილები ჰამაკებში ვიწექით. ყველანი რაღაც ფხუკიანები გახდნენ.





**პოლ ტიბეტსმა თავის ბომბდამშენს დედის სახელი — «ენოლა გეი» — უწოდა. ჩარლზ რეინის ბიჭების ფანტაზია სამხედრო თემისაკენ იყო მიმართული და მათ თავიანთ მანქანას, დაბომბვის ასის — პოდპოლკოვნიკ ბოკის ხსოვნის აღსანიშნავად, მეტსახელი «ბოკის ეკიპაჟი» შეარქვეს. მათ ჯიბრზე ჩვენს «B-29»-ს «სთრეით ფლეში» — «სწორი ისარი» («სთრეით ფლეში» პოკერში შეესაბამება «კოზირს») ვუწოდე**

საუბარი გადაჭარბებულად ზრდილობიან ტონში მიმდინარეობდა, რომლის მიღმაც იმალებოდა შეკავებული სიბრაზე. ჯო ახერხებდა ყოველ საღამოს დამთვრალიყო, ამიტომ მას რეპორტიორებსა და სმითს ვუმალავდით.

**ყველა რაღაცას ელოდებოდა და ეს „რაღაცაც“ მოხდა. „ინდიანაპოლისმა“ გადმოტვირთა „გალეული“ და შტატებისკენ გაბრუნდა. მეორე დღეს, 30 ივლისს, იგი დაატორპედა იაპონურმა წყალქვეშა ნავმა. მაშველებმა 1196 კაციდან ცოცხალი მხოლოდ 316 კაცი ამოიყვანეს.**

— ნახევარზე მეტი შიშისაგან შეიშალა, — თქვა ჯომ.

ის არ შემცდარა.

**ბომბი ჯერ არ აფეთქებულიყო და უკვე მსხვერპლს მოითხოვდა. „ინდიანაპოლისის“ ეკიპაჟის წევრები პირველები არ იყვნენ. სიკვდილის ანგარიში გახსნა ოპენჰეიმერის საყვარელმა ჯეინ ტეტლოკმა. ორმოცდაოთხში მან თავი მოიკლა, არავინ იცოდა — რატომ.**

**ატომური ბომბი ჯერ არ დაბადებულიყო, რომ უბედურების მოტანა დაიწყო. ოპენჰეიმერის უახლოესი მეგობარი, პროფესორი ჰაკონ შევალიე პოლკოვნიკ პაშის მოთხოვნით თანამდებობიდან გადააყენეს. პაშმა ეჭვი მიიტანა, რომ იგი ფარული კომუნისტი იყო. ოპენჰეიმერს შეეძლო შევალიეს გადარჩენა, მაგრამ ეს არ გააკეთა და შევალიე შტატებიდან გაასახლეს.**

თვითონ ოპენჰეიმერსაც ცოტა მეტად თუ გაუმართლდა, ორმოცდათოთხმეტში საბოლოოდ გაიფუჭა კარიერა. პაშის უფროსმებმა ატომური ბომბის „მამამდეც“ მიაღწიეს და იგი ბრალდებულის სკამზე დასვეს.

ჯოჯოხეთის ბომბი მსხვერპლს მოითხოვდა!

ერთ-ერთი მსხვერპლთაგანი დედაჩემი იყო; ჩემმა „გმირობამ“ მას ბოლო მოუღო. ნაგასაკის ატომური დაბომბვის შემდეგ ჩვენ როჯერ ფილდის აეროდრომზე, დავჯექით სან-ფრანცისკოს ახლოს. მეკავშირეებმა დეპეშა გადმომცეს: დედაჩემი მომკვდარიყო.

„ხიროსიმა შურისძიებას იწყებს — გავიფიქრე მე — ჩვენ ყველაფრისათვის მოგვეზღვება“.

დედაჩემი მხოლოდ ერთ-ერთი იყო უამრავ მსხვერპლს შორის.

მას სხვები მიჰყვნენ.

**გაგრძელება იქნება**

**რუსულ სხვადასხვა იარაღსა და საბრძოლო მასალებს ჰქვია: „გრაჩი“ („ჭილყვავი“); „ვასილეკი“ („ღიღილო“); „გვოზდიკა“ („მიხაკი“); „შალუნი“ („ანცი“); „პოდკიდიში“ („მიგდებული ბავშვი“); „კატიუშა“. ამერიკელებმა კი ატომურ ბომბებს, რომლებმაც წამებში აღგავეს პირისაგან მიწისა იაპონური ქალაქები — ჰიროსიმა და ნაგასაკი, და დახოცეს დაახლოებით 500 ათასი ადამიანი, „ბიჭუნა“ და „ბღენძი“ უწოდეს.**

პაჩა ბეღუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ბურატინო» «პეონისა» და «მიხაკების» თაიგულით: რომელი «ზოოპარკის» ცხოველებით არიან შეიარაღებული სამხედროები

**იარაღის კონსტრუქტორები და სამხედროები, როგორც ჩანს, შავი იუმორის დეფიციტს არ განიცდიან: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არმიის არსენალში არსებულ მომაკვდინებელ იარაღს, მათ შორის, მასობრივი განადგურების, უცნაური სახელები ჰქვია. თუმცა, თუ ამერიკელები და გერმანელები იარაღსა და სამხედრო ტექნიკას, ძირითადად, ცხოველების სახელებს არქმევენ, რუსები იარაღს უფრო ხშირად ფრინველებისა და ყვავილების სახელებს ურჩევენ.**

მაგალითად, გერმანული ტანკების სახელწოდებებია: **„ვეფხვი“, „პანტერა“** (მეორე მსოფლიო ომში იმ ტანკებით იყო შეიარაღებული ვერმახტი), **„ლეოპარდი“** (თანამედროვე გერმანული ტანკი), ამერიკულ ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსს **„დრაკონი“** ჰქვია, რუსებმა კი ტანკსაწინააღმდეგო რეკეტა 9M14M-ს **„მალიუტკა“** („ჩვილი“) დაარქვეს, ტანკ-„T72“-ს კი — **„როგატკა“** („შურდული“). რუსულ სხვადასხვა იარაღსა და საბრძოლო მასალებს ჰქვია: **„გრაჩი“** („ჭილყვავი“), **„ვასილეკი“** („ღიღილო“), **„გვოზდიკა“** („მიხაკი“), **„შალუნი“** („ანცი“), **„პოდკიდიში“** („მიგდებული ბავშვი“), **„კატიუშა“.** ამერიკელებმა კი ატომურ ბომბებს, რომლებმაც წამებში აღგავეს პირისაგან მიწისა იაპონური ქალაქები — ჰიროსიმა და ნაგასაკი, და დახოცეს დაახლოებით 500 ათასი ადამიანი, **„ბიჭუნა“** და **„ბღენძი“** უწოდეს.

## მხეცები და „ზოოპარკი“

ბუზი მავნე მწერია, მაგრამ, რადგან ბუნებამ შექმნა, რაღაცისთვის საჭიროა. როგორც ჩანს, ასე იფიქრეს იარაღის რუსმა კონსტრუქტორებმა და 64-მმ-იან ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა **РПГ-18-ს „მუხა“** („ბუზი“) უწოდეს. ზღვაზე მხეცის თვისებებს ავლენს ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა **„მოსკიტი“.** მიზნიდან 30-40 კმ-ის დისტანციაზე რაკეტა ზევით ადის, თვითდამიზნების სისტემით „იჭერს“ მიზანს და ავითარებს საათში 1000 კმ-ს, ბოლო კილომეტრებს კი რაკეტა დაბალ სიმაღლეზე (10 მ-ზე) ფარავს და მიზანთან მიახლოებისას ზიგზაგისებურად მოძრაობს, რაკეტსაწინააღმდეგო დარტყმა რომ აიცილოს.

„მოსკიტის“ ფრენას რადარები ვერ ხედავენ, მათ წინააღმდეგ უძლურია საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. ამერიკელებმა ამ რუსულ რაკეტას „მზისგან დამწვრობა“ უწოდეს. ერთი „მოსკიტიც“ კი საკმარისია ავიამზიდის ჩასაძირავად. რუსული არმიის შეიარაღებაშია 140 მმ-იანი რეაქტიული ჭურვი **„ბელკა“** („ციყვი“), მობილური რობოტოტექნიკური კომპლექსი MPK-25 **„კუზნეჩიკი“** („კალია“), სამიზნიანი სარაკეტო კომპლექსი **„კაბანი“** („ტახი“), თვითდამიზნების სისტემის მქონე ტორპედო **„ენოტი“.**

**„ზოოპარკი“** კი საარტილერიო დაზვერვის რადიოლოკაციური კომპლექსია.



**„ჭილყვავი“ („გრაჩ“) — ეს არის დაჯავშნილი მოიერიშე თვითმფრინავი СУ-25, რომლის დანიშნულებაა სახმელეთო ჯარების მხარდაჭერა ბრძოლის ველზე, აგრეთვე, სამიზნეების განადგურება ნებისმიერ ამინდში. აღჭურვილია ავიაქვემეხებით, სამართავი და უმართავი რაკეტებით — „ჰაერი-მიწა“, „ჰაერი-ჰაერი“. ჰაერში პირველად აფრინდა 1975 წლის 22 თებერვალს. უშვებს თბილისის სარაკეტო ქარხანა.**



**„T 72“ — „როგატკა“ („შურდული“).**

**T-72 — სსრკ-ში ყველაზე მასობრივად წარმოებული მე-2 თაობის ტანკია. ეკიპაჟი სამი კაცისგან შედგება. ძირითადი იარაღია 125 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი, რომელიც დაწყვილებულია ტყვიამფრქვევთან. ტანკი აღჭურვილია თვითდამიზნების ლაზერული რაკეტებით, მოქმედების სიშორე 4 კმ-ია. T-72 — შეუძლია წყალქვეშ მოძრაობა და ბარიერების დაძლევა 5 მ სიღრმეში. რუსმა სამხედროებმა მას „როგატკა“ („შურდული“) შეარქვეს.**

## ყვავილების ბაღი

იარაღის სახელწოდებებში არის „ყვავილოვანი“ სერიაც. ყველაზე შორს მოქმედ რუსულ იარაღს, 152-მმ-იან ზარბაზანს, **„გიაცინტი“** („სუმბული“) უწოდეს, 203 მმ-იან ქვემეხს — **„პიონი“** (ქართ. — „პეონი,“ იორდასალამი), თვითმავალ ჰაუბიცა 2C1-ს — **„გვოზდიკა“** („მიხაკი“), ჰაუბიცა 2C3-ს — **„აკაცია“,** ხოლო 82-მმ-იან ნაღმსატყორცნ 2Б9-ს — **„ვასილეკი“** („ღიღილო“).

## „ღიმილი“, „ღელვა“ და „ბურატინო“

**„ულიბკა“** („ღიმილი“) — ასე უწოდეს რუსმა კონსტრუქტორებმა მეტეოროლოგიური დანიშნულების მობილურ რადიოტექნიკურ კომპლექსს, ზალპური ცეცხლის კომპლექს „სმერჩის“-თვის განკუთვნილი რეაქტიული ჭურვის (9M55C) თერმობარულ ქობინს კი **„ვოლნენიე“** ანუ „ღელვა“ დაარქვეს. და, რა თქმა უნდა, ღელვას, შფოთვასა და საშინელ შედეგს გამოიწვევს აფეთქება ისეთი ჭურვისა, რომელიც მიზნის გარშემო 25 მ დიამეტრის თერმულ ველს ქმნის და ყველაფრის გადაბუგვა შეუძლია.

თუმცა არის სხვა სახელწოდებებიც, რომლებიც არანაკლებ უცნაურია...

ამერიკულმა გამოცემა Popular Mechanics-მა ვრცელი მასალა (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №35. 30 სექტემბერი — 6 ოქტომბერი, 2015 წ.) მიუძღვნა რუსულ მძიმე ცეცხლსატყორცნ სისტემას, სახელწოდებით **„ბურატინო“.**

„ბურატინო“ — ეს არის ზალპური ცეცხლის მართლაც ძალიან მძლავრი სისტემა, რომელსაც შეუძლია მოცულობით-დეტონაციური მოქმედების რაკეტების გასროლა. ასეთი რაკეტების გასროლის შედეგი ჰგავს მცირე სიმძლავრის ატომურ აფეთქებას — რაკეტის აფეთქებისას მიზნის გარშემო ტემპერატურა 3000 გრადუსს აღწევს.

აი, რას წერდა ზემოხსენებული ამერიკული გამოცემა Popular Mechanics-ი „ბურატინოზე“ მასალაში, რომლის სათაურია „რუსულ „ბურატინოს“ შეუძლია, ჯოჯოხეთი მოაწყოს დედამიწაზე:

**„ბურატინოს“ შეუძლია, ცეცხლი გახსნას თერმობარული (მოცულობითი აფეთქების საბრძოლო მასალა, ვაკუუმური ბომბი) რაკეტებითაც. გაშვების შემდგომ თერმობარული ჭურვები მიზნის გარშემო ქმნიან საწვავი სითხის ღრუბელს, შემდეგ კი მას ცეცხლს უჩენენ. აფეთქება და დარტყმის ტალღა ძალიან მძლავრია, მიზნის გარშეო კი ჟანგბადი სრულიად შთაინთქმება. ეს ამ სისტემას საშინელ იარაღად აქცევს ქვეითთა წინააღმდეგ გამოყენების შემთხვევაში, ან იმ სამხედროების მიმართ, რომლებმაც თავი ბუნკერს ან გამოქვაბულს შეაფარეს.**

**ცეცხლსატყორცნი სისტემის სრულ ზალპს, რომელიც 24 რაკეტისგან შედგება, შეუძლია, ქალაქის 8 კვარტალი ფერფლად აქციოს და მათ, ვინც დარტყმის ზონაში აღმოჩნდება, ჯოჯოხეთი მოუწყოს“.**

აღსანიშნავია, რომ „ბურატინოს“ ახალი მოდიფიკაცია — „სოლნცეპეკი“ გაცილებით მძლავრია — ზალპის შემდეგ მიზნის ადგილს ნაცარტუტად აქცევს და რამდენიმე ჰექტარზე „მთვარის გრუნტს“ ტოვებს.



„ვასილეკი“ („ღიღილო“)



რაკეტა „მოსკიტი“



„ზოოპარკი“

## ლეგენდარული იარაღი

## ყუმბარსატყორცნი РПГ-7

**ტანკსაწინააღმდეგო ხელის ყუმბარსატყორცნი პაგ-7 მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტანკსაწინააღმდეგო იარაღია. მას მოწინააღმდეგის ყველა სახეობის ჯავშნიანი ტექნიკური საშუალების წინააღმდეგ იყენებენ, ზოგჯერ კი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, — ქვეითებისა და დაბალ სიმაღლეზე მფრინავი მინების წინააღმდეგაც.**

ეს იარაღი საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გამოუშვა. დამზადების სიიაფისა და მაღალი ხარისხის გამო, დღემდე 9 მლნ ერთეულია გამოშვებული. სწორედ ამიტომ იქცა ეს ყუმბარსატყორცნი კალაშნიკოვის ავტომატთან (AK-47) ერთად ლეგენდარულ იარაღად. РПГ-7 მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს აქვს, მათ შორის, აშშ-ის, რომელმაც ამ იარაღის გამოსაყენებლად ავღანეთის პოლიცია გაწვრთნა.



მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფობიები ადამიანის ცნობიერებაში მისი სურვილისგან დამოუკიდებლად ჩნდება და ადამიანი ვერ ახერხებს მათ განდევნას. ფსიქიატრთა აზრით, ფობია ყველაზე ხშირად ასთენიურ და შიზოიდურ პიროვნებებს იპყრობს, თუმცა განსაზღვრულ პირობებში, შესაძლოა, ფსიქიკურად გაწონასწორებულ ადამიანსაც დაემართოს.**

# ზოგი რამ ფობიების შესახებ

**ფობია (ბერძნულად „ფობოს“ შიშს ნიშნავს) რაიმე სიტუაციის, ობიექტის, საქმიანობის, მდგომარეობის, მოვლენის, ადამიანის, ცხოველის ან მწერის მიმართ ძლიერი, პანიკური შიშია. ამ ანომალიის ძირითადი სიმპტომია შიშის მომგვრელი ობიექტისგან თავის არიდების გადამეტებული, გაუმართლებელი სურვილი და მოთხოვნილება. როდესაც ამგვარი შიში კონტროლს აღარ ექვემდებარება ან ადამიანს ყოველდღიურ საქმიანობაში ხელს უშლის, ის უკვე ნერვული გადახრა-ანომალიის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.**



ფობიები შიშით გამოწვეული დარღვევების (პანიკური დარღვევა, პოსტ-ტრავმული შიში და სხვ.) ყველაზე ხშირი ფორმაა. ფობიები უძველესი დროიდან არის ცნობილი. მაგალითად, ჰიპოკრატე თავის ერთ-ერთ პაციენტზე წერდა: „მას ეშინია, როცა გოგონა ფლეიტაზე უკრავს. როგორც კი პირველ ბგერებს გაიგონებს, მაშინვე პანიკური შიში იპყრობს“.

შიში და ემოცია უხსოვარი დროიდან წარმოადგენს მეცნიერთა ინტერესის საგანს. ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და ფიზიოლოგები თავისებურად ხსნიან ამ ფენომენს. სოციოლოგები და პოლიტოლოგები ემოციებს ადამიანთა მანიპულირების საშუალებად აღიქვამენ; ფსიქოლოგები მათში დამცავ ფუნქციას ეძებენ, რომელიც ინდივიდს ექსტრემალურ სიტუაციაში გადარჩენის საშუალებას აძლევს; ფსიქიატრების აზრით, შიში ერთგვარი დაავადებაა, რომლისგანაც აუცილებელია პაციენტის განკურნება; ფიზიოლოგებისთვის კი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის ფიზიოლოგიური ძვრები, რომლებიც შიშისა და ემოციის აღმოცენებისას ორგანიზმში მიმდინარეობს.

**შიში ადამიანის უძველესი ემოციაა, რომელიც მას გადარჩენის შანსს აძლევს, ამიტომ მასზე პასუხისმგებელი ტვინის სტრუქტურები თავის ტვინის ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული.** მათ ერთობლიობას ლიმბურ სისტემას უწოდებენ. თავდაპირველად ეგონათ, რომ ნერვულ სისტემაში ერთი ცენტრი იყო, რომელიც საფრთხის დროს აქტიურდებოდა და ადამიანს თავის გადარჩენისკენ უბიძგებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამას ორი სტრუქტურა ემსახურება: ერთი შიშის რეაქციას იწვევს, მეორე — საშიშროებისგან გარიდებს.

რა ხდება ადამიანის ორგანიზმში, როდესაც მას შიში იპყრობს? — უპირველეს ყოვლისა, აქტიურდება სიმპათიკური ნერვული სისტემა, ხდება ენერგეტიკული რესურსების მობილიზება და ორგანოთა სისტემები მოქმედების სხვა რეჟიმზე გადადიან. ნერვული სისტემის გააქტიურება იწვევს გულისცემის გაძლიერებას („შიშისგან გული ამოვარდა“), გუგების გაფართოებას („შიშს დიდი თვალები აქვს“), მუხრუჭდება საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების მოქმედება („შიშისგან პირი გამიშრა“). პარალელურად აქტიურდება ენდოკრინული სისტემა, რომელიც საშიშ სიტუაციებში სისხლში გადაისვრის შიშის ჰორმონს — ადრენალინს. სწორედ ადრენალინის დამსახურებაა სისხლძარღვთა სანათურის ძლიერი შევიწროება და სიფითრე, რომელიც სისხლნაკლებობის ნიშანია („შიშისგან ფერი დაკარგა“).

ფობია, ფაქტობრივად, არის არარეალისტური, ინტენსიური შიში, რომელიც აფერხებს პიროვნების სოციალიზაციას, ხელს უშლის მას მუშაობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანებთან და კონკრეტულ საგნებთან ურთიერთობაში. თუ ადამიანს იშვიათად აქვს კონტაქტი შიშის ობიექტთან, ზიანი პრაქტიკულად არ ადგება, მაგრამ, თუ შიშის გამომწვევი ობიექტი მუდმივ სტრესფაქტორად ევლინება, ეს მის ჯანმრთელობას (და არამხოლოდ ფსიქიკურს) სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

**თანამედროვე ფსიქიატრების განმარტებით, ფობია არის შიშის ირაციონალური ეტაპი. ის აღმოცენდება არაფრისგან, ყოველგვარი ნებისა და ხილული მიზეზის გარეშე. ადამიანს თავს ატყდება ყოვლისმომცველი საშინელება, რომელიც არაადეკვატური საქციელის ჩადენას აიძულებს.** ამასთანავე, ავადმყოფი გრძნობს, რომ გარესამყაროში მისი ასეთი ქმედების საფუძველი არ მოიძებნება, მაგრამ რაიმეს შესაცვლელად უძლურია. ექიმები ამას პანიკური შეტევას უწოდებენ.

შიში არის ემოცია, რომელიც აღმოცენდება ორგანიზმის, მისი ფასეულობების, პრინციპებისა და იდეალების მიმართ რეალური ან წარმოსახვითი მუქარის შემთხვევაში. ჯერ კიდევ ფროიდის დროიდან მიღებულია შიშის დაყოფა რეალურ და ნევროზულ ფორმებად. რეალური შიში ჩვენთვის სავსებით გასაგებია. ეს არის გარეგანი საშიშროების აღქმის საპასუხო რეაქცია. ამ შემთხვევაში შიში მიზანმიმართულია და ასრულებს სიგნალის ფუნქციას: „საფრთხე ახლოს არის, მოემზადე თავდაცვისთვის ან გასაქცევად“. შიშის ეფექტის მომეტებულ გავრცელებას და ცხოვრებისეულ სიტუაციებზე შიშით რეაგირებისკენ ადამიანის მიდრეკილებას ფსიქოანალიზი გარკვეულწილად ფსიქიკაში შიშის ბირთვის არსებობით ხსნის.

ფსიქოანალიტიკოსებს შიშის პირველ გამოვლინებად მიაჩნიათ შიშის მდგომარეობა, რომელიც ბავშვის დედისგან მოცილებისას იჩენს თავს. რაც შეეხება ნევროზულ შიშს, აქ რამდენიმე ფორმას განასხვავებენ. პირველია ეგრეთ წოდებული თავისუფალი შიში — უსაგნო, ობიექტის არსებობის გარეშე წარმოქმნილი განცდა. ამ შიშს უწოდებენ ლოდინის შიშს ან ავადმყოფურ ლოდინს. ამ ფობიით დაავადებული ადამიანები ყოველთვის ცუდის მოლოდინში არიან. ფროიდი ამ მდგომარეობას შიშის ნევროზს უწოდებს.

**შიში ადამიანის უძველესი ემოციაა, რომელიც მას გადარჩენის შანსს აძლევს, ამიტომ მასზე პასუხისმგებელი ტვინის სტრუქტურები თავის ტვინის ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული**



შიშის მეორე ფორმა დიამეტრულად განსხვავდება აღწერილი მდგომარეობისგან და ფსიქიკურად უფრო მეტად არის დაკავშირებული ამა თუ იმ ობიექტთან ან სიტუაციასთან. ეს შიში ვლინდება მრავალფეროვანი და უცნაური ფობიის სახით. ზოგიერთი სიტუაცია ან ობიექტი დაუძლეველ შიშს ბადებს, მაშინ, როცა ნორმალურ ადამიანებს ამ სიტუაციისა თუ ობიექტის მიმართ მსგავსი რეაქცია არ აღენიშნებათ. ასეთი ფობიები (მაგალითად, ქვეწარმავლების ან მწერების ძლიერი შიში) გასაგებია, თუმცა გამოხატვის ფორმაა გადაჭარბებული.

თუ შიში ადამიანისთვის პრობლემად იქცევა და ხელს უშლის მის ყოველდღიურ ცხოვრებას, მას ფობიად განიხილავენ. ტერმინ **ფობიის** შინაარსი მეტად მრავალფეროვანია.

ყველაზე ხშირად გვხვდება აგორაფობია, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ გაშლილი სივრცის შიშს, არამედ სხვა ფობიებსაც, კერძოდ, ხალხმრავლობის შიშს, როდესაც ადამიანს არ აქვს საშუალება, დაუბრუნდეს მისთვის უსაფრთხო ადგილს, შინიდან გასვლისა და მაღაზიაში შესვლის შიშს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მეტროთი, მატარებლით, თვითმფრინავით) მარტო მგზავრობის შიშს. ზოგს სიმაღლის ეშინია, ზოგს — ჩაკეტილი კარის. არიან ადამიანები, რომელთაც პანიკური შიში აქვთ მიკრობების, ჭექა-ქუხილის, მჭრელი და ბასრი საგნების, ჩრდილოეთის ციალის, ვარსკვლავების, მთვარის, ღრუბლების, კომეტების, სამგლოვიარო რიტუალის, უსასრულობის, მზის სხივის, გრძელი სიტყვების წარმოთქმის, რიცხვი 4-ის, რიცხვი 13-ის, თოვლის, ბავშვების, სიახლის, ნემსის, ოთახების, კომპიუტერის, საუბრის, თეთრი ფერის, ნივრის, მაღლა ახედვის, ანგინის ან თვით ფობიების მიმართ. არიან ისეთებიც, ვისაც თოჯინის გამოხედვისაც კი ეშინია. ყოველგვარი შიშისა და ფობიის ჩამოთვლა შეუძლებელია.

**ფობიები ადამიანის ცნობიერებაში მისი სურვილისგან დამოუკიდებლად ჩნდება და ადამიანი ვერ ახერხებს მათ განდევნას. ფსიქიატრთა აზრით, ფობია ყველაზე ხშირად ასთენიურ და შიზოიდურ პიროვნებებს იპყრობს, თუმცა განსაზღვრულ პირობებში, შესაძლოა, ფსიქიკურად გაწონასწორებულ ადამიანსაც დაემართოს.** სხვადასხვა ქვეყანაში ფობიებით შეპყრობილი ადამიანები მოსახლეობის 2-9%-ს შეადგენენ. მათი უმრავლესობა 25-დან 50 წლამდე ასაკის შრომისუნარიანი პირია. კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ფობიები ყველა ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ყველაზე გავრცელებული სულიერი ავადმყოფობაა, ხოლო 25-წლის ზევით მამაკაცებში — რიგით მეორე. ამერიკელი მეცნიერების მიერ შედგენილ სამედიცინო ტერმინოლოგიის ლექსიკონში აღწერილია 400 სახის ფობია, თანაც მათი რაოდენობა ცივილიზაციის ახალი მიღწევების გაჩენასთან ერთად იზრდება. სტატისტიკის თანახმად, დედამიწის ყოველი მერვე მკვიდრი ერთი ან რამდენიმე სახის ფობიით არის შეპყრობილი.

დიდხანს ეგონათ, რომ აკვიატებული მდგომარეობის ფენომენი შიზოფრენიის ერთ-ერთი გამოვლინება იყო. ამჟამად კი ფობიას დამოუკიდებელ დაავადებად განიხილავენ, ვინაიდან ამ სენით შეპყრობილი ადამიანები შიზოფრენიით დაავადებულნი ნამდვილად არ არიან.

ინგლისელმა ფსიქოთერაპევტმა ფრედერიკმა ფობიებს „ჭკვიანი ადამიანების სისულელეები“ უწოდა იმიტომ, რომ ფობიები, ძირითადად, ინტელექტუალებს აღენიშნებათ. ეს დაავადება, შიზოფრენიისგან განსხვავებით, არ იწვევს პიროვნების შეცვლას, უფრო მეტიც — ფობიით დაავადებულებს ფსიქიკური მოშლილობის სხვა სახეები არ აღენიშნება.

ფობიის ნამდვილი მიზეზი არავინ იცის. ზოგი სპეციალისტის აზრით, აკვიატებული შიშის საფუძ-







**ფობიების მკურნალობისთვის ამჟამად ტრანკვილიზატორები გამოიყენება, თუმცა ამ პრეპარატების ხშირი, უსისტემო მიღება დამოკიდებულების ჩამოყალიბებას იწვევს, ამიტომ მიზანშეწონილია, მკურნალობა მცირე ხანს (არა უმეტეს 2 კვირისა) გაგრძელდეს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ველს ფსიქოლოგიური ფაქტორები წარმოადგენს, ზოგი კი დამნაშავედ ბიოლოგიურ ფაქტორებს მიიჩნევს, მაგრამ ფაქტები და მათი ანალიზი ამტკიცებს, რომ მიზეზი უმეტესად ორივე ტიპის ფაქტორთა თანხვედრაა. შეინიშნება ფობიის მემკვიდრეობითობის ტენდენცია: თუ ერთ-ერთ მშობელს რაიმე სახის ფობია აღენიშნება, არსებობს ალბათობა, რომ ის შვილსაც დაემართოს. ესპანელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს ის ოჯახები, რომელთა წევრებიც ამა თუ იმ ფორმის ფობიით იყვნენ შეპყრობილნი და დაამტკიცეს, რომ ფსიქიკის ეს გადახრა ათიდან ცხრა შემთხვევაში თანდაყოლილია. ამერიკელი მეცნიერის, ნევროლოგისა და ფსიქიატრის — ლევინსონის აზრით, ფობიის მიზეზები შუა ყურის პათოლოგიაში უნდა ვეძებოთ. ამის თქმის საფუძველს მას 20 ათასამდე პაციენტზე დაკვირვება აძლევს, ამიტომ ლევინსონი ფობიით შეპყრობილებს მოუწოდებს, გამოიკვლიონ შუა ყური.

**საზოგადოდ, აღიარებულია, რომ ფობიებს განაპირობებენ გარეგანი მოვლენები და შინაგანი დამოკიდებულებები ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის მიმართ. თუმცა, ისეთი ფობიები, როგორებიცაა, მაგალითად, არაქნოფობია (ობობის შიში) და ოფიდიოფობია (გველების შიში) ევოლუციისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა.**

თავის ცნობილ ექსპერიმენტში მარტინ ზელიგმანმა ყვავილებისა და გველების ფობიების დადგენის კლასიკური მეთოდი გამოიყენა. ცდის შედეგმა აჩვენა, რომ გველის სურათის ხილვა გაცილებით უფრო ადვილად იწვევდა უარყოფით განცდას, ვიდრე ყვავილის, ამიტომაც მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ზოგიერთ ობიექტში იმთავითვე იგულისხმება გენეტიკური წინასწარი განწყობა, რაც შიშთან იგივდება. ზოგიერთი სპეციფიკური ფობია შეიძლება სათავეს იღებდეს წარსულში. სოციალურ ფობიებსა და აგორაფობიას გაცილებით რთული გამომწვევი მიზეზები აქვს, რომელთა დადგენა ამ ეტაპზე ბოლომდე ვერ ხერხდება. აღიარებულია, რომ მემკვიდრეობა, გენეტიკა და ტვინის ემოციური წყობა, ცხოვრებისეულ ემოციებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს შიშით გამოწვეული დარღვევებისა და ფობიების განვითარებაში.

ხოჭო, პეპელა, კალია... — ისინი ჩვენს სიცოცხლეს უშუალო საფრთხეს არ უქმნიან. მაშ, რატომ ეშინიათ ადამიანებს მათი? სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მწერების მიმართ გაუმართლებელი და ირაციონალური შიში არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მოზრდილებსაც აქვთ. ეს შიში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფობიების ერთ-ერთ ფორმად არის გამოყოფილი. მას ენტომოფობია ეწოდება.

ფსიქოლოგები ამ შიშს სხვადასხვაგვარად ხსნიან. იუნგის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მწერების შიში „კოლექტიური არაცნობიერის“ თეორიით შეიძლება აიხსნას — თითქოს ბავშვში ცოცხლდება შიში, რომელიც ადამიანს ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, განვითარების იმ პერიოდიდან მოსდევს, როცა ადამიანი სრულიად უსუსური და დაუცველი იყო მწერების, გველებისა და სხვა სისხლის მწოველების წინაშე. დღეს ჩვენ გვაქვს მრავალი საშუალება მათ წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენს მეხსიერებაში სადღაც ღრმად ჯერ კიდევ ცოცხლობს შიში.

არსებობს უფრო მარტივი ახსნაც: ხშირად ბავშვებში ენტომოფობიას სწორედ მოზრდილები იწვევენ. ბავშვი თავისი ნატურით მკვლევარია. პირველი რეაქცია, რომელიც მას მწერის დანახვისას აქვს, ცნობისმოყვარეობა და ამ ახალი არსების შესწავლის სურვილია. ამ დროს, როგორც წესი, უფროსები ბავშვს ყველა მეთოდით არწმუნებენ, რომ არ უნდა შეეხოს და არც კი უნდა მიუახლოვდეს ბუზს, რომელიც ბინძურია; ფუტკარს, რომელიც იკბინება და ასე შემდეგ. შიში ბავშვს უმალვე გადაეცემა. ამასთანავე, ბავშვი გაოცებულია, რომ დედას ამ ერთი ციცქნა არსების ეშინია. ეს შიშს კიდევ უფრო აძლიერებს, რადგან ყველაფერი უცნაური და აუხსნელია. ფობია ბავშვში ძალიან სწრაფად ვრცელდება. თუ ერთხელ პეპლის შეეშინდა, შიში მაშინვე გავრცელდება სხვა მწერზეც.

ბავშვებში მწერების შიშის დასაძლევად, უპირველეს ყოვლისა, უფროსებმა უფრო მეტი წაიკითხეთ მწერების შესახებ და ეცადეთ, ბავშვიც დააინტერესოთ. წაიკითხეთ წიგნები, ნახეთ ფილმები ბუნების შესახებ, დააკვირდით ჭიანჭველების ბუდეს. ოთხი წლის ბავშვისთვის ეს ძალიან საინტერესოა. ნუ დასცინებთ თქვენი შვილის შიშს. ბავშვი პიროვნებაა და მას ნამდვილად აქვს შიშის უფლება. ფრაზა „ამან როგორ შეგაშინა!“ ფობიას კი არ მოსპობს, უფრო მეტად გააძლიერებს.

ფსიქოანალიტიკოსები ფობიებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ:

**ზოგადი ფობიები,** როდესაც ადამიანს ეშინია გარკვეული ობიექტის ან რაიმე საგნის;

**ლოკომოტორული ფობიები,** ანუ ფობიები სიტუაციების მიმართ (ასეთია, მაგალითად, ჩაკეტილი ან ღია სივრცის შიში);

**სოციალური ფობია,** ანუ მოქმედების ფობია — საჯაროდ რაიმეს კეთების შიში.

ფობიები სიმწვავის მიხედვითაც განსხვავდება. ზოგიერთ ადამიანს მარტივად შეუძლია, თავი აარიდოს შიშის საგანს და შედარებით გულგრილად შეხედოს ამ საკითხს. სხვები სრულ პანიკაში ვარდებიან და საკუთარ თავზე კონტროლს კარგავენ. ადამიანთა უმრავლესობას ესმის, რომ მათი შიში ირაციონალურია, მაგრამ თავდაპირველი პანიკური რეაქციის დაძლევა არ შეუძლია.

დარღვევები შეიძლება გამოვლინდეს ვეგეტატიური სიმპტომატიკით: გულისცემის გახშირებით, ოფლიანობით, სიწითლით, კანკალით, პირის სიმშრალით, სუნთქვის გაძნელებითა და ქოშინით, გულ-მკერდის არეში დისკომფორტით ან ტკივილით, ღებინებით ან მუცლის არეში უსიამოვნო შეგრძნებით.

ზოგიერთი თერაპევტი ვირტუალური რეალობის ან გამოსახულებითი ვარჯიშების მეთოდს მიმართავს, რათა შიშის ობიექტის მიმართ პაციენტს შიში გაუნელდეს. გაცნობიერებული ქცევის თერაპიაც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს. ის საშუალებას აძლევს პაციენტს, გააცნობიეროს ნეგატიური აზრების ციკლი და ამ აზრების გარდაქმნის გზები დასახოს. ამ მეთოდს ჯგუფური მკურნალობისას მიმართავენ. შიშისგან თანდათანობითი გათავისუფლებისა და გაცნობიერებული ქცევის თერაპიის მეთოდები ხშირად წარმატებულია და გათვლილია იმაზე, რომ პაციენტმა ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ დისკომფორტი დაძლიოს.

ამგვარი მკურნალობის საშუალებები სხვა მეთოდებს როდი გამორიცხავს. ხშირად თერაპევტი ერთდროულად რამდენიმე საშუალებას მიმართავს.

ფობიის მკურნალობა საკმაოდ რთულია. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მკურნალობის სხვადასხვა მეთოდს გვთავაზობენ. ფსიქოანალიტიკოსები ამ ტიპის ავადმყოფებს თავისუფალი ასოციაციის მეთოდით მკურნალობენ, ფსიქოთერაპევტები უპირატესობას შთაგონებასა და ჰიპნოზს ანიჭებენ, ფსიქიატრები კი მედიკამენტური მკურნალობისკენ იხრებიან.

**ფობიების მკურნალობისთვის ამჟამად ტრანკვილიზატორები გამოიყენება, თუმცა ამ პრეპარატების ხშირი, უსისტემო მიღება დამოკიდებულების ჩამოყალიბებას იწვევს, ამიტომ მიზანშეწონილია, მკურნალობა მცირე ხანს (არა უმეტეს 2 კვირისა) გაგრძელდეს.**

არსებობს პრეპარატები, რომლებიც შიშებზე არჩევითად მოქმედებს, თუმცა მხოლოდ ეს საშუალებები ნაკლებეფექტურია. მკურნალობის რეკომენდებული მეთოდია მედიკამენტური თერაპიის (ინდივიდუალურად შერჩეული ანტიდეპრესანტების) შერწყმა ფსიქოთერაპიასთან, რომელიც ადამიანს შიშის არსის, მისი მიზეზების გარკვევაში დაეხმარება.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამერიკის ქალაქ ატლანტის ემორის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა შეიმუშავეს ფობიების მკურნალობის სრულიად ახალი მეთოდი — მკურნალობა კომპიუტერული თამაშების საშუალებით. მათთვის, ვისაც ჭექა-ქუხილის ეშინია, ქმნიან ვირტუალურ ჭექა-ქუხილს ხმის ნატურალური ეფექტებით, ვირტუალური თვითმფრინავი განკუთვნილია მათთვის, ვისაც ფრენის შიში აქვს.

ცნობილია ერთი ადამიანის ისტორია, რომელსაც არაქნოფობია ჰქონდა — ობობას დანახვისთანავე პანიკური შიში იპყრობდა. მან გადაწყვიტა, მიემართა ექიმისათვის, რომელმაც ფსიქოანალიზის მეთოდით უმკურნალა. მკურნალობის კურსის დამთავრებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კითხვაზე, გათავისუფლდა თუ არა ფობიისგან, მან უპასუხა: „დიახ, მიშველა — პანიკის გრძნობა აღარ მაქვს, მაგრამ საშინელების განცდა დამრჩა“.



**ადამიანებს შიშები ხშირად ბავშვობიდანვე უყალიბდებათ და მშობლების სწორი მიდგომა ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბავშვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი შიშები ფობიებად არ ჩამოყალიბდეს და სიცოცხლის ბოლომდე არ გაჰყვეს სატანჯველად**



**ადამიანებს შიშები ხშირად ბავშვობიდანვე უყალიბდებათ და მშობლების სწორი მიდგომა ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბავშვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი შიშები ფობიებად არ ჩამოყალიბდეს და სიცოცხლის ბოლომდე არ გაჰყვეს სატანჯველად.**

თუკი თქვენს პატარას სიბნელის, სიმაღლის, სიკვდილის ან თუნდაც კუდიანი დედაბრის ეშინია, უპირველეს ყოვლისა, აღიარეთ ამ შიშის არსებობა. ძალზე მნიშვნელოვანია, ბავშვს აგრძნობინოთ, რომ მისი კარგად გესმით და პატარაობისას თქვენც ბევრი რამის გეშინოდათ. ეს ბავშვს მისცემს საშუალებას, არ გაამახვილოს ყურადღება საკუთარ შიშზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვები რეალურ და წარმოსახვით შიშებს ერთმანეთისგან ძნელად არჩევენ. ამიტომ არის არაფრის მთქმელი პატარა ბავშვისთვის ფრაზა „მონსტრები არ არსებობენ“. მისთვის ურჩხული ისეთივე რეალურია, როგორიც სხვა ყველაფერი. ერთად განიხილეთ შიში, სთხოვეთ ბავშვს, სიტყვებით გადმოგცეთ ის. რაც უფრო უკეთ გააცნობიერებს პატარა შიშს, მით უფრო ნაკლებსაშინელი მოეჩვენება ის. მაგალითად, თუ პატარას სიბნელის ეშინია, უნდა ვკითხოთ, რა აშინებს კონკრეტულად. შესაძლოა, ბავშვს კონკრეტული პასუხის გაცემა გაუჭირდეს, ამიტომ რეკომენდებულია, დავუსვათ მიმანიშნებელი კითხვები: „მონსტრების გეშინია?“, „ყაჩაღების გეშინია?“ და ასე შემდეგ. როცა ბავშვი თავისი შიშების შესახებ მოგიყვებათ, ეცადეთ, იპოვოთ პრობლემის მოგვარების გზა: ჩართული დატოვოთ სინათლე, ბავშვი არ შეუშვათ ბნელ ოთახში მარტო, მისცეთ სასტვენი, რათა საშიშროებისას დაუსტვინოს... დაარწმუნეთ პატარა საკუთარ უსაფრთხოებაში. მან უნდა იცოდეს, რომ თქვენ იცით, როგორ მოიქცეთ და არავითარ უბედურებას არ დაუშვებთ. **შიშს ისე არაფერი აძლიერებს, როგორც მოზრდილი ადამიანის დაბნეულობა. თქვენი ამოცანაა, ჩაუნერგოთ ბავშვს საკუთარი ძალების რწმენა, აგრძნობინოთ, რომ თქვენ მას ნებისმიერ შემთხვევაში დაიცავთ.**



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამერიკას ჩაძირვა ელის



**სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ პალმერი ამბობს, რომ გლობალური დათბობის ერთ-ერთი საგრძნობი შედეგი ოკეანეების დონის ამაღლება იქნება.** ამერიკელი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2100 წლისთვის ოკეანის დონე მინიმუმ 0,2 მეტრით ამაღლდება, მაქსიმუმ კი — 2,4 მეტრით. ამერიკის კლიმატი ახლა უკვე გარდაქმნის პროცესშია და უახლოეს ათწლეულში ეს პროცესი დაჩქარდება. 100 წელიწადში ამერიკა რთულად საცნობი იქნება. 100 წლის შემდეგ იქ ერთეული ადგილები დარჩება, სადაც ზამთარში თოვლი მოვა. ალასკაზე თოვლის საფარის დიდი ნაწილი გაქრება. კალიფორნიაში კი მთებზე თოვლი 80%-თ შემცირდება. მეცნიერები, აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ წვიმები საშინელ შედეგებს მოიტანს. ამერიკაში იწვიმებს გაცილებით ხშირად და ძლიერად. ამასთან, წვიმებს თან მოჰყვება ძლიერი ქარბუქი, რომელიც საგრძნობ გავლენას მოახდენს როგორც ადამიანებზე, ისე ცხოველებსა და მცენარეებზე.

# მუდმივი თავდაცვა



**ადამიანის ორგანიზმი მრავალი ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემისგან შედგება. ერთ-ერთი ასეთი სისტემა ყოველ დღე 24 საათის განმავლობაში გვიცავს სხვადასხვა საფრთხისგან და ზოგჯერ ჩვენი თანხმობის გარეშეც კი მოქმედებს.**

### მთქნარება

მთქნარების მექანიზმი ძალიან ცუდადაა შესწავლილი. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ადამიანი ამთქნარებს, არის თავის ტვინის გადატვირთვა. თუ ცუდად გვძინავს, აქტიურად ვმუშაობთ, ფსიქოლოგიურად დაძაბულები ვართ, ორგანიზმი სპეციალურ დაცვით მექანიზმს ამუშავებს. მთქნარება ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის, ამიტომ ეცადეთ, ხშირად ამთქნაროთ.

### გაზმორება

გაზმორებაც ერთგვარი თავდაცვის მექანიზმია, ეს პროცესი ორგანიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გაზმორების დროს ორგანიზმი ემზადება დღის განმავლობაში მოსალოდნელი ფიზიკური დატვირთვისთვის.

### ცემინება

ცემინების მექანიზმი მაშინ ირთვება, როდესაც ცხვირის მიდამოებში გროვდება ძალიან ბევრი მიკრობი, ალერგენი ან მტვერი. თუ გადაბმულად აცემინებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი გეუბნებათ, თქვენს სიახლოვეს რაღაც ისეთია, რაზეც ალერგია გაქვთ და დროზე უნდა გაშორდეთ მას.

### მეხსიერების დაკარგვა

მეხსიერების დაკარგვა არის თავდაცვის ხერხი და იცავს ფსიქიკას უსიამოვნო მოგონებებისგან. ცნობილია უამრავი შემთხვევა, როდესაც ძალადობის მსხვერპლს ავიწყდება ყველაზე საშინელი მომენტები. რა საჭიროა ისეთი შემთხვევის მეხსიერებაში ჩაწერა, რომელსაც ადამიანისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს? ასეთ დროს ორგანიზმი თავად წყვეტს, გაასუფთავოს თუ არა ჩვენი მოგონებები.



# პროთეზების კონტროლი გონებით შეიძლება

**ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში კოლორადოელმა მამაკაცმა ხელის ორივე პროთეზის ერთდროულად ამოძრავება გონებით შეძლო.**

ლესლი ბომ ორივე ზედა კიდური 40 წლის წინათ მომხდარი ელექტროავარიის შედეგად დაკარგა. ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში მომზადებული ექსპერიმენტისთვის მას საგანგებო ოპერაცია ჯერ კიდევ ივნისში ჩაუტარდა. ოპერაციის მიზანი კუნთების რეინერვაცია იყო. ეს არის ქირურგიული პროცედურა, რომელიც ნერვული უჯრედების საშუალებით ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან ქსოვილების კავშირის აღდგენას ისახავს მიზნად. ინოვატორული ოპერაცია პროთეზის გონებით, ფიქრით მართვის საშუალებას იძლევა.

„ოპერაციაზე რომ შევდიოდი, ვიცოდი, რომ ჩემს გულმკერდში ნერვების გადაადგილება მოხდებოდა. პირველი, რაც ოპერაციის შემდეგ მაგონდება, არის ტკივილი, რომელიც მანამდე არასოდეს მქონია“, — ყვება ლესლი ჯონსი. ოპერაციის შემდეგ ლესლის სპეციალური წვრთნა ჩაუტარდა. ექსპერიმენტს მერილენდის შტატის ქალაქ ლორელში მდებარე უნივერსიტეტის გამოყენებითი ფიზიკის ლაბორატორია კურატორობდა. ლესლი ამბობს, რომ, როგორც კი წვრთნა დასრულდა და მას დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება მიეცა, ის ახალ სამყაროში აღმოჩნდა. მან გონებით ორივე ხელის კონტროლი შეძლო და რამდენიმე ფუნქციის ერთდროულად შესრულება დაიწყო. მაგალითად, თაროდან აიღო ცარიელი ჭიქა და გადადო ის მეორე, უფრო მაღალ თაროზე. მეცნიერების თქმით, ამ დავალების შესრულებისთვის მას 8 სხვადასხვა მოძრაობის კოორდინირების კონტროლი დასჭირდა.

მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროთეზის ერთ-ერთი შემქმნელი კორტნი მორანი ამბობს, რომ ლესლის მიერ დროის მოკლე ინტერვალში ბევრი სხვადასხვა მოძრაობის კონტროლის ათვისების უნარმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „საოცრებაა და ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა ის, რომ მან ორივე ხელის კონტროლი ერთდროულად მოახერხა. ეს გონებით ორი კიდურის პროთეზების ერთდროულად მართვის პირველი შემთხვევაა“, — ამბობს კორტნი მორანი.

მეცნიერები ამბობენ, რომ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია და რომ მომდევნო 5-10 წლის შემდეგ მეცნიერება ამ მიმართულებით ფენომენალურ პროგრესს მიაღწევს.

# BREAKING THE BOTTLE – ავეჯი ბოთლების ნამსხვრევებისგან



**არტ პროექტი Breaking The Bottle – ბოთლების ნამსხვრევებისაგან დამზადებული ავეჯი და აქსესუარები ბრუკლინელმა დიზაინერმა მარკ რეიგელმანმა შექმნა.**

ამ უცნაური პროექტის განსახორციელებლად დიზაინერს 100 კგ გადამუშავებული შუშა, 20 ლიტრამდე წებო და სამი თვე დასჭირდა.

რეიგელმანმა სულ 12 საგანი დაამზადა, მათ შორის რამდენიმე სკამი, მაგიდა, მაგიდის სანათი, ჭაღი, ხალიჩა, წიგნი და დათვის ტყავის იმიტაციაც კი იატაკისთვის.

დამსხვრეული შუშის ავეჯი და აქსესუარები, ერთი შეხედვით, სქელი მწვანე ბეწვით გაკეთებული გეგონებათ, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მოჩვენებითია – დეკორის ყველა საგანი 40 ფენა ნამდვილი შუშის წვრილი ნამსხვრევითაა დაფარული და ცხადია, პრაქტიკული გამოყენებისთვის არ გამოდგება.

პროექტის განსახორციელებლად მარკ რეიგელმანი ნიუ იორკში რამდენიმე წლის განმავლობაში აგროვებდა ბოთლებს.

# მარილის სასტუმრო ბოლივიაში





**ეს არის სასტუმრო მათთვის, ვისაც სტანდარტულ პირობებში ცხოვრება მობეზრდა და რაღაც ახლის ნახვა სურს, რადგან ბოლივიაში მდებარე პატარა სასტუმრო მთლიანად მარილისგან არის გაკეთებული.**

ის მსოფლიოში ყველაზე დიდ მარილიან ტბასთან — უიუნისთან მდებარეობს. აქ მსოფლიოდან ათიათასობით ტურისტი ჩადის და ბევრი სწორედ მარილის სასტუმროში ღამის გათევას ირჩევს. სასტუმრო მარილის ბლოკებისგანაა აგებული, ეს ბლოკები მყარად არის შეწებებული წყლისა და მარილის ხსნარით. მარილისაა არა მხოლოდ კედლები, არამედ საწოლები, მაგიდები, სკამები, ტუალეტებიც კი. ადგილობრივი გიდი პედრო მიჩელ როხა ყვება, რომ ზოგიერთი სტუმარი საგნებს გემოსაც კი უსინჯავს. საოცარ სასტუმროში ღამის გათევა ორ ადამიანს 126 დოლარი დაუჯდება. ნომრის ღირებულებაში შედის კვებაც. მენიუში მხოლოდ ბოლივიური სამზარეულოს კერძებია შეტანილი.



## 2080 წელს ტელეპორტაცია შესაძლებელი იქნება

**ინჟინერიაზე, მედიცინასა და ბიზნესზე სპეციალიზირებული ლონდონის საიმპერატორო კოლეჯის მეცნიერთა აზრით, უკვე ჩვენს ასწლეულში ტელეპორტაცია და უჩინმაჩინის მანტიები სრულიად რეალური გახდება.** კერძოდ, დროში მოგზაურობა შესაძლებელი იქნება უკვე 2100 წლისთვის, ხოლო ტელეპორტაცია ჩვეულებრივ მოვლენად 2080 წელს იქცევა. „არ არსებობს არავითარი ფუნდამენტური კანონი, რომელიც ამტკიცებს, რომ ტელეპორტაცია შეუძლებელია. თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარების ტემპებს, ტელეპორტაცია ხელმისაწვდომი უკვე 2080 წლისთვის იქნება. ადამიანის ტელეპორტირება ძალიან რთული იქნება და ეს ფიზიკოსების საქმეა. მაგრამ შესაძლოა, ფიზიკასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში გაკეთებულმა აღმოჩენებმა ეს პროცესი უფრო დააჩქარონ“, — აცხადებს მეცნიერებათა დოქტორი მერი ჟაკლინ რომერო.

ცნობისათვის

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ასანთის ღერების ახალი სიცოცხლე

**რუსი ფოტოგრაფი სტანისლავ არისტოვი დამწვარი ასანთის ღერებზე ფიქრში სულაც არ ათენ-აღამებდა, შთაგონება ერთ მშვენიერ დღეს თავად ეწვია, როცა ცდილობდა, მიელო გადაწყვეტილება, რა აღებეჭდა ფირზე ფოტოგრაფთა მორიგ კონკურსში გასამარჯვებლად, და თან ხელში ასანთის კოლოფს ათამაშებდა.**



სწორედ რაიმე მშვენიერის შექმნის მწველმა სურვილმა მიიყვანა ფოტოგრაფი ასანთის დამწვარი ღერებიდან შესანიშნავი მინისკულპტურების შექმნამდე. მათთან თამაშისას უეცრად დაფიქრდა, თუ როგორ სიმბოლიზდება ასანთის დამწვარი ღერი ცხოვრებასთან: დამწვარი ნაწილი წარსულია, კვამლი — დარჩენილი მოგონებები, ხოლო ღერის ხელუხლებელი ბოლო — მომავალი, ცეცხლი კი თვით სიცოცხლეა.

ფოტოგრაფი ასანთის ღერს წვის პროცესში სასურველ ფორმაზე ღუნავს და შემდეგ მაკრო-ობიექტივის გამოყენებით იღებს ასანთს, ცეცხლსა და კვამლს. მის ხელოვნებაში ფოტოშოპიც საკმაოდ დიდ როლს ასრულებს, რადგან, რომ არა ის და სხვა მსგავსი „ჯადოსნური“ კომპიუტერული პროგრამები, თითოეული ფოტოს გადასაღებად სტანისლავს უამრავი სპეციალური მოწყობილობა, 100%-იანი იღბალი და მთელი სატვირთო მანქანა ასანთის ღერები დასჭირდებოდა.









# მეცნიერი ირწმუნება, რომ უცხოპლანეტელები ნახა

**აეროკოსმოსური კორპორაციის ყოფილმა თანამშრომელმა სიკვდილის წინ განაცხადა, რომ უცხოპლანეტელები ნახა. მომაკვდავმა მეცნიერმა სიკვდილის წინ გადაიღო უცნაური ვიდეო, რომელშიც ამტკიცებს, რომ იცის, რა ხდება საიდუმლოებით მოცულ ზონა 51-ში, რომელიც ნევადის შტატში მდებარეობს. მან აღნიშნა, რომ ამ ზონაში უცხოპლანეტელები და მათი საფრენი აპარატია.**

ბუშმანი კორპორაცია Lockheed Martin-ის მეცნიერ-მკვლევარი იყო და მრავალი გამოგონების ავტორადაა მიჩნეული. ვიდეოში იგი ყვება, რომ ამოუცნობ მფრინავ ობიექტს სპეციალისტების ჯგუფი 24-საათიან რეჟიმში აკვირდება.

მეცნიერის თქმით, არსებობს უცხოპლანეტელების ორი ჯგუფი. „წარმოვიდგინოთ რანჩო. ერთი ჯგუფი მოგვაგონებს მორჩილ მუშებს, ხოლო მეორე — საქონლის ქურდებს. ზოგიერთი უცხოპლანეტელის ასაკი 230 წელია“, — აცხადებს ვიდეოში ბუშმანი.

გარდა ამისა, ბოიდი უცხოპლანეტელებსაც აღწერს. მისი თქმით, ისინი დაახლოებით 1,3-1,5 მეტრის სიგრძისანი არიან და აქვთ სამი ხერხემალი, რომლებიც ხრტილებისგან შედგება. მათი თითები ადამიანისას ჰგავს, მაგრამ გაცილებით გრძელია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კორპორაცია Lockheed Martin-ის თანამშრომლები აღიარებენ, რომ ფირმა უცხოპლანეტელების კვლევით არის დაკავებული. რამდენიმე ხნის წინათ კორპორაციის თანამშრომელმა ბენ რიჩმა განაცხადა, რომ Lockheed Martin-ი სუპერტექნოლოგიებს ფლობს, რომელთა დახმარებითაც გალაქტიკათშორის მოგზაურობებს აწარმოებენ.

# ბენტო — იაპონური ფუდარტი

**ბენტო იაპონური ტერმინია და ერთ ულუფა შეფუთულ საკვებს ნიშნავს. ტრადიციულად, ბენტო ორი ნაწილისგან შედგება — ულუფის ნახევარს შეადგენს ბრინჯი, ხოლო მეორე ნახევარს — ცილოვანი პროდუქტი (თევზი, ხორცი, კვერცხი) და ბოსტნეული. ძალიან ხშირად ბენტო არა უბრალო სადილს, არამედ ხელოვნების ნიმუშს უფრო ჰგავს, რაც ზოგადად დამახასიათებელია იაპონური სამზარეულოსთვის.**



ბენტო ფართოდაა გავრცელებული, როგორც სასკოლო სადილი მოსწავლეებისთვის. იაპონიაში მისი ყიდვა ყველა მარკეტსა თუ სპეციალურ მაღაზიაში შეიძლება, თუმცა ბენტოს პროდუქტების შერჩევისა და დამზადების ხელოვნება ერთ-ერთი უმთავრესი რამაა, რაც იაპონელმა დიასახლისმა აუცილებლად უნდა იცოდეს.

ბენტოს კონცეფციის გაჩენას კამაკურას პერიოდს (1185-1333 წწ.) უკავშირებენ, როცა დამკვიდრდა მოხარშული და შემდეგ გამშრალი ბრინჯის მირთმევის ტრადიცია — ხოსი, რაც სიტყვასიტყვით „მშრალ საჭმელს“ ნიშნავს. ხოსის პატარა ჩანთებში ინახავდნენ და ჭამდნენ როგორც მშრალს, ისე მდუღარე წყალში ჩაყრილს. მოგვიანებით მშრალი ბრინჯის ჩასადებად ხის პატარა ყუთების დამზადება დაიწყეს, ბენტოს კი უკვე ჩაისთან ერთად მიირთმევდნენ.

დროთა განმავლობაში ბენტო ფართოდ გავრცელდა იაპონიაში და მისი მომზადების კულტურაც დაიხვეწა. ბამბუკის ღერებისგან დამზადებულ ყუთებში მოთავსებული ბენტო მთავარი საგზალი იყო მეომრების, მოგზაურებისა და გლეხებისთვის. ასევე, გაჩნდა ბენტოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სტილი, რომელსაც მანუკო-უტის უწოდებდნენ (ითარგმნება, როგორც შესვენების ბენტო). ადამიანებს, რომლებიც ნოს ან კაბუკის თეატრის წარმოდგენის საყურებლად მიდიოდნენ, აუცილებლად მიჰქონდათ ბენტო, რათა სცენებს შორის ეჭამათ. სხვადასხვა ტიპის ბენტოს მომზადების შესახებ უამრავი წიგნი დაიწერა.





XIX საუკუნეში პირველად დაიწყეს ეკიბენტოების, ანუ სადგურის ბენტოების გაყიდვა და ევროპული სტილის ბენტოს მომზადებაც, რომელიც, ტრადიციულ იაპონურ პროდუქტებთან ერთად, ბუტერბროდებსა და სენდვიჩებსაც მოიცავდა. ცოტა მოგვიანებით დამკვიდრდა ბენტოს ალუმინის ყუთებში მოთავსების ტრადიცია, რადგან ის იოლად ირეცხებოდა და თანაც ვერცხლის ყუთს წააგავდა.

XX საუკუნის დასაწყისში ბენტო სასკოლო სადილად მიიჩნეოდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის ხელისუფლებამ მისი სკოლებში მოხმარება აკრძალა: ბავშვები თავიანთ ბენტოებს ერთმანეთს ადარებდნენ და ხშირად კონფლიქტიც მოსდიოდათ. ამასთან, სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ ბენტო დაბალანსებული კვებისთვის საჭირო ინგრედიენტებს არ შეიცავდა, რაც შეიძლებოდა უარყოფითად ასახულიყო ბავშვების ჯანმრთელობაზე.

ბენტომ პოზიციები მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში აღიდგინა მიკროტალღური ღუმელების წყალობით, რამაც მისი მომზადება გააიოლა. არაპრაქტიკული ლითონისა და ბამბუკის ყუთები ერთჯერადი კონტეინერებით შეიცვალა. 2003 წელს ბენტოს გაყიდვა იაპონიის აეროპორტების რესტორნებშიც დაიწყო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*1520 წლის 21 ოქტომბერს ზღვაოსანმა **ფერნან მაგელანმა** (1480 წლის 8 ოქტომბერი — 1521 წლის 27 აპრილი) მსოფლიოს გარშემო თავისი პირველი მოგზაურობისას აღმოაჩინა სრუტე, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი უწოდეს. მაგელანი პირველი ევროპელია, რომელიც ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში გადავიდა. **მაგელანის სრუტე** ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგს ჰყოფს სამხრეთ ამერიკის კონტინენტური ნაწილიდან. სრუტე ვიწროა — მინიმალური სიგანე — 3,5 კმ., ზოგ ადგილებში კი ნაოსნობისთვის ძალიან სახიფათოა. სრუტის სიგრძე 575 კმ-ია, მინიმალური სიღრმე ფარვატერში — 20 მ.







# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.




***1582 წლის 4 ოქტომბერს** რომის პაპის — **გრიგოლ XIII** ბრძანებით, შემოიღეს ახალი კალენდარი, რომელსაც გრიგოლის კალენდარი (გრიგორიანული კალენდარი) უწოდეს.

თანამედროვე კალენდარი შეიქმნა ძველრომაული იულიუსის კალენდრის მიხედვით, რომელიც ჩვ.წ. აღ. 45 წლის 1 იანვარს შემოიღო **იულიუს კეისარმა.**

1582 წლის 4 ოქტომბერს კი, რადგან იულიუსის კალენდარი ყოველ 128 წელში 1 დღით ჩამორჩებოდა, რომის პაპმა ახალი კალენდარი დააწესა. ამჟამად მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში გრიგოლის კალენდარს იყენებენ. საქართველოში ახალი სტილის კალენდარი შემოიღეს 1918 წელს (ამ დროისთვის იულიუსის კალენდარი უკვე 13 დღე-ღამით ჩამორჩებოდა): ძველი სტილით 18 აპრილი გამოცხადდა 1 მაისად.



***1848 წლის 28 ოქტომბერს** დაიბადა ქართული კონიაკის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მრეწველი და ქველმოქმედი **დავით სარაჯიშვილი** (გარდაიცვალა 1911 წლის 20 ივნისს).

რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება პირველმა დავით სარაჯიშვილმა დაიწყო. 1888 წელს მან თბილისში ააშენა კონიაკის ქარხანა. მოგვიანებით დავით სარაჯიშვილის ფირმაში შედიოდა 5 სარექტიფიკაციო, არყის 1, ლიქიორისა 1 და კონიაკის 7 ქარხანა, აგრეთვე, რამდენიმე საწყობი თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. 1900 წელს სარაჯიშვილის ფირმამ გამოუშვა 2,1 მლნ ბოთლი კონიაკი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სარაჯიშვილის ფირმის კონიაკი „ძველისძველი“ (უმაღლესი ჯილდო ფილადელფიაში 1876 წელს). დავით სარაჯიშვილის მიერ შექმნილი სასმელი დაჯილდოებულია 100-ზე მეტი ჯილდოთი, მათ შორის, 49 ოქროსა და ვერცხლის მედლით.



***1882 წლის 28 ოქტომბერს** ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი **გრიგოლ რობაქიძე.**

გრიგოლ რობაქიძემ ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ ჯერ ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ ლაიფციგის (გერმანია), რომელიც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით დაამთავრა. 1917 წელს გრიგოლ რობაქიძის აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი. რობაქიძის პროზაზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისმა ნაწარმოებებმა: „გველის პერანგი“, „დემონი და მითოსი“, „ჩაკლული სული“, „მცველნი გრაალისა“. 1931 წლიდან გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკური ემიგრანტი. 1946 წლამდე ცხოვრობდა გერმანიაში, 1946 წლიდან — შვეიცარიაში. გარდაიცვალა 1962 წლის 19 ნოემბერს ჟენევაში.



***1893 წლის 25 ოქტომბერს** სანკტ-პეტერბურგში გარდაიცვალა დიდი რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი **პეტრე ჩაიკოვსკი** (დაიბადა 1840 წლის 25 აპრილს). პეტრე ჩაიკოვსკი არის ავტორი 80-ზე მეტი ნაწარმოებისა, მათ შორის, 10 ოპერისა და სამი ბალეტის. მისი საკონცერტო ნაწარმოებები ფორტეპიანოსთვის, 7 სიმფონია (6 დანომრილი და სიმფონია „მანფრედი“), 4 სიუიტა, ბალეტები — „გედის ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „მაკნატუნა“, 100-ზე მეტი რომანსი უდიდესი ფასეულობაა მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაში.



***1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია** — ეს არის XX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც რუსეთში მოხდა და რომელმაც დიდი გავლენა იქონია მსოფლიოზე. ამ რევოლუციის შედეგად დაიწყო სამოქალაქო ომი რუსეთში, დაემხო დროებითი მთავრობა და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ბოლშევიკები. დროებითი მთავრობა დაემხო 25-26 ოქტომბერს შეიარაღებული აჯანყების შედეგად, რომლის ორგანიზატორები იყვნენ **ვლადიმერ ლენინი, ლევ ტროცკი და იაკობ სვერდლოვი.** ამ რევოლუციამ საფუძველი დაუდო საბჭოთა კავშირის შექმნას, რომელშიც 15 რესპუბლიკა იყო გაერთიანებული, მათ შორის, საქართველოც.



***1943 წლის 9 ოქტომბერს საბჭოთა მეომრების გამარჯვებით დასრულდა ბრძოლა კავკასიისთვის.** ფაშისტური გერმანიის მიერ შემუშავებულ ოპერაციებში („ედელვაისი“, „ბლაუ“), რომლებიც კავკასიის დაპყრობასა და, კასპიის ზღვის ნავთობსაბადოს ხელში ჩაგდების შემდეგ, სტალინგრადზე შეტევას ითვალისწინებდა, ფაშისტების მხარეს იბრძოდნენ რუმინელები და სლოვაკები. მაგრამ სსრკ-ის 46-ე არმიამ, გენერალ-მაიორ **კონსტანტინე ლესელიძის** მეთაურობით, აგრეთვე, სხვა შენაერთებმა კონტრშეტევა განახორციელეს და ფაშისტებს სასტიკი დამარცხება აგემეს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სარდლობის მიერ შემუშავებულ ოპერაციას კავკასიის გასათავისუფლებლად ხელმძღვანელობდა მარშალი **ლავრენტი ბერია**, რომელიც **სტალინმა** კავკასიაში საგანგებო მისიით გაგზავნა.

სხვათა შორის, სამთო მსროლელთა იმ დანაყოფში, რომელმაც იალბუზზე გერმანელთა დროშა ჩამოაგდო და მის ნაცვლად საბჭოთა დროშა აღმართა, ქართველებიც იყვნენ — **გაბრიელ** და **ბექნუ ხერგიანები.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

27 ოქტომბერს სავსემთვარეობაა. ამ დღეს, სასურველია, არ აჰყვეთ ემოციებს მოსალოდნელია წყალდიდობები, ავარიები. სასიკეთო პერიოდია მორიელისა და თევზების ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

21 - 27 ოქტომბ. ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

ახლა სჯობს, განმარტოვდეთ და დაშვებული შეცდომები გააანალიზოთ. თუ კვლავ მოვლენების ეპიცენტრში დარჩებით და პროცესებზე თქვენი გავლენის დამყარებას შეეცდებით, მოშურნეებისა და მტრების თავდასხმებს ვერ აიცილებთ. თქვენი წარმატება მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის განსამტკიცებლად. ყურადღებით დააკვირდით მის საქციელს და მიხვდებით, რომ თქვენ წინაშე ერთგული და მოსიყვარულე პიროვნებაა.

მაღალია სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 26 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ოქტომბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. მოსალოდნელია დაბრკოლებები სამსახურებრივ საქმეებში, თუმცა კონფლიქტებიც მინავლდება. რეკომენდებული არ არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და საფინანსო ოპერაციების განხორციელება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მნიშვნელოვან საკითხებზე პრინციპულობა გამოიჩინეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ შვილებს.

დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო შეიძლება გაღიზიანდეთ და უძილობამ შეგაწუხოთ, ამიტომ შეეცადეთ, არ ინერვიულოთ და მეტი დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 22 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 ოქტომბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

გულისხმიერება გამოიჩინეთ ადამიანების მიმართ. ახლა ძალიან ფასობს დადებითი საქციელი. შესაძლოა, შემოგთავაზონ ფინანსური გარიგება. უარი არ თქვათ, რადგან ხელიდან გაუშვებთ მნიშვნელოვან კაპიტალს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა საკმაოდ კონფლიქტური იქნება, თუმცა დიპლომატიური უნარის წყალობით ყველა სადავო საკითხს მოაგვარებთ.

კარგი იქნება, ფორმის შესანარჩუნებლად თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. ივარჯიშეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 21 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

უარყოფითი პერიოდია. თითქოს მოწყვეტილი ხართ ცხოვრებისეულ მოვლენებს და რეალობას სწორად ვერ აღიქვამთ.

მოგიწევთ მატერიალური პრობლემების მოგვარება და საჭირო დოკუმენტების გაფორმება, რომლებიც ურთიერთობებთან იქნება დაკავშირებული. ეს შეიძლება იყოს ანდერძი, ქორწინება, განქორწინება ან მინდობილობა.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება შეგექმნებათ, სჯობს, დაივიწყოთ სიამაყე და კომპრომისული გამოსავალი ეძებოთ.

რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და ცხიმიანი საკვები. მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 22 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ოქტომბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

შეიძლება პრობლემები შეგექმნათ სამსახურში. აუცილებელი იქნება ყველა დაწყებული საქმის დასრულება, რისთვისაც დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. თუ გაღიზიანდებით, გუნება-განწყობილების გამოსაკეთებლად მეგობრებთან ერთად საღამო მოაწყვეთ.

მოსალოდნელია ფინანსური დანაკარგები, ამიტომ გაფრთხილდით საფინანსო ოპერაციების განხორციელებისას.

ამ პერიოდში თქვენი ყურადღება საოჯახო საქმეებისკენ იქნება მიპყრობილი. თუ მათ დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდებით, ნათესავები დაიხმარეთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, ფიზიკურად დაიტვირთოთ.

**დადებითი დღე: 26 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ოქტომბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

საკმაოდ მშვიდი პერიოდია, საქმეები კარგად მიდის და შეგიძლიათ, დრო საოჯახო საქმეებს დაუთმოთ — დაიწყოთ ბინის გარემონტება ან შეიძინოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რაც თქვენს შეთხელებულ ბიუჯეტს ძალიან წაადგება.

მოვლენები, რომლებიც თქვენ გარშემო განვითარდება, ნათლად დაგანახვებთ, ვინ არის თქვენი მეგობარი და ვინ — მტერი, ვის უყვარხართ და ვის — არა.

მაღალია ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 23 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ოქტომბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

გაუფრთხილდით ფინანსებსა და მატერიალურ ფასეულობებს. თქვენ უკვე საკმაოდ იშრომეთ და ახლა შედეგები უნდა მოიმკათ. თუ საქმის დასრულება გიჭირთ, დახმარება კოლეგებსა და ახლობლებს სთხოვეთ. და თქვენც ნუ გაისტუმრებთ ადამიანებს უარით, თუ ისინი დახმარებას გთხოვენ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მოთხოვნებსაც გაითვალისწინებთ. იზრუნეთ მასზე, ჩაწვდით მის სურვილებს.

გაუფრთხილდით ფეხებს — მაღალია მათი ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 22 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ოქტომბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი. ისარგებლეთ ამით, ოღონდ ექსცენტრიკული საქციელისგან თავი შეიკავეთ. წარმატებას კოლექტიური მუშაობით მიაღწევთ. თქვენი მონდომება და მუხლჩაუხრელი შრომა კი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიმტკიცეზე გამოცდას გადის, ამიტომ ყოველმა დაუფიქრებელმა სიტყვამ შეიძლება მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 25 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები დიდ გავლენას იქონიებს თქვენს კარიერაზე, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი შეხვედრები და მოლაპარაკებები, ხელშეკრულებების გაფორმება. თქვენი ენერგია პროფესიული მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულებისკენ მიმართეთ.

რეალურად შეხედეთ ცხოვრებას და საყვარელი ადამიანისგან მეტისმეტს ნუ მოითხოვთ. შეაქეთ ის და პასუხად სითბოს, მზრუნველობას და მხარდაჭერას მიიღებთ.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 22 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 ოქტომბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ისე არ წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ, შრომა წყალში არ ჩაგეყრებათ და დასახულ მიზნებს მაინც მიაღწევთ. თუ აზარტულ თამაშებს თამაშობთ, არ არის გამორიცხული, ბედმა გაგიღიმოთ და საკმაო თანხა მოიგოთ.

იმ თხის რქებმა, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ გააბეს რომანტიკული ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, ამ ადამიანის გაიდეალებისგან თავი უნდა შეიკავონ. გახსოვდეთ: უნაკლო არავინ არის.

ახლა თქვენი ყველაზე სუსტი წერტილი არის კანი და თმა. თუ ადრე კანის რომელიმე დაავადება გაწუხებდათ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 21 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 ოქტომბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

თუ დახმარება დაგჭირდებათ, გაბედულად მიმართეთ ახლობლებს. ისინი აუცილებლად დაგეხმარებიან, თანაც არა მხოლოდ სიტყვით, არამედ კონკრეტული საქმით.

აუცილებლად დაასრულეთ დაწყებული საქმეები, რადგან უახლოეს მომავალში, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და თავი შეიკავეთ კრიტიკული გამონათქვამებისგან.

მოერიდეთ ვირუსებს, სასუნთქი გზების დაავადება შეიძლება გართულდეს და მძიმე შედეგი გამოიწვიოს.

**დადებითი დღე: 22 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ოქტომბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

პროდუქტიული პერიოდია. თქვენი ძალისხმევა სასურველ შედეგს გამოიღებს და პროფესიული წარმატებაც არ დააყოვნებს. განსაკუთრებით სასიკეთო პერიოდია შემოქმედებით სფეროში მოღვაწე თევზებისთვის.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა, რომელიც უყურადღებოდ არ დარჩება საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს.

მარტოხელა თევზებმა მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ საყვარელი ადამიანის გულის მოსანადირებლად.

კვლავ მაღალია ენდოკრინული სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 23 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ოქტომბერი.**




# დრეზდენში საპროტესტო აქცია პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა

**როგორც „დოიჩე ველე“ იტყობინება, ანტიისლამური მოძრაობა „პეგიდას“ ორგანიზებულ მასობრივ მიტინგზე 1 ადამიანი მძიმედ დაშავდა. გამოცემა აღნიშნავს, რომ აქციის მონაწილეები სამართალდამცველებს მიზანმიმართულად ესხმოდნენ თავს.**

დრეზდენში გამართულ აქციაზე 40 000-მდე ადამიანი შეიკრიბა. ისინი ისლამისა და მიგრანტების საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაიძახოდნენ, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი კი ქვეყნის ღალატში დაადანაშაულეს.

ორგანიზაცია „პეგიდა“ შარშან ოქტომბერში შექმნა აქტივისტმა ლუც ბაჰმანმა. ორგანიზაცია „დასავლეთის ისლამიზაციის“ მოწინააღმდეგე ევროპელებს აერთიანებს.

„პეგიდას“ აქტივისტები მიიჩნევენ, რომ ისლამი ევროპულ კულტურაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, თუმცა აცხადებენ, რომ ორგანიზაცია რასისტული ან ქსენოფობიური არ არის.

„ბი-ბი-სი“ წერს, რომ სულ უფრო მეტი გერმანელი გამოთქვამს შეშფოთებას ქვეყანაში მიგრანტთა გაზრდილი რაოდენობის გამო. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მიიჩნევს, რომ ქვეყანა ამ გამოწვევას გაუმკლავდება, თუმცა ბოლო ერთი თვის განმავლობაში მერკელის პოლიტიკის მხარდამჭერთა რაოდენობა 9 პუნქტით შემცირდა — 54%-მდე.

# გამოხმაურება ლეონიდ თიბილოვის ინიციატივაზე რეფერენდუმის გამართვის შესახებ

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ლეონიდ თიბილოვის, ინიციატივას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ მოსკოვში პირველი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც დსთ-ს ქვეყნების საკითხებში რუსეთის სახელმწიფოს დუმის კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ სლუცკიმ განაცხადა, რეფერენდუმის შედეგების პროგნოზირება ნაადრევია.**


ლეონიდ სლუცკი

„ჩემი მოსაზრებით, ზედმიწევნით უნდა განვიხილოთ, რამდენად მომწიფდა ამის საჭიროება. მეორე მხრივ, უნდა გვესმოდეს, რომ მსოფლიო საზოგადოების რეაქცია ძალზე მწვავე იქნება. რაც შეეხება პოლიტიკურ შედეგებს, უნდა გვესმოდეს, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის სურვილის შემთხვევაშიც კი, ჩვენ ჩვენ გარშემო არსებული გეოსტრატეგიული რეალიებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ“, — განაცხადა **სლუცკიმ.** მისი თქმით, რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს დიდ ეკონომიკურ და სოციალურ დახმარებას უწევს.

თიბილოვის ინიციატივას გამოეხმაურა რუსეთის სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლეონიდ კალაშნიკოვიც.** „სამხრეთ ოსეთისთვის რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანებით მიღებული სარგებელი ნათელია. რუსეთისთვის კი პლუსზე მეტი მინუსია როგორც დიპლომატიური, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. ამაზე თვალის დახუჭვა რუსეთს არ შეუძლია“, — განაცხადა კალაშნიკოვმა.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვლადიმერ ჯაბაროვმა** კი აღნიშნა, რომ რეფერენდუმის ჩატარება რუსეთთან გაერთიანების გარანტია არ არის და რთულია იმის თქმა, გადაწყვეტს თუ არა რუსეთი ე.წ. სამხეთ ოსეთის მიერთებას.

# ირაკლი შოთაძე: ყველა დამნაშავე პირი, მეგის ქარდავასა და კოხტა კოდუას გარდა, მსჯავრდადებულია

**მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ირაკლი შოთაძემ უკრაინულ პორტალზე გავრცელებული ე.წ. კასრების ვიდეოკადრების კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აღნიშნულში დამნაშავე ყველა პირი, მიმალული მეგის ქარდავასა და კოხტა კოდუას გარდა, მსჯავრდადებულია.**



„ვერ გიპასუხებთ, როგორ მოხდა ამ საზარელი ვიდეოკადრების ატვირთვა უკრაინულ პორტალზე. ამაზე დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება და ვიმედოვნებ, აღნიშნულ შეკითხვას პასუხი გაეცემა. ბრალდების მხარემ ძალიან დიდი და ხანგრძლივი სამუშაო გასწია, რათა ამ საზარელი წამებისა და სქესობრივი ძალადობის ჩამდენი პირები დასჯილიყვნენ კანონის სრული სიმკაცრით და ეს ჩვენ მოვახერხეთ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სააპელაციო განხილვები, სადაც ჩვენ სქესობრივ ძალადობასა და წამებაში მსჯავრდებული პირებისთვის სასჯელის დამძიმებას ვითხოვთ.

ასე რომ, წამებასა და სქესობრივი დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე ყველა პირი დღეს მსჯავრდებულია და სასჯელს იხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, გარდა ორი პირისა — მეგის ქარდავასა და კოხტა კოდუასი, რომლებიც იმალებიან, და ამჟამად მათზე მიმდინარეობს საერთაშორისო ძებნა“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

# ფატუ ბენსუდა: დანაშაულად მიგვაჩნია საქართველოს სამხედრო ძალების მიერ რუსეთის სამშვიდობოებზე იერიშის მიტანა

**ჰააგის პროკურორ ფატუ ბენსუდას განცხადებით, მისმა ოფისმა 2008 წლის ომზე სხვადასხვა სანდო წყაროდან, მათ შორის, საქართველოსა და რუსეთის შესაბამისი სახელისუფლო ორგანოებიდან, მიღებული ინფორმაცია შეკრიბა.**



როგორც ბენსუდამ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, დამოუკიდებელი და სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე და სისხლის სამართლის სასამართლოს სამართლებრივი კრიტერიუმის გათვალისწინებით, მივიდა დასკვნამდე, რომ აგვისტოს ომზე გამოძიებაა საჭირო.

ჰააგის პროკურორმა ყველას შეახსენა, რომ საქართველო საერთაშორისო სამართლის რომის სტატუტის წევრია და, შესაბამისად, ჰააგას აქვს უფლება, გამოიძიოს სავარაუდო დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ნებისმიერი პიროვნების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად დამრღვევის მოქალაქეობისა.

„ჩვენ აღვრიცხეთ ომის დანაშულები და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშუალები, რომლებზეც სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, გამოიძიოს. ვთქვით, რომ გვაქვს უფლება სისხლის სამართლის დევნა განვახორციელოთ შემდეგ ქმედებებზე: მკვლელობები, იძულებითი გაუჩინარება და დევნა ეთნიკური ქართველებისა, მათი ქონების განადგურება და ძარცვა, ჩადენილი სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ, რომელშიც, შესაძლოა, მონაწილეობდნენ რუსეთის ძალები. ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით 15 ათასამდე ეთნიკური ქართველი იქნა გამოძევებული, რომლებიც სამხრეთ ოსეთში მანამდე არსებული ქართველი მოსახლეობის 75%-ია. ეს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. ცხადია, ეს ძალიან მძიმე დანაშაულია. გარდა ამისა, შესაძლო ომის დანაშაულებად მიგვაჩნია საქართველოს სამშვიდობო ძალებზე სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ შეტევის მიტანა და საქართველოს სამშვიდობო ძალების მიერ რუსეთის სამშვიდობო ძალებზე იერიში.

# უნგრეთ-სლოვენიის საზღვარზე კონტროლი დაწესდება

**უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პეტერ სიიარტომ განაცხადა, რომ უნგრეთ-სლოვენიის საზღვარზე დროებითი სასაზღვრო კონტროლი დაწესდება და ეს ზომა შენგენის შეთანხმებითაა გათვალისწინებული.**

საგარეო საქმეთა მინისტრის ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე უნგრეთმა, მიგრანტთა ნაკადის შესაჩერებლად ხორვატიასთან საზღვარი ჩაკეტა. ამის გამო ლტოლვილებმა გერმანიაში ჩასვლა სლოვენიის გავლით გადაწყვიტეს.

უნგრეთის ხელისუფლების მონაცემებით, წლის დასაწყისიდან ქვეყანამ 383 000-ზე მეტი მიგრანტი მიიღო.

# დააკავეს მოლდოვას ყოფილი პრემიერმინისტრი

**მოლდოვას ყოფილი პრემიერმინისტრი ვლად ფილატი დააკავეს. ყოფილი მაღალჩინოსანი ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის თანხის მითვისებაშია ეჭვმიტანილი.** სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ცნობით, ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებმა ვლად ფილატი პარლამენტის შენობიდან ბორკილით გაიყვანეს. ფილატის სახლში და ოფისში ჩხრეკა ჩატარდა. მოლდოვას პარლამენტის გადაწყვეტილებით, ფილატს სადეპუტატო ხელშეუხებლობა ჩამოართვეს. ყოფილი მაღალჩინოსანი ყველა ბრალდებას უარყოფს.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894